

652  
1970

ՀԱՅԿԵՆՆԵՐԻ  
ՆՈՒՆԻՍԻՅԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ



1

2

7

•

3

**შინაარსი**

# ქოჩოხია

ნ. ჟღანტი — მეც მგის მოწაწილი  
პარ. მოთხრობა. . . . . 2

ლ. ანანიძე — ლექსები . . . . . 6

ი. ჩხაიძე — ნატუსალა. ნაწყვეტი  
მოთხრობიდან. . . . . 8

ბ. მებრეველი — ლექსები . . . . . 18

ჯ. ჯიჯიყვილი — „მოულოდ-  
ნელად იცვლება რაღაც“...  
მოთხრობა. . . . . 20

ი. მელია — ლექსები . . . . . 28

ჯ. ხოჭავრია — იმედი. მოთხ-  
რობა. . . . . 31

ბ. სანაღირაძე — გახსენება. ნა-  
წყვეტი. . . . . 38

ს. ბუღიონი — უხვედრა ილიჩ-  
თან. თარგმნა ტ. ხინთიბიძემ. . . . . 45

**გიორგი ლეონიძე**  
დაბადების 70 წლისთავი

ორი ლექსი აპარაჯი . . . . . 61

ფრ. ხალვაში — ჯოჯოხელ ლეო-  
ნიძეებთან. მოგონება . . . . . 65

**ქვიციანი**

ს. ტაბაყუა — კოლმეურნე გლე-  
ხობის პატრიოტიზმი სამამულო  
ოგონი . . . . . 68

ბ. გოცირიძე — საქართველოს  
მაჰმადიან ძალთა პირველი  
ყრილობა . . . . . 73

შ. ვარუანიძე — აპარა საზღვარ-  
გარეთულ კრესაში. წარსულის  
ფურცლები. . . . . 78

**წიგნების მიმოხილვა**

ბ. ნაცვლიშვილი — პატრიოტიზ-  
მით უთავგონებულნი . . . . . 85


კ. შანიძე — ყვავილები და ლე-  
ქსები . . . . . 92

11.375

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-კოლტიკური  
უშრნალი

საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირისა და  
აპარის განყოფილების  
ოკრანო

ბ ა თ შ მ ი — 1970



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. შგ.  
მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/შგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.6.1970. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,  
შეკვეთის № 2040, ემ 00137, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 22).

---

აჭარის უშრნალ-გაზეთების გამომცემლობა



## ნათქაფა ქანკი

### მეც ომის მონაწილე ვარ

არა, მე არ დავწერ ომზე. არც მიფიქრია. იმდენი ითქვა, იმდენი დაიწერა, რომ...

— შენ ომზე რა უნდა დაწერო, — დამცინის, — შენ რა ნახე, რა...

როგორ თუ რა, ვყვირი მე და ისიც მიჯავრდება. დამცინის, ოთხი წლის იყავი ომი რომ დაიწყო. და როგორ გგონია, არ მახსოვს? მახსოვს... ყველგან ომზე ლაპარაკობდნენ, ყველას ომი ეკერა ენაზე. მახსოვს აცრემლებული დედა, მერე მამის გაცილება, მერე ბიძია ვალოდია, სულ კისერზე შემომჭადარი რომ დამაჭენებდა ეზოში აჩუ-აჩუს ძახილით. მერე? მერე შევერჩიეთ ბევრ ხალხს, კინალამ დამეზნა მამიკო... მერე დიდი თვალეზბრიალა მატარებელი აქლოშინებული მოვარდა, ეს აუარება ხალხი გველესაპივით მუცელში მოიქცია და არც კი მოუხედავს, ისე გაქანდა. ვტიროდი. რომ გეკითხათ რისთვის, ვერ გეტყვოდი. დედა ტიროდა და ვიცოდი, დედა ტყუილად არ იტირებდა. ჩემს ირგვლივ აუარება აცრემლებული ქალი და ბავშვი დავინახე. ყველანი ამ გზას გასცქეროდნენ, ცოტა ხნის წინათ რომ ქლოშინით ჩაირბინა მატარებელმა, მერე ყველანი გასასვლელისაკენ დაიძრნენ, მოედნენ ქუჩებს, მღუმარედ... ვილაცა წაიქცა.

— საცოდავი, — წაივიშვიშა დედამ, — ეს უკვე მესამე შვილი გააცილა ფრონტზე.

ჩემს ირგვლივ მხოლოდ ომზე ლაპარაკობდნენ.

— ნეტა ამას, რომ არაფერი ესმის, — ამბობდნენ ჩემზე. მე კი ვნატრობდი, დიდი ვყოფილიყავი, ჩემთანაც ელაპარაკათ ომზე, მეც იმ გოგოსავით, მატარებელზე რომ ახტა წითელჯვრიანი ჩანთით, გავყოლოდი მამის კვალს...



მეც უნებლიეთ გავხდი ომის მონაწილე, შენ კი მომძახი ნეტა  
ნახეო.

წამოვიზარდე. სკოლაში დავდივარ. დედამ ნაჭრისაგან ჩანთა შემიკე-  
რა.

— რას იზამ შეილო, ომია, მერე კარგს გიყიდი.

სულაც არ ვიცი როგორი იქნება ეს კარგი.

საცაა ანბანს ჩავათავებთ და მამას ფრონტზე წერილს მივწერ, აქამდე  
დედა მხოლოდ თითებს ახატავდა ფურცლებზე, ნახე შენი ნაბოლარა რო-  
გორ გაიზარდაო.

ნეტა მალე ჩავათათო ანბანი. მე ვჩქარობ. თამარ მასწავლებელს  
სულაც არ ეჩქარება. არ ვიცი, ასე მგონია მე...

ნეტა ახლა რას ფიქრობენ ჩემი მოსწავლეები. ალბათ არ ეჩქარებთ,  
მამიკო ყველას სახლში ყავს, მხოლოდ ერთის მამაა შორს, გემის კაპიტა-  
ნია, ალბათ ისიც ჩქარობს მისწეროს, ხუთებზე ვსწავლობო. კლასის სა-  
ხელით ვუგზავნი წერილს, ბავშვი მიღიმის, უხარია...

ჩავათავეთ ანბანი და მამიკოს წერილს ვწერ. მიუსწრო ნეტავი?  
ოთახში რაღაც შემოფრიალდა, დედას მივუბრენინე. ვინ მოიტანა, აღარ  
გვანტერესებს. დედის კვილიმა მთელი კუთხე შესძრა. მერე დედას დიდ-  
ხანს, დიდხანს ეცვა შავი, მე შავი ბაფთა მეკეთა.

აღარც ძია შოთა იწერებოდა, აღარც ძია ვალოდია. აღარც... აღარც...  
და ვიცრემლებოდი. შენ კი მომძახი რა უნდა დაწერო, როცა არაფერი  
გახსოვსო. მაშინ რომ გეკითხათ ასეთი აფორიაქებული სული სად ეტევას,  
ვერ გეტყოდით, ან კი რა ვიცოდით რა იყო გული, ალბათ მუცელზე მოვი-  
კიდებდი ხელს, რადგან მაშინ ის ძალიან მაწუხებდა. პურს სამად ვიყოფ-  
დით, სკოლიდან რომ დავბრუნდებით მაშინ შეეკვამთო. ხომ გახსოვს, ჩვენ  
სამნი ვიყავით—მე, დედა და ჩემი უფროსი დაიკო. რა გემრიელი იყო და რა  
ცოტა! განა ეს ომი არ იყო? შენც რომ სხვებივით ამიჯანყდი, რა ნახეო, არ  
გახსოვს, როგორი აძიგძიგებული ვიჯექით კლასში? მერედა ვის ეცვა  
თბილად? როგორ გვირიგებდნენ ზოგს ფეხსაცმელს, ზოგს პალტოს, ზოგს  
კაბას.

უკვე მეორე კლასში ვარ. შემოდგომაა. გვიჭირს. განა მარტო ჩვენ.  
ბაბუა მიხელა ზურგით გვითრევს სიმიდს, ლობიოს, არ მოშივდესო ჩიო-  
რებს. უკ, როგორ მომრავლდა ყვარჯნიანი ხალხი ქუჩებში. დედას ვებვე-  
ვი, რომ ასეთი არ გამაჩინა.

— განა ასეთები გაჩნდნენ, — მეუბნება დედა, — ჰიტლერის ბრალია  
შვილო.

სულაც ვერ გავიგე. ან როგორ გამეგო, რომ შეიძლება ადამიანს წა-  
ართვა ხელი ან ფეხი, ან ისეთ ცუგრუმელა გოგოს, როგორიც მე ვარ, წა-  
ართვა მამა, წაართვა ისეთი კარგი ბიძია შოთა, ბიძია ვალოდია... რას წარ-  
მოვიდგენდი, რას!..

სადგურში აუარება ხალხია. ყველანი ერთმანეთში ირევიან. გამასხენ-  
და მამას რომ ვაცილებდით. მეც იმათთან ვარ, ვილაცას ვეძებ, ფეხისწვე-  
რებზე ვდგები, ვილაცა მამას მივამსგავსე, ისიც ვილაცას დაეძებს... აგერ  
ჯმუხი ძია ჩემსკენ გამოემართა. ეს სულაც არ გავს ჩემს მამიკოს. თავზე  
ხელს მისვამს, რა გქვიაო, ჩემს გოგოს თინიკო ჰქვიაო, მეფერება, ნაწნა-  
ვებს დიდხანს აჩერებს თითებში. მოვდივარ უკან, ვტირი, როგორ არ ვი-  
ტირო... სახლში არავინაა. დეიდა შუშიკა კარებზე მიკაკუნებს, რა გატი-  
რებსო. მიმიხვდა ის დალოცვილი. ამას წინათ ვნახე—მოხუცებულა. გახ-  
სოვს როგორ ტიროდი, მამიკო მენატრებაო. ჰო მახსოვს. რა მწარეა ეს  
გახსენება. შენ კი სხვებივით დაგიჩემებია, ნეტა რა ნახეო. როგორ თუ  
რა? — ბავშვების ცრემლიანი თვალები, იმდენი შავკაბიანი ქალი, იმდენი  
ყავარჯნიანი, დასახიჩრებული ადამიანი, იმდენი... არა, აღარ მინდა გახსე-  
ნება, მომწყინდა სევდიანი თვალების მზერა, აღარ მინდა დავინახო, როგორ  
ტირიან დედები, აღარ მინდა შავბაფთიანი ბავშვების ცქერა...

ჩემი ცუგრუმელები თეთრად უნდა ქათქათებდნენ. კლასში შევდი-  
ვარ. ბავშვებს ბაფთებზე ვუცქერი, რა დიდი ბაფთები უკეთიათ, როგორ  
ბრიალებენ წითელი ყელსახვევები!

არა, მე ყველაფერი მახსოვს, გესმით, ყველაფერი, —მეც ომის მონა-  
წილე ვარ!



## ო მ ი ს ა

ასე მღელვარე რატომ არის სახელი შენი,  
ძმაო ომისა...  
რად მიღვიძებს ომის იარას,  
ჩემში ცოცხლდება ის დროყამი, როს მამაშენი,  
როს მამაშენი მინდობილი იყო იარაღს.

შენ გაჩნდი მაშინ...  
და იმ დღეთა მოსაგონებლად,  
მწუხარე დედამ შენ შეგარქვა ძმაო ომისა,  
იმ წლების კვამლი ხსოვნას დასდევს და ეკონება  
და შებოლილი იმ დღეების ეჭო მოისმის.

შენ შეგაყრუოლებს და აგანთებს ღელვა დროისა,  
ეს მზე და ზეცა, ეგ სიმაღლე რარიგად გშვენის,  
შორს გადამქრალა და ჩამქრალა ეჭო ომისა  
და დედამიწას კვლავ აფრთხილებს სახელი შენი.


## უ ძ ი ლ ო დ ა მ ე

### მხედრული დღიურიდან

მთვარეს ხევხუვში ჩასვლა ეწადა,  
მთვარეს — ლაყვარდში გაფრენილ არწივს,  
თოფმუზარადით გამომეცხადა  
დაცემულ გმირთა აჩრდილი მკაცრი.  
მომესმა მათი ხმა იღუპალი,  
გული ანაზად დამეთილისმა,  
როს ბობოქრობდა ომის გრიგალი,  
მტრის მიმართ იყვნენ ცეცხლი და რისხვა.

სამშობლოს თვლიდნენ უწმინდეს ხატად,  
ჰგავდნენ დევგმირებს, ზღაპრულ ტიტანებს  
და ბახტრიონის ლომგულთა მსგავსად  
ომში რა ტანჯვა არ აიტანეს!  
ისე ვით ერთ დროს სამცხე, მარაბდა, —  
ცეცხლში კვნესოდა რუსეთის ველი.  
მხედრებს ლენინის დროშა ჰფარავდა,  
და იყვნენ გმირნი დაუძლეველნი.  
როგორ დამინდობს, ან მაპატიებს,  
სამშობლო თავის ბარით, ხეობით,  
რომ შინმოუსვლელ, დაცემულ გმირებს  
ვერ დავედარო ქედუხრელობით.  
მემამყება სახელი მხედრის,  
სამშობლოს ბჭესთან ვდგავარ დარაჯად.  
მტერი დაგვესხმის?!  
გახსოვდეს დედი, —  
მე არ შევარცხვენ მხედრის ფარაჯას.





# იაკობ ჩხაიძე

## ნ ა ტ უ ს ა ლ ა

იაკობ იოსების ძე ჩხაიძის სახელი აღბეჭდილია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შემორჩაულზე ომში დაღუპული მწერლების მირზა გელოვანის, გიორგი ნაფეტვარიძის, შალვა იოსელიანის, სევერიან ისიანის და სხვათა გვერდით. მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური და ფილოლოგიური ფაკულტეტები და მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. მწერლობა მისი ბუნებრივი, სულიერი მოთხოვნილება იყო და არა ერთი ნიჭიერად დაწერილი მოთხრობა გამოუქვეყნებია. ეხერხებოდა ცხოველმყოფლად წარმოეჩინა თანამედროვე ცხოვრების სურათები. ყოველი ახალი მოთხრობა ავტორის ზრდაზე მეტყველებდა. მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა მწერალს მთელი თავისი შემოქმედებითი უნარის გამომუდგენება-განაღდება. ი. ჩხაიძე 31 წლის ასაკში, 1941 წელს წავიდა ფრონტზე და იმავე წელსვე შეწყდა მისი წერალები.

1963 წელს „მერანმა“ გამოსცა ომში დაღუპული მწერლის პირველი წიგნი „გოლიათი“. მასში შევიდა მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ომამდე იყო დაბეჭდილი რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ახლო მომავალში გამოცემლობა „საბჭოთა აჭარა“ გამოსცემს ი. ჩხაიძის ნაწარმოებთა სრულ კრებულს, რომელშიც შევააგრეთვე ავტორის გამოუქვეყნებელი მოთხრობები, ფრონტული წერილები და დღაურები.

გთავაზობთ ერთ თავს მისი გამოუქვეყნებელი მოთხრობიდან „ნატუსალა“. რომელიც მოგვაჩოდა მწერლის შვილმა, ახალგაზრდა პროზაიკოსმა ნური ჩხაიძემ.

ლამაზია ბახმაროს შემოგარენი. მთის გვიმაყ მდინარეს ბახვისწყალს ცადაზიდული მთები და კურორტი ბახმარო ორად გაუბია. ბახვისწყლის ორთავე სანაპიროზე ლამაზად არის განლაგებული გურულ ყაიდაზე აგებული ყავრით დახურული სახლები.



კურორტს სამი მხრიდან შემოჯარვია ცადაზიდული, შექალაქებული მთები. ისინი სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ბახმაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით აქლემის კუზივით ამობურთულა განდრეკილის მთა, რომელსაც გურულები გადასახედ მთასაც ეძახიან. განდრეკილს წარბივით გასდევს ალპური საძოვრებით და ცისფერი ყვავილებით დაფარული „ნიკოიას ნაკარვალი“. ლამაზია „ნიკოიას ნაკარვალი“, მაგრამ მისი შედარება მაინც არ შეიძლება აღმოსავლეთით ზღაპრული გოლიათივით გადმომდგარ „მზის ამოსავალ გორასთან“. ეს გორა კურორტს აღმოსავლეთის მშრალი ქარისაგან იცავს.

ბახმაროს აღმოსავლეთით და სამხრეთით აკრავს უფრო მაღალი მთები. მათი მამამთავარია მუდამ ნისლის მანდილით თავშეხვეული, პირქუში საყორნია. საყორნიას კლდეებში ვერცხლის ნაწნავებად ჩაწოლილა სიძველისაგან ქვად ქცეული თოვლი.

ბახმაროს მთების, მდინარეების, ტყეების და ქალების ბუნებრივი სილამაზე ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელს იზიდავს. წელსაც ბახმარო სავსე იყო ხალხით. დამსვენებლები მოითხოვდნენ გართობას. დიდი ამბით მოელოდნენ ჯირითს, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის აგვისტოს შუა რიცხვებში იმართებოდა. ჯირითის წინა დღეებში ბახმაროზე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი კუთხის საუკეთესო მოჯირითეები ამოდიან. გამარჯვებულთა სახელი კი დიდხანს რჩება მაყურებელთა ხსოვნაში. ფიცხი გურულები აგრე ადვილად როდი უთმობდნენ ერთმანეთს გამარჯვებას. ხშირად იქმნებოდა ცალკეული დაჯგუფებანი გულშემატკივრებისა და საუკეთესო გართობის ნაცვლად ერთმანეთს ცხვირპირს ამტვრევდნენ, ბარში თავგასისხლიანებულები ბრუნდებოდნენ... მაგრამ ახალმა დრომ აქაც შეიტანა ცვლილება. ტრადიციული ჯირითი გადაიქცა კულტურული გართობისა და სპორტული თავგამოჩინების ერთერთ საყვარელ სახედ.

ჯირითამდე ორი დღით ადრე მოულოდნელად ხმა გავრცელდა აფხაზი ავირპას წინააღმდეგ ახალგაზრდა ქალი გამოდისო. ამას გამოკრული აფიშების შეცვლაც მოჰყვა. აფიშაზე გამოხატული ცხენოსანი ქალი სულ სხვა ელფერს აძლევდა მომავალ ჯირითს. კლუბის შესასვლელთან, ფოსტისა და აფთიაქის აივნებზე, მოედანზე, ძეგლთან თუ ნაძვნარში მომავალი ჯირითის გარდა არაფერი იყო სალაპარაკო.

დამსვენებლები ვინ იცის მერამდენეჯერ კითხულობდნენ განცხადებებს და მსჯელობდნენ გაბედულ ცხენოსან ქალზე.

ეს ფაცი-ფუცი და სახეიმო ხმაური ედიშერის ყურამდეც აღწევდა. სტუმრების უარით გასტუმრების შემდეგ იგი მეზობლებში ამაყად ამბობდა, მეც მთხოვეს ჯირითში მონაწილეობა, თვით დირექტორმა ამდენი და ამდენი ფული მაძლია, მარა არ ვქენიო, ვერ ვხედავ ისეთ ცხენოსანს, რომელ-



თანაც შეჯიბრი შემეფერებოდესო, ვილაც ყაზირლებთან კი ვერ ვიკადრებ გამოსვლასო.

თან დასძენდა: საკუთარი ცხენი აღარ მყავს და სხვის ჯახრაკა ცხენზე არ ვიკადრებ შეჯდომას, თავს არ გავილანძღავო.

როცა ედიშერს უთხრეს ჯატუ აგირპას წინააღმდეგ ვილაც ქალი გამოდისო, სიცილადაც არ ეყო, ქალის ცხენოსნობა ვინ გაიგონაო. გულში ესიაშოვნა კიდევ:

ჩემს ცოლს რაღა გავუმტყუნო, როცა სხვაც ყოფილა გადარეულიო. ედიშერმა პირადად ინახულა ჯატუ აგირპა და ურჩია:

მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ნაყოლ ტანგოზე შეჯექი, კოლმეურნეობის ცხენს როგორმე წინ გადაუდექი, ახალგახენილია და დაფეთდება, თავიდან ცხენი არ დაღალო, მთავარი ძალა შემოინახე. აუცილებლად გაიმარჯვებ

აგირპა ცას ეწია სიხარულით. გაიგო მოწინააღმდეგის აქილევსის ქუსლი: „წინ გადაუდექი, დაფეთდებო“. ედიშერი დიდი პატივისცემით გამოისტუმრა, სახლამდეც მიაცილა. მერე სთხოვა, მისი განაყიდი ტანგოს პატრონთანაც მიგზავნოდა, რომ აგირპასათვის ცხენი ეთხოვებია. ედიშერმა ეს თხოვნაც აუსრულა მეტოქეს. მთელი ბაისურა მოიარა, თავისი ნაყოლი ტანგოს პატრონი ნახა და დაითანხმა. თვითონ კი ბარში წასვლა დაიჩემა. მაგრამ ნატუსალა არ დაემორჩილა.

ედიშერი გრძნობდა, რომ რაღაც ახალი, ფარული, უჩინარი მზადდებოდა მის ოჯახში, მაგრამ ვერ გამოეცნო. ამიტომ ექვიანი გახდა და ცოლის ან შვილის ყოველ გაღიმებას მრისხანებით, ყვირილით და გინებითაც კი პასუხობდა, თუმცა ველარავის აშინებდა.

— ხვალ ახალი ტანისამოსი უნდა შევიკერო, — უთხრა ერთ დღეს დედინაცვალმა ნინელის. ედიშერი დაინტერესდა, რად სჭირია ახალი ტანსაცმელიო. შვილსაც შეეკითხა, მაგრამ ნინელიმ ცივად მიუგო:

— მე ნურაფერს მეკითხებით. თქვენი საქმე თქვენ იცით. — ედიშერს ყველაზე უფრო ცოლისა და ქალიშვილის ერთმანეთთან საეჭვო დაახლოება ახელებდა. დაწვებოდა თუ არა იგი, მიღულავდა თუ არა თვალს, ნატუსალა დაიწყებდა ოთახში სიარულს და ლაპარაკს. დაუჯერებელი ამბები ესმოდა ედიშერს. ნატუსალა ლაპარაკობდა ჯირითზე: აუცილებლად კოლმეურნეობის ცხენი გაიმარჯვებსო. აქებდა კურორტის დირექტორს. ბახმაროზე მალე ავტომობილი ამოვაო. წელს ზამთარში ავადმყოფები რჩებიან სამკურნალოდო. ოსმან ცინცაძეც აპირებს აქ დარჩენას, გულმკერდის არეში მიღებული ჭრილობა გამიზეზებიოო. მერე ქალი ხმას შეიცვლიდა და ამოიოხრებდა.

— ეხ, ნეტა გაუთხოვარი ვიყო, დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი ამ ზამთარში აქ, ექიმ ქალებთან. აი გაბედვა ეს იქნებოდა. აქ თურმე 5-6 მეტრი სიმაღლის თოვლი მოდის!..

ედიშერის გულში ცოლის ასეთი სიტყვები ამძაფრებდა ეჭვებს აბორტებდა. განსაკუთრებით ოსმან ცინცაძის ხსენებას ველარ იტანდა, მაგრამ ხმის დაძვრასაც ერიდებოდა. ახლა სხვა ჰქონდა თავსატეხი — ჯირითი ახლოვდებოდა.

გათენდა ჯირითის დღეც. კურორტის საუკეთესო ადგილები, ბანვისწყლის გაღმა-გამოღმა ფერდობები დილიდანვე ხალხით გაიჭედა. ხიდზე ტევა არაყო. ჯირითი ნაშუადღევის სამ საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ თორმეტი საათისთვისაც კი მოედანთან მისვლა აღარ შეიძლებოდა. გართობას მოწყურებული დამსვენებლები უფრო მოხერხებულსა და მყუდრო ადგილებს იჭერდნენ. ჯირითის მოლოდინში მღეროდნენ, თამაშობდნენ და ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. ისინი უმეტესად ნაძვნარებში შეჯგუფებულიყვნენ.

ერთ ადგილზე, ნაძვნარში ენასხარტ გურულ ახალგაზრდებს არხეინად გაეშალათ სუფრა, ბალახზე წამოწოლილიყვნენ, გადაჰყურებდნენ საჯირითო მოედანს და ლხინს მისცემოდნენ. ერთი ფერმკრთალი ახალგაზრდა ცისფერი თვალებით გასცქეროდა ლურჯ ცას და ჩონგურზე ბანმაროს ლექსს ამღერებდა.

ბანვისწყლის გაღმა, სასურსათო მაღაზიის წინ შეგროვილ ხალხში იდგა იბრაჰიმ გოდერძიშვილი, ახალციხელი კოჭლი მომღერალი. დიდად ნიჭიერი მოლექსე, უკრავდა საყვარელ თარზე, სახელდახელოდ თხზავდა ლექსებს სამშობლოზე, სტახანოველებზე, წითელ არმიასზე და ამღერებდა. მრავალნაირი სიმღერა და საკრავი ინსტრუმენტების წრილ-გუგუნი, ყიყინა და გადაძახებ-გადმოდახება ერთ მძლავრ ხმად ერთიანდებოდა და კურორტს საზეიმო ელფერს აძლევდა.

დიდი მოძრაობა იყო ამ დღეს ბაზარშიც. ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ცდილობდა დროზე მოესწრო პროდუქტების ყიდვა, შემდეგ კი თვალი ჯირითისათვის ედევნებია.

ზოტისა და გრძელი გორის იაილებიდან ჯირითის საყურებლად აჭარელი ქალებიც გადმოსულიყვნენ, თეთრი ჩადრებით თავპირი ჩამოებურათ და მწვანე ბალახებში ჩამჯდარიყვნენ. მათი ამაყი ქმრები „ბუზიკიანი“ სრული შარვლებით, აჭრელებული წინდებით და განიერი ხალათებით მორთულნი ქალების გარშემო მოჭიდავე ვერძებივით დადიოდნენ. ცოტა მოშორებით კარაქის გამყიდველ ხულოელ ბიჭებს თავიანთი მოკრძო გვარდები ამეწყრივებიათ, ზედ ჩამომჯდარიყვნენ, აბრიალებდნენ შავ თვალებს და უცნობებს ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდნენ:

— ეიდა, ჭოვ! მართლა აჭარელი არის ის ქალი, ჯირითში რომ გამოდის?

შუა ბაზარში ვიღაც ჯმუხი ტანის კაცს გამოეყვანა მოშინაურებული დათვი და ათამაშებდა. იქვე შავთვალწარბა ჩაჩნის გოგო უკრავდა დაირას.

დაირის ხმაზე დათვი უკანა ფეხებზე დგებოდა, ღმუროდა და მიწას სცემდა, ხალხი კი ხარხარებდა...

ელიშერი ადრე დილით წავიდა ბაზარში. ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა და ისე ჩაფიქრებული მიდიოდა, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ბაზარში და ჯირითის საყურებლად მოხერხებულ ადგილს დაუწყო ძებნა. ბოლოს კლდის ჩამონახეთქზე ჩამოჯდა. აქედან ხელის გულივით მოჩანდა საჯირითო მოედანი. მან აქაც განაგრძო ოჯახზე ფიქრი. ხალხის ჩოჩქოლი და სიმღერები ძალიან აბრაზებდა. განსაკუთრებით ერთმა შემთხვევამ ალაშფოთა იგი. მის მახლობლად ორმა ცხენოსანმა ჩამოიჯირითა. ისინი სიცილით მიდიოდნენ. ელიშერმა იცნო ორთავენი. ერთი ოსმან ცინცაძე იყო, მეორე კი ფერმის გამგე. სწორედ ის, ელიშერმა რომ რამდენიმე დღის წინათ გაწბილებული გაისტუმრა. თუ მაშინ მრისხანედ გამოიყურებოდა გაბრაზებული ფერმის გამგე, ახლა სახე გაბადროდა. ელიშერი არც მიაქცევდა მათ ყურადღებას, მაგრამ ცხენოსნებმა შენიშნეს იგი და გადმოხედეს. ფერმის გამგემ შუბლი მწყურალად შექმუხნა. მოხუცი შეათვალიერა. მერე ცინცაძეს რალაც ჩაულაპარაკა, ორთავემ ხმამაღლა გაიციინეს და ცხენები ხიდისაკენ გააქნეს.

დილიდან არ იყო ელიშერი ცუდ ხასიათზე. ყველაფერი რიგზე ააწყო, როგორც იყო გადაწყვიტეს სოფელში წასვლა, ნატუსალაც დაითანხმა და ჩალვადრების გამონახვას შეუდგნენ. დღეს თვითონ ნატუსალა წავიდა ბაისურაში ჩალვადრების ჩამოსაყვანად. ჯირითის ყურებზეც უარი ათქმევინა. უხაროდა ელიშერს, ხვალ მოშორდებოდნენ ბახმაროს. აფხაზ ჯატუ აგირპასთან კარგად მოაქანარაკა საქმე... ზოგჯერ ერთმანეთის პირისპირ ხმალამოწვდილი მტრებიც კარგი მეგობრებივით შეკავშირდებიან მესამე, უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ასე მოხდა ახლაც. თუმცა მათი მიზნები სულ სხვადასხვა იყო. ელიშერს სჯეროდა, რომ გამარჯვება აფხაზ აგირპასა და მის შვილს დარჩებოდა. ვილაც გასულელებული ქალი, თავხედი დედაკაცი გაიმარჯვებს? — არა! ამის მოგონება მხოლოდ დამცინავ ღიმილს ჰგვრიდა მოხუცს. ქალი? ვინ ქალი?... მახე იგი ძალიან ცოტას ფიქრობდა. საქმე მხოლოდ აფხაზის გამარჯვება და კოლმეურნეობის ფერმაში გამოზრდილი ცხენის დამარცხება იყო. ასეც უნდა მომხდარიყო ელიშერის აზრით. მაშინ დააფასებდნენ ელიშერს, განთქმულ ცხენოსანს და მოჯირითეს, რჩეულ გვარი-შვილს, ამერიკაში ნამყოფსა და ჯატუ აგირპას არა ერთგზის დამმარცხებელს, ახლა ავი ცოლისაგან გაწამებულს. საზოგადო საქმე? ღირექტორის ნათესაობა? კოლმეურნეობა და მისი ინტერესები? ელიშერს თუ არ იცნობენ, ქვა-ქვაზე დადუღებულა...

საჭიროთ მოედანზე მსაჯები უკვე დააქროლებდნენ ბედაურებს, ათ-ვალიერებდნენ გარემოს და წესრიგს ამყარებდნენ. ყველაფერს მომზადებულობა და საზეიმო ელფერი აჩნდა. საჭიროთ მოედნის მოსახვევებში მოჩანდა წითელი ალმები, რომლებსაც იაილებიდან მონაქროლი ქარი ცეცხლის ალივით აფრიალებდა.

სრულ სამ საათზე დაიწყო ჯირითი. ერთ ხაზზე დარაზმული თორმეტი საუკეთესო ცხენოსანი ძლივს ამაგრებდა ცხენებს. ჯიშიერი, საუკეთესოდ გაწვრთნილი ბედაურები მოუთმენლად ფრთხვინავდნენ, ათამაშებდნენ წვრილ ფეხებს და კბილებით ხრჭნიდნენ, მისწრაფოდნენ გასაჭენებლად. ჯირითის მოლოდინში ცხენებს მხედრებივით უცახცახებდათ გული.

ედიშერი შუბლზე ხელის ჩამოჩრდილებით ათვალიერებდა ცხენოსნებს და თანდათან ნანობდა, ჩემი დაუდგარი ცოლი ამ საუკეთესო სანახაობას რად ჩამოვამორეო, რა მეჩალანდრებოდაო. ზოგჯერ კიდევაც გაიფიქრებდა, ნატუსალა ნამდვილად აქვე იქნებოა მაყურებლებში. ყოველ მხრივ იხედებოდა მისი გამოცდილი თვალი. პირველად მან შენიშნა მტრედისფერი ბედაური, რომელზეც მორჩილი ტანის ჯატუ აგირბა იჯდა და სიხარულით აცახცახდა.

—ა... აა... ჩემი ნაყოლი იორღა ტანგო... თითონ იი მამაძალი აფხაზი შემჯდარა ზედ. უნათხოვრებია, უფრო ჭკუით მოქცეულა. არ ველოდი მისგან ამდენ მოხერხებას... თავისი ცხენი კი შვილისათვის დაუთმია... იცის, იცის წყეულმა ჩემი ტანგოს ღირსება, თორემ ბომელი აფხაზი იკადრებს სხვის ცხენზე შეჯდომას... ბაბან! რა უნაღვლება? ორივე ჯილდოს გაჰკრავს ხელს. — ჩიფჩიფებდა თავისთვის იგი.

მოხუცის ყურადღება ალისფერმა ბედაურმა მიიპყრო. ამ ფერადობის ცხენი, ასეთი ღიმილი მე ჯერ არ მინახავსო—გაიფიქრა და თვალი ამოიწმინდა. უნდოდა უკეთ დაენახა. ალისფერ ბედაურს ჯერ ვილაც ბატარა ბიჭი დაატარებდა. შემდეგ ბიჭი წითელ ჩაქურიანმა ცხენოსანმა შესცვალა. ცხენი ფრთხვინავდა, ხვიხვინებდა. ახალგაზრდა მხედარი ძლივს უჭერდა თავს, ეფერებოდა, ოქროსფერ ფაფარს ღიმი მზრუნველობით უსწორებდა...

—დიდება შენ, ღმერთო, ალბათ აგი არის კოლმეურნეობის ფერმაში გაზრდილი ცხენი. მარა ამფერ ცხენს ფერმის ბიჭები რავა გამოზრდიდნენ. არა, აქანაი ბაბან, რაცხა ეშმაკობაა.— ჩუჩჩულებდა ედიშერი.

—ცხენი ძანნი ჩანს, მარა აი წითელ ჩაქურიანი ყაზირალი ვინაა? —თითქმის ყველა ცხენოსანს კარგად იცნობდა იგი, მაგრამ ეს ყაზირალი, არსად შეხვედრია.

—ეი გიდი ახალგაზდობავ, —ამოიოხრა ძველმა მხედარმა, — მამფერ ცხენზე ვმჯდარვარ? მაი რაა... იმფერი ცხენები მყოლია, რომე ორი მეტრის.



სიმსხო ხეზე აგერ იმასავით გადაამშრალე ბუნენ, ახლა რაღაი. მობრუნდით  
 ბაბან, კაცი... დავძაბუნდი. — და ამ დავძაბუნებულ კაცს ახლა მხოლოდ  
 მისი მოქიშპის ჯატუ ავირპას იმედილა ჰქონდა.

ედიშერს უნდოდა უფრო წინ გასვლა, მაგრამ რა გაარღვევდა ამ  
 მოზღვევებულ ხალხს. ისე კი სულითა და გულით სურდა იმ ვილაცა  
 ყაზირალისათვის ხელიდან გამოეგლიჯა ალისფერი ბედაურის სადავე  
 — რეიზა უთხარი იმ მამაძალს უარი, რეიზა, — აყვედრიდა თავის თავს.  
 მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ის ცხენი აუცილებლად კოლმეურნეობისაა, ასკენიდა ედიშერი. უც-  
 ნობი მხედრის ვინაობაც ძალიან აინტერესებდა. სახე რომ დაენახა, კიდევ  
 პო, მაგრამ მხედარი თითქოს განგებ სულ წინ იხედებოდა, აღმოსავლეთი-  
 საკენ... მისი სახის დანახვა ასე შორიდან შეუძლებელი გახდა, ედიშერის  
 გვერდით ვილაცამ საეჭვოდ ჩაილაპარაკა — ალბათ ისაა ქალი ცხენოსანი.  
 ალისფერ ბედაურზე რომ ზისო. ედიშერმა ხელის ჩაქნევით ჩაიცინა,  
 — ქალი? არა, ჭორია, განა შეიძლება ასეთი სასწაული მომხდარიყო? გა-  
 ნა ამნაირ ცხენოსნებში კაბიანი გაერევა?

ხალხი შეჩოჩქოლდა. იწყებო, ვილაცამ დაიძახა. შეწყდა ყოველ-  
 გვარი ხმაური. მხოლოდ ბახვისწყლის ღრიალი გაისმოდა. საუკეთესო  
 ცხენზე მჯდომი კურორტის დირექტორი ლავრენტი ჯიბუტი გამოეყო  
 ხალხს, მოედანზე გამოვიდა, ცხენოსნები შეათვალიერა, საათს დახედა,  
 ხელი აღმართა და გაჩერდა. ისეთი სიჩუმე გამეფდა, რომ მასურებლებს  
 ესმოდათ საკუთარი გულის ცემა. დირექტორმა მოკვეთილივით დაუშვა ხე-  
 ლი და ცხენები გასროლილ ისრებივით მოწყდნენ ადგილებიდან,  
 მხედრები უხანგებზე გადაწვნენ და ბედაურები მიწაზე გააკრეს, გრიგა-  
 ლივით გააქროლეს წინ.

ბედაურებს ყველას წინ მხრებში აწურული, ნიავეით მსუბუქი, შევა-  
 რდენივით თვალსწრაფი ჯატუ ავირპა და მისი შვილი, მძიმე ტანის, გაწკე-  
 პილ ულვაშებიანი ბაგრატა მიაგელვებდნენ. ჯატუს დღეს სულით და გუ-  
 ლით უნდოდა გამარჯვება მის ერთადერთ შვილს რგებოდა, ამიტომ საკუ-  
 თარი ცხენი შვილს დაუთმო, თვითონ კი ედიშერის განაყიდ „ტანგოზე“ შე-  
 ჯდა. თუ შვილს უმტყუნებდა ცხენი, თვითონ მაინც აიღებდა პირველ ად-  
 გილს. ჯატუ ავირპას გამოცდილებით, პირველი დარტყმა სწყვეტდა საკ-  
 ითხს. მაგრამ ცხენოსნობაში მოხუცებულ ედიშერ შალიკაშვილს როდი  
 მოეწონა მამა-შვილის ნაადრევი აჩქარება.

— ვაი, — ხელი ჩაიქნია მან — ძალიან აჩქარდნენ. რა იციან ბაბან  
 მაგენმა აქაურობის ამბავი, ბახმაროს ჰაერი ბარისას არ ჰგავს, მსუბუქია.  
 ცხენი ჩქარა სუნთქავს, და თავიდან არ უნდა აჩქარებულიყვნენ. — ახლა  
 წითელ ჩაქურაში გამოწყობილ მხედარს შეავლო თვალი. ალისფერი ბე-  
 დაური ყველაზე უკან მიჰყვებოდა. მხედარი განგებ უჭერდა სადავეს, ნელი



გოგმანით მიჰყავდა. ბედაური კი კბილებს ახრჭენდა, მაგრამ თავისუფლებას მინც ვერ პოულობდა, მხედარს ვერ ართმევდა თავს...

ედიშერს მოეწონა ახალგაზრდა მხედრის ეს ფანდი.

— მშვენიერად მიჰყავს, ჭკვიანი ყოფილა, მეც ასე ვიზამდი, — ჩაილაპარაკა და ნაბიჯი შეიცვალა.

მოწინავენი მიჰქროდნენ, ალისფერი კი ნახევარი კილომეტრით ჩამორჩა.

ხალხი მღელვარებამ შეიპყრო, გაისმა უკმაყოფილო შეძახილები:

- მიუშვი! მიუშვი! მიდი! ნუ იჭერ!..
- ჰო, ეშინია საცოდავს, გამოუტყდელია...
- რა დედაკაცის საქმეა ჯირითი!
- ჰე, რა ცხენს ღუბავს!..

რვაჯერ უნდა შემოევლოთ წრე საჯირითო მოედნისათვის. მესამე წრეზე ჯატუ ავირპას შვილი ბაგრატა მოულოდნელად ჩამორჩა, უმტყუნა ცხენმა, სუნთქვა შეეკრა. მალე ჯატუ ავირპას ნათხოვარ ცხენსაც დაეტყუო დაღლა. სამაგიეროდ ალისფერი ისე გახელდა, ლაგამს ლამის გაგლეჯდა, მხედარს რომ თავისუფლება მიეცა, ბოლოს მხედარმა ოდნავ შეახო მათრახიც...

მდინარის ორთავ ნაპირზე ქუხილივით ავარდა ტაშის გრიალი და მეგობრული ხმა:

— მაგრე, გასწი!.. დასცხე!.. ნუ იჭერ!..

ედიშერი ააღელვა ამ სურათმა, მისდაუნებურად ჯოხი ხელიდან გაუვარდა... ხან მარჯვენა ხელს წასწევდა წინ და ხან მარცხენას. ხან კიდევ თავს გადაიქნევდა გვერდზე. თითქოს და უნდა ანიშნოს ავირპას ასე და ასე გააჭენე ცხენიო, მაგრამ თანდათან გამოცდილი მოჯირითის სურვილები უძლიერესს ემხრობოდა. მეექვსე წრეზე ცხენები მდინარის გამოღმა, ერთ სწორ ხაზზე გამწკრივდნენ და ასე მიჰქროდნენ რამდენიმე წამს, მაგრამ მალე სწორი ხაზი დაირღვა. წინ გამონაპირდა ალისფერი, მსუბუქად შეათამაშა ფაფარი და სიჩქარეს უმატა. მაყურებლები აღტაცებამ შეიპყრო. ტაშით წახალისებული ალისფერი კიდევ უფრო ათამაშდა. მას კვალდაკვალ მიჰყვა ედიშერის განაყიდი ტანგო. ჯირითი ვადამწყვეტ მომენტს მიუახლოვდა. ბედაურები თავიანთი მხედრებით გასროლილ ბურთივით მიჰქროდნენ მიწნისაკენ... მაყურებლებს მდინარის შხუილიც კი არასასიამოვნოდ ეჩვენებოდათ. ათასობით თვალი მხოლოდ ორ მხედარს მისჩერებოდა: პირგამეხებულს, საზარი ხმით მყივარ ავირპას და წითელ ჩაქურაში გამოწყობილ უხმო მხედარს. ავირპა თანდათან ჰკარგავდა პირველობას და ხალხის თანაგრძნობაც ახალგაზრდა მხედრისაკენ იხრებოდა.

აგირპას შვილი ყველას უკან მიჩანჩალებდა.

ჩამორჩა აგირპა, წაუხდა ვაჟკაცობა. ნირშეცვლილ ვაჟკაცს გარკვე-  
ვით მოესმა წინ მიმქროლავი მხედრის ხმა:

— ნულარ შეწუხდებით, ამხანაგო!

ეს ხმა ედიშერმაც გაიგონა... ნამდვილად ქალის ხმა იყო. მომეყურაო  
გაიფიქრა პირდაღებულმა და ყურები ამოიწმინდა — არა! ის ხმა ნამდვი-  
ლად ქალის ხმას ჰგავდა. მაგრამ რად იყო ასე ახლობელი და ნაცნობი?...  
ამ დროს მეშვიდეჯერ ჩამოიქროლეს ცხენოსნებმა. აგირპას საქმეც დამ-  
თავრდა. ჯატუმ ცხენს ერთი აფხაზურად დაჰკივლა, მათრახი გამეტებით  
გადაუჭირა და წრიდან გამოავლო... ჯატუსა და მისი შვილის მიზანი მხო-  
ლოდ პირველი ჯილდოს მიღება იყო. ახლა, რაკი პირველი ჯილდოს იმედი  
გადაიწურა, თავი გაანებეს ჯირითს. მათი საქციელით გაკვირვებული  
ქალი-მხედარი ოდნავ შეჩერდა, ხალხს გადმოხედა და ქუდი მოიხადა.  
შავი ნაწნავეები გაიკლაკნა ჰაერში. ტაშის გრიალმა ისევ გააყ-  
რუა იქაურობა. ედიშერს თავზე მეხი დაეცა... მეხი? მეხი რა არის? დაე-  
ცემა კაცს და მოჰკლავს. ეს მეხზე მეტი იყო, ცოცხლად მოჰკლა კაცი,  
მოჰკლა, მაგრამ არც მოჰკლა... პირი გაუშრა მოხუცს, გაშეშდა, მოეჩვენა,  
თითქოს მზეს სიცხოველე დაეკარგა, დღეს სინათლე მოაკლდა, მთელი ქვე-  
ყანა თითქოს ბნელი ღრუბლებით დაიბურა. ედიშერი მოკვდა და მაინც ფეხ-  
ზე იდგა. რა დაინახა მისმა თვალებმა, რა გაუბედია... ჰოი, უბედურო ედი-  
შერ შალიკაშვილო! ვის ცხენზე ზის შენი ცოლი, ვის ცხენზე!.. ჰოი საში-  
ნელებავ, ოი... ოი... მერე როგორ მოხდა ყოველივე ეს? როგორ?... აკი  
ნატუსალა დღეს დილით ბაისურაში გაგზავნა ჩალვადრის გამოსაყვანად.  
აკი ყველაფერი რიგზე მოაწყო და მაინც მოატყუეს. ნინელიმაც არაფერი  
უთხრა ამის შესახებ. ვაი უბედურო! ვაი უმადურებო! უმადურებო! ვაი შენ, უბედურო ედიშერ  
შალიკაშვილო, რას მოესწარი ამას. რას ხედავს შენი თვალები. როგორ  
თელავენ შენს პატიოსნებას... როგორ გჭრის ყელს მოღალატე ცოლი...  
და მერე ვის საქმეს აკეთებს, ვის საქმეს... კოლმეურნეობის ფერმის?

ჯირითის მონაწილენი ახლა მერვედ უვლიდნენ მოედანს. ალისფერი  
ბედაური ისევ წინ მიგელავდა, მითამაშობდა შედარებით ნელა. პირველ  
ადგილს ვედარავინ შეეცილებოდა. გამარჯვება ქალმა მხედარმა მოიპოვა.  
მიჯნა გადალახა, გაოფლიანებული ბედაური ხალხისაკენ შემოაბრუნა და  
შეაჩერა... უკან ჩამორჩენილნი მხოლოდ მეორე და მესამე ჯილდოებზე  
ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ქალი მხედარი ამ დროს მოხდენილად ათამა-  
შებდა ცხენს და მხიარულად შესცინოდა ხალხს... თითქოს ედიშერიც  
მონახა იმდენ ხალხში (შალიკაშვილს ასე მოეჩვენა), და აი დაცინვით თავი  
დაუქნია:

—აი, ხომ ხედავ, ედიშერ შალიკაშვილო, ჩვენ დედაკაცებსაც შეგვიძლია მამაკაცებთან შეჯიბრება... დროა ჩამოდგეთ ბერიკაცებმა, გზა დაგვითმით ახალგაზრდებსო...

გაბოროტებული ედიშერი ცოლს კი არ ხედავდა ცხენზე, არამედ გამოცდილ მოწინააღმდეგეს. დღეიდან ხომ ედიშერ შალიკაშვილის გვარსა და სახელს აღარ ახსენებდნენ ბახმაროში... ქებით შეამკობდნენ იმას, უბრალო დედაკაცს, უგვარო გლეხის შვილს, ნატუსალა შავიშვილს. ედიშერმა კვლავ წინ გასვლა მოინდომა, მაგრამ ფეხი ველარ გადადგა. ტაშის გრილს ყურთა სმენა მიჰქონდა. შალიკაშვილმა ბზის ჯოხი ჰაერში შეათამაშა და ცხენზე მჯდომ ცოლს დაემუქრა... იგი შესაბრალისი სანახავი იყო. ბებერი ყოჩივით აბაკუნებდა ფეხს, იქნევდა მუშტს, აბრიალებდა თვალებს... მაგრამ ამ საერთო მხიარულობის დროს მისთვის ვისლა ეცალა, ვიღაცამ ერთი კი გადმოუბღვირა: რა გახვანხვალებს ბერიკაცო, ადგილზე გაჩერდიო, და ზურგი შეაქცია...

1941 წ.



## დ ე დ ა

მყუდრო ოჯახში პერანგი სამი  
ეს ოცი წელი ჩუმად ჰკილია,  
დედა მწუხარედ შეხედავს წამით,  
და ზმანებები ხელებს იწვდიან.  
ბინდში მწუხარედ გახედავს სარკმელს,  
ელის ბიჭების საყვარელ ძახილს,  
ოხრავს, — შვილებო, სად დამეკარგეთ,  
გამომიყრუვდა ეზო და სახლი!  
ზოგჯერ კი დილით სხივების ხვაფი  
ციდან რომ ცვივა, დნება ჩრდილები,  
ამბობს, — სამშობლო ხარობს და ჰყვავის,  
ალბათ ცოცხლობენ ჩემი შვილები!  
შუალამისას, როდესაც ოდას  
აწევს ღუმელი — უხმო ტკივილი,  
სახლს ესიზმრება ქალ-ვაფი კოხტა,  
აკენის რწევა და ბავშვის ტირილი.

## პრფანისის მოლანდება

აქ, დასალიერს მზე რომ მოწყდება  
და ბინდი ცაზე მოჩხრიკავს ლაღარს,  
ერთი ძველი დღე ველზე ცოცხლდება,  
ლამის ნახშირით შავ მხედრებს ხატავს.  
და მოლანდება ბნელი, საზარი  
ლამეს დაფლითავს შუბთა ძვერებით!  
თეთრჩალმიანთა ურიცხვი ჯარი  
ველზე დაყრილა, როგორც ქერეხი.  
დაქრის ერეკლე, როგორც გრიგალი,  
ფარ-მუხარადებს გააქვს ლაწანი,

ლომივით ბრდღვინავს ხევსური ერთი,  
ხმლის ნაბერწყლებით სახედამწვარი.  
არაგველები დუშმანს მივარდნენ,  
მტრის თავზე მათი ხმლები აწივლდა,  
მაგრამ მტრის ჯარში გაუჩინარდნენ,  
როგორც ღრუბლებში გუნდი არწივთა.  
კაცთა ერთერთი მთელი დღე ხოცეს,  
დღე დადნა, ხმლებით თვალბდავსილი,  
ბინდი დაეცა კრწანისის ბორცვებს,  
დაფლეთილი და სისხლით დასვრილი.  
მრუმე სიკვდილი მგლისებრ გახელდა,  
ველზე სახარლად ტოვებს ნაკვალევს,  
მტკვარს გაწითლებულს ციდან დახედავს  
და მთვარეს ცივად შეაკანკალებს.  
არაგვზე ნისლი იწყებდა რიალს,  
შუბლი შეეკრა არხოტში მთვარეს  
და ჩამოქონდა მცხეთამდე ნიავს  
სამასი დედის ქვითინი მწარე.





## ჯონი ჯიჯიშვილი

### „მოულოდნელად იცვლება რაღაც“...

ხეებს ბარდები შემოქსოვოდა და ტოტებს შიგაც ჩახლართვოდა. ისე დაეფარა კენწერობამდე, რომ წაქცევისას იჭერდა მათ და ჰაერში გამოკიდული მოჭრილი ხეები დიდ ფრთავაშლილ მოქანავე ღამურებს ემგვანებოდნენ.

კაცს დამპყერი ხეების მიჭრაც უხდებოდა. აუტანლად ცხელოდა. ოფლიან ტანზე კოლოები ესეოდნენ და უმოწყალოდ კბენდნენ. კაცი ერთხანს ითმენდა, მერე კისერზე მოისვამდა ხელს და ერთიანად სრესდა კოლოებს. წყურვილმაც შეაწუხა. თხმელის ბუჩქები გადაწია, წყლიანი ხაპი ამოიღო და პირზე მოიყუდა. ხაპი წყალს გრილად ინახავდა, თუმცა მწარე გემოს აძლევდა. წყლის ჭურჭელი ისევ ბუჩქებში ჩამალა და ცულისთვის რომ დაიხარა, მიხვდა დაღლილიყო. არადა ჩქარობდა, უთენია მოვიდა ტყეში და თითქმის ორი ურემი შეშის მოჭრა მოასწრო. უნდოდა დაღამებამდე კიდევ ერთი ამდენი მოეჭრა, მეტი თუ არა. დილით რომ მცირედ ისაუზნა, მერე შიმშილი აღარ უგრძვნია. გამომლაპარაკებელი არავინ ჰყავდა. სადღაც შორიდან ისმოდა, ვიღაცები ხეს ჭრიდნენ, მაგრამ მისვლა ეზარებოდა. თანაც სად იყო ლაპარაკის დრო.

მეტისმეტი გულმოდგინებით სცემდა ცულს და მალე დაიღალა. მერე კი მოუკლო, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა, მკლავები ჩამოვარდნაზე ჰქონდა.

„რაც მართალია, ძალიან დავიდალეო“, იფიქრა და ჯირკზე ჩამოჯდა, მარჯვნივ გაიხედა, სადაც არხი გადიოდა, მისგან ასე ორასიოდე მეტრის დაშორებით. ვერ გადაეწყვიტა ებანავა თუ არა. ბოლოს ჩავიდა, „ცოტათი გავგრილდები და ჯანიც მომემატებაო“. წყალი მღვრიე იყო, მაგრამ ვინ

დაგიდევდათ, ცივიც კი ეჩვენა. მოშორებით კამეჩები ჩაწოლილიყვნენ და ზანტად იცოხნიდნენ. კაცმა ბეჭემოთებს დააღარა. უყურებდა, როგორ ამოისვრიდნენ სტომაქიდან კამეჩები საცოხნს და ღეჭავდნენ ნელა და გულმოდგინედ. მერე კი ისევ კუჭში ჩააბრუნებდნენ. საცოხნის ამოგდებაზე ყელი ტალღისებურად ებურცებოდათ. „კარგი სათევზაო იქნება აქ“ — თქვა თავისთვის კაცმა. დილით რომ მოდიოდა არხის გასწვრივ, მაშინაც იფიქრა, თუ მოვიცალე ბიჭებს ვეტყვი და სახვეტ ბადეს წამოვიღებთო. კობრი, ქაშაპი და ქორჭილა უღევად იქნებოდა. კაცი ქარიყლაპის ვერ იტანდა, იხვივით რომ ჰქონდა ნისკარტი, „მყრალ თევზს“ ეძახდა. ყველაფერ ოხრობას ჰვამს ეს თევზი — ბაყაყებს, მკვდარ ჩიტებს და რა ვიცი.. ერთხელ დიდი ქარიყლაპია დაიჭირა. რომ გამოშვიგნა, გველი უნახა. ისე შეეზიზღა, მთელი წელი არ გაკარებია საერთოდ თევზს.

მისგან მარცხნივ გველებმა გადაცურეს არხი, ნაპირთან ამოსულ მაღალ ბალახებში მიიმალნენ, შავები იყვნენ და წვრილები, თავი აედერთა და ნარნარად მისრიალებდნენ წყლის ზედაპირზე, რაღაც მედიდურობაც კი იგრძნობოდა მათ მოძრაობაში.

გაახსენდა ბავშვობაში ერთხელ ღორჯობისას ღრუში შეყო ხელი. დიდხანს იწვალა, არ მოეშვა, ეგონა, ბევრი თევზია თავმოყრილიო. რომ გამოათრია, კარგა დიდი გველი შერჩა ხელში. დახვეულიყო და ალბათ თავისთვის ნებვირად იწვა ღრუში. არ შეშინებია, ნაპირზე მოისროლა და მოკლა. თავი გაუჭექჭყა, წელშიც გადატეხა, მოკლედ ერთიანად მოსპო.

თვალეზმოჭუტული იდგა ყელამდე წყალში. გრძნობდა თევზები ცივად რომ გაეკარებოდნენ ფეხებზე და სუნთქვაშეკრულს ჟრუანტელივით დაუფლიდა. კუ შენიშნა, ნაპირიდან ჩამოცოცდა და წყალში ჩაყვინთა. კაცს კუს ბაკნის ორი მოზრდილი საფერფლე ჰქონდა სახლში, ბავშვობაში დაიჭირეს ბიჭებმა, ადულდებულ წყალში ჩააგდეს, ხორცი მოაცილეს ბაკანს. მშვენიერი საფერფლე გამოვიდა. ერთი მაინც მეტად ლამაზი იყო, მოზაიკური, სულ ჯვრებით მოხატული.

კამეჩები რატომღაც წამოიშალნენ და წყალი მთლად აამღვრიეს. კაცი ამ დროს იმაზე ფიქრობდა, კიბოებსაც მოხვებტავთ და ცივ ლულზე დავაყოლებთო. შემდეგ გონს მოეგო: ასე უქმად წყალში ყოფნა დიდ ხეირს არ დამაყრის, სჯობს საქმეს შევეუდგეო, არადა საამო იყო წყალში წოლა. ფიქრიც უფრო ხერხდებოდა. ამოსვლა რომ დაეზარა, იმ მოტივით წამოდგა — კამეჩებმა სულ აატალახეს აქაურობაო. „დღეს რაღაც ბევრს ვფიქრობ, რა მომდის ნეტავი“. — ცულს მოავლო ხელი. წაქეუულ ხეებს ბარდები და ტოტები შემოაცალა, მერე თანაბრად დაჭრა, წყალი მოსვა და შიმშილიც იგრძნო. ხიდან ბადურა ჩამოიღო. ახალი ცერცვი მოეზილა დედამისს და ტყემლით შეეკმაზა. ბალახებში გაშლილ გაზეთზე დააწყო ტყინტი ყველი, მწვანილი, მჭადი. პატარა ბოთლით არაყიც წამოეღო. არაყს მოკლებული ჰქონდა, დილით ციოდა და დალია, გამახურებსო,



თუმცა უიმისოდაც გახტურდა მუშაობაში. ჭადს მიკრული ნიგვზის დიდი ფოთლები ააძრო და ჭამას შეუდგა. არაყი ცოტა შესვა, ამ სიცხეში დიდი ვერაფერი შვილი იქნებოდა. მერე წამოწვა და პაპიროსი გააბოლა. „ყაზბეგის“ ერთი კოლოფი უკვე გაენახევრებია მუშაობაში. თხმელის ფოთლები უჩრდილავდა მზეს, ტოტები მსუბუქ ნიავზე შეირხეოდნენ და მზე მოელამუნებოდა თვალებზე. კაცი მაშინ თვალებს ნეტარებით ხუჭავდა და ელიმებოდა. საოცრად კარგ ხასიათზე იდგა, გარემო დიდებული ეჩვენებოდა, ცაც მეტად ლურჯი და ღრმა იყო. ბევრი წაეკითხა იტალიის ლურჯ ცაზე. „ნეტა ამაზე უფრო ლურჯი როგორ იქნება. ანდა მაშინაც ასე ლურჯი არ იყო, ქოხში რომ ვცხოვრობდით ბიჭები ზღვაზე!“

სამი წლის წინანდელი ამბავი მოაგონდა. ამხანაგის ბაბუას ყანა ჰქონდა ზღვისპირად, ქოხიც ჩაედგა შიგ. მთელი თვით დაუთმო ბიჭებს. ისინი ოთხნი იყვნენ. პომიდორი და კიტრი არ მოჰკლებიათ, იქვე მოდიოდა ბაღჩაში. ელექტროდენიც იყო გაყვანილი, რადიოლა წაიღეს და ანტენა გააბეს ქოხის სახურავზე. ღამით მთვარის შუქზე ხშირად ბანაობდნენ, ანდა შეცურდებოდნენ ნავით, თევზაობდნენ, მხიარულობდნენ. ვიტარაც ჰქონდათ და მღეროდნენ. თევზებს ჯიბის ფარნით იტყუებდნენ. ნამდვილად დიდებული დრო იყო. უკეთესს ვერც ინატრებდა ადამიანი. პლაჟზე ხალხი ბლომად დადიოდა და რა გასაკვირია, ბიჭები ქალიშვილებთან თუ გარბოდნენ, მანაც გაიჩინა გოგო, საქმე სულ უბრალოდ დაიწყო. ჩვეულებრივი ფლირტით, როგორც ხდება ხოლმე და როგორადაც მისი ძმაკაცები ირთობდნენ თავს, ხოლო შემდეგ დილით დიდი ხალისით ჰყვებოდნენ თავიანთ რომანებს (არაა გამორიცხული — შელამაზებულადაც).

მის გოგოს შორს გაცურვა უყვარდა, ვაჟსაც აიყოლიებდა. მიდიოდნენ დიდხანს, ისე რომ ნაპირიდან მათი თავები წერტილებად ჩანდა. ხალხი პირველად ნერვიულობდა, შფოთავდა, შემდეგ კი შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ ეს ქალ-ვაჟი საათობითაც რომ გადაკარგულიყვნენ, მაინც არაფერი მოუვიდოდათ. გოგო დიდებულად ცურავდა, თმა არასოდეს დასველებია. ვაჟი ცურვაში რას შეედრებოდა, ხშირად უხდებოდა გულადმა წოლა დასასვენებლად.

გოგოს პოეზია უყვარდა. საერთოდ მეტად რომანტიკული განწყობის გახლდათ, თუმცა ყველა გოგო ასეთი არაა? ბიჭებს „პაპუასები“ შეარქვა. იმათაც მოეწონათ ეს სახელი და გოგო „პაპუასების საპატიო წევრად“ მიიღეს, ხოლო „პაპუასების ბელადად“ ეს ვაჟი აირჩიეს. ქოხსაც „პაპუასების ხატა“ დაერქვა. მოკლედ, ნამდვილ პაპუასებს დაემგვანენ, ისე გაშავდნენ ზღვაზე. თანაც წვერები მოუშვეს. ბელადმა „პაპუასების ჰომნი“ დაწერა და კიდევ ერთი ლექსი გოგოზე (ამ ტანჯვა-წამებას მთელი ღამე შეაღია, ბიჭებიც გააწამა, შუქი და რადიო არ გამოურთავს. მუსიკა ალბათ ეხმარებოდა. თუკი ვინმე ეტყოდა, გეყოფა აწი დაიძინეო, ესეც



მიუგებდა — თქვენ რომ გძინავთ, შე მაშინ ვფხიზლობო). მოკლედ დაწერა ეს ორი ლექსი, თუმცა ადრე აზრადაც არ მოსვლია ლექსების წერა თუ შეეძლო. ჰიმნი მშვენიერი გამოდგა, ხმაც მოუძებნეს და გიტარაზე ამღერებდნენ. გოგოს სიმღერა მოეწონა, მაგრამ ვისი შექმნილი იყო, არ უთხრეს, არ უთხრეს, რადგან ვაჟს ასე სურდა. ბიჭებს არც ის უთქვამთ შენზე ლექსი დასწერაო. ისე კი დარწმუნებული იყვნენ, ვაჟს უყვარდა გოგო; გოგოს გრძნობებში მთლად ვერ გარკვეულიყვნენ, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდათ, გოგოც თანაუგრძნობდა ვაჟს.

ერთხელ, როცა ბელადი სულ სხვა ქალიშვილს ასწავლიდა ცურვას, თანაც მეტრსმეტი მონდომებით, „პაპუასებმა“ შეამჩნიეს, რომ ეს გოგო ადგა, მოშორდა იჭაურობას და იმ დღეს სულ არ გამოჩენილა ზღვაზე. სალამოს ბელადს მოახსენეს — ასე და ასე, ეწყინაო. მერე რა მოხდა, შეყვარებული ხომ არაა ჩემიო, ისე უდარდელად უპასუხა, ვითომც არაფერი ენალვლებოდა. — აბა, სხვა გოგოსთან ველარ მივსულვარო. მეორე დღესაც იმ ქალიშვილთან იყო, ეს გოგო კი „პაპუასებთან“ თამაშობდა დომინოს, იმათკენ არც კი გაუხედავს, თავისუფლად თამაშობდა და იცინოდა. თუმცა მისი შინაგანი წუხილი სწორედ ამ ძალდაუტანებელ, თავისუფალ სიცილში იგრძნობოდა. შემდეგ ბელადიც მოვიდა პაპიროსისათვის, ბიჭებმა უთხრეს დაჯექი და ითამაშეო.

— ჯერ ცურვის გაკვეთილები აქვს ჩასატარებელი, — თქვა გოგომ.

— დავამთავრე მოწყალეო ქალბატონო—მიუგო ვაჟმა და დაჯდა. ერთხანს თამაშობდნენ, შემდეგ ბიჭები გაიკრიფნენ.

— ძალიან ადრე დაამთავრეთ სწავლება, — ხმა ამოიღო ბოლოს გოგომ.

— ოო, დიდად ნიჭიერია, მალე დაეუფლა — მიუგო ვაჟმა და რომ გადახედა, მიხვდა ასეთი ხუმრობა ამყამად მეტად სახიფათო იყო.

— ამ აზრის გასაზიარებლად მოდიო? — თქვენობით განაგრძო გოგომ. ვაჟი დუმდა, პაპიროსს სწევდა.

— ბუმერანგი ხომ არ გაგივია, — ჰკითხა. გოგომ ახედა.

— ავსტრალიელ აბორიგენებს ჰქონდათ ეს იარაღი. მოხრილი ჯოხია. ესროდნენ ფრინველს ან ნადირს. ბუმერანგი დიდ წრეს შემოხაზავს და მსხვერპლთან ერთად ვარდება, თუ არა და პატრონს უბრუნდება. არასოდეს არ იკარგება. დიდებული რამეა...

გოგოს არაფერი უთქვამს, მდუმარედ იჯდა, მერე ადგა და ზღვაში შევიდა. ვაჟი ნანობდა ნეტა რაში მჭირდებოდა, იქნებ ვერც კი გაიგო რაც ვუთხარიო. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც ნელა შევიდა ზღვაში. შორს გაცურეს. ქარი ამოვარდა. ვაჟი მიხვდა, მობრუნება სჯობდა, მაგრამ ვერ ეუბნებოდა, გოგო კი ისევ მისრიალებდა, ძლივს დაეწია. ასე უბრად მიცურავდნენ. ბოლოს გოგო ზურგზე გადმობრუნდა. „დაიღალა—გაიფიქრა ვაჟმა — ჯერ არ მახსოვს, ზურგზე დაესვენოს“. თვითონაც იკადრა გულა-

ლმა დაწოლა. აქოჩრილ ტალღებზე ძნელად იკერდა თავს, ნაპირისკენ გაიხედა. იქეთ წყალმარჩხი იყო და შორიდანვე მოგორავდა უზარმაზარი ტალღები. ასე რომ, ნაპირი არც ჩანდა. გოგო მასთან მიცურდა — რაო, ბუმერანგს ან მსხვერპლთან ნახავს პატრონი, ან მას უბრუნდება?

— ჰო, პატრონს არასოდეს ჰკარგავს.

— ვერ გამოვიდა, — თქვა გოგომ, — ბუმერანგი მიზანში ყველაფერს იღებს?

ვაჟს აქამდე ეშინოდა, ვაი თუ ვერ მიმიხვდა ნათქვამსო. ახლა დამშვიდდა, მგონი გაიგო, ხელი მოავლო მკლავზე. აქამდე ზღვაში არასდროს მოეკიდა ხელი, რომ გოგოს არ ეფიქრა—სარგებლობს წყალში ყოფნითო.

— შეიძლება, — დაიწყო მან, მაგრამ წყალი შეესხა და გადაყლაპა. მცირე ხანს ახველა. გოგო ელოდა, პასუხს ელოდა.

— შეიძლება, — განაგრძო, მაგრამ ხმა ჩაეხრინწა. ის კი უხმოდ ელოდა, რას ეტყოდა ვაჟი.

— შეიძლება ბუმერანგმა გზადაგზა წვრილ-წვრილი ფრინველები ან მხეცუკები მოინადიროს, მაგრამ მან იცის თავისი მთავარი მიზანი.

ვაჟი გრძნობდა, ქალიშვილს აბრაზებდა მისი ირონიები, და მაინც ასე უთხრა, არც უნანია, რადგან გოგო სწორედ ირონიისათვის შეეთვისა პირველად.

გოგო კიღევ ახლოს მოცურდა და მიაჩერდა. — მოვბრუნდეთ — უთხრა ბოლოს — დიდი ტალღებია.

იგი მშვენიერი მოცურავე იყო, მაგრამ ტალღებთან ბრძოლა უჭირდა.

— ჩაყვინთე, — როგორც კი მოგიახლოვდება, ჩაყვინთე. — გააფრთხილა ვაჟმა.

გოგო ცუდად ყვინთავდა, წყალსაც ყლაპავდა. ვაჟმა შენიშნა დიდი ტალღა ეწეოდათ.

— ჩაყვინთე, — დაუყვირა და ხელი მაგრად მოკიდა. ტალღამ რომ გადაიარა, თავი ამოყვეს. გოგოს სახე გაშავებოდა, წყალი გადმოსხა პირიდან. „ვერაა საქმე კარგად“ — მიხვდა ვაჟი, ძალით ჩააყვინთებდა ხოლმე და ასე მიცურადენენ. გოგომ რამდენჯერმე ისე დაქაჩა, კინაღამ ჩაითრია და დააღრჩო, შიშს აეტანა, თუმცა ცდილობდა დაეფარა.

— შენ წადი, — უთხრა მან, — წადი, თორემ ასე დაგახრჩობ. ჩემით უფრო გამოვალ.

— ნუ სულელობ. სულ მალე... — ვერც კი მოასწრო დამთავრება, ტალღამ დაარტყა და გოგო ხელიდან გამოგლიჯა.

ო, რა შეშინდა, როცა ტალღამ გადაიარა და ის არ გამოჩნდა. ჩაყვინთა და თვალი მოჰკრა მას, ვარდისფერ ფეხებს მისწვდა. ზედაპირზე ამოიყვანა. გოგო ღარტიანებული ჩანდა.



ასე წვალებით გააღწიეს. ნაპირზე ხალხი შეჯგუფებულიყო და რაღაცს უყვიროდნენ, შველას ვერავინ ბედავდა. ვაჟი მიხვდა უაზრო დარიგებებს აძლევდნენ, რადგან მეტი არ შეეძლოთ, ქალ-ვაჟი მოშორებით გავიდნენ, ასე შიშნაჰამი რომ არ ჩვენებოდნენ მათ. არადა მთვრალეობით ბარბაცებდნენ.

—გავიცინოთ,—უთხრა ვაჟმა,—ვითომ არაფერი მომხდარა... გოგომ თავი დაუქნია, მაგრამ გაღიმებაც ვერ შესძლო. ხელს არ უშვებდა. ვაჟმა ახლა იგრძნო როგორ იჭერდა მისი თითები, ფრჩხილები ლამის ჩასობოდა. ხალხთან რომ მივიდნენ, პაპიროსი გამოართვა ვილაცას. გაელიმა, თურმე მთელი გზა პაპიროსს ნატრობდა.

გოგომ თქვა, ვაჟმა გადამარჩინაო, ვაჟი ირწმუნებოდა გოგომო, ერთმანეთში კი შეთანხმდნენ — ბუმერანგმა თუ გვიშველაო.

წამოჯდა, საათი ამოიღო. „აჟ, რა დრო გასულა. რა მომდის ვერ გამიგია. ფიქრად არ გადავიქეცი? არადა ყოველთვის მიხარია ამის გახსენება. რაზეც არ უნდა ვფიქრობდე, ბოლოს პაპუასობაზე გადავდივარ“. უცებ გაეცინა—„წარმომიდგენია, რა მოწყენილი სახე მექნებოდა“. ის გოგო ხშირად კითხავდა, რატომ მოიწყინეო. მას კიდევ ახსნა ეზარებოდა, რომ კი არ მოიწყინა, უბრალოდ ფიქრობდა, ესაა და ეს! ფიქრისას ალბათ დაღვრემილი იერი ჰქონდა. ალბათ კი არა, უთუოდ ასე იყო, რადგან ამხანაგებიც ჰკითხავდნენ ხოლმე, რად მოიწყინეო. ისიც პირველად უხსნიდა, რომ ნამდვილად არ მოუწყენია, მერე მოზეზრდა და აღარაფერს ამბობდა. „ჯანდაბას, ისე ვფიქრობ აღარ ყოფილა საშველი“—ცულს წამოავლო ხელი. მსუბუქად სცემდა ხეს. რომ დაუკვირდა, მიხვდა, რომელიღაც სიმღერის მოტივზე აეწყო მუშაობა. სულ ერთდამიღვე სიტყვებს იმეორებდა.

—„მოულოდნელად იცვლება რაღაც“... ბოლო სიტყვა ცულის ხეზე დაშვებას ემთხვეოდა, სხვებს მოქნევისას ამბობდა. „აჰ, ეს ხომ ჩვენი. პაპუასების ჰიმნიდანაა. დანარჩენი სიტყვები აღარ ახსოვდა. ეცადა მოეგონა რაზე იყო მიწყობილი ეს სტროფი, მაგრამ ამაოდ. „მოულოდნელად იცვლება რაღაც... მოულოდნელად იცვლება რაღაც“... და ზედიზედ ეცემოდა ხეები. „რაზე მივაწყვე საინტერესოა, ანდა რა უნდა შეცვლილიყო მოულოდნელად. ან კი საერთოდ რაიმე იცვლება მოულოდნელად? სისულელეა! შეიძლება უბრალოდ შეგეშალოს ხელი ადამიანს და ვერ გააკეთო რაც გსურს, ანდა საერთოდ, ვერ აეწყოს, მაგრამ მოულოდნელობით არამც და არამც. აი, მაგალითად, აგვისტოში კვლავ წავალთ ბიჭები იმ ქოხში, გავიხსენებთ ძველ დროს, ჰო, ასე აჯობებს, თორემ დედაჩემმა დამიჩემა ცოლი შეირთეო. მისი ამბავი რომ ვიცი, ამ შემოდგომაზე გადამიხდის ქორწილს და მერე მშვიდობით პაპუასობავ. ცოლის შერთვა თუ შემიშლის ხელს, თუმცა ამას მოულოდნელობას სულ ვერ მიაწერ კაცი“.

არადა დედამისი მართლა აუხირდა. ინსტიტუტი უკვე დაამთავრებდა. დროა ცოლი შეირთო, ჩვენს მეტი ოჯახში არავინააო.

„კი ბატონო, შევირთავ, კოსტიუმი მინდა შევიკერო სექტემბერში. მგონია არც მაგაში შემეშლება ხელი, ეგ რა დიდი ამბავია. მაგრამ ამდენი ფიქრი რაა, ვერ გამივია“. კარგახანს მუშაობდა ფიქრის გარეშე, მერე „ოპ“ წამოიძახა და გაჩერდა გაღიმებული, შუბლზე ხელი მოისვა, „ხვალ ხომ ჩემი დაბადების დღეა. თურმე რატომ ვფიქრობდი ამდენს. სულ არ გადამავიწყდა?“ ინსტიტუტი რომ დაასრულა, სახლში დაბრუნებულს უკაცო ოჯახში იმდენი საქმე დახვდა, დაბადების დღე კი არა, თავიც კინალამ დაავიწყდა.

„რამდენი ხანია არ გადამიხდია დაბადების დღე, ყველას მოვიწვევებ ვეღ პაპუასებს... რა კარგია! დიდი ხანია ერთად არ მოგვიყრია თავი“. ახლა უფრო ხალისიანად განაგრძო მუშაობა. „მოულოდნელად იცვლება რაღაც“... რა თქმა უნდა, ცოტათი იცვლება. აი, დაბადების დღე არც მახსოვდა და რა კარგად აეწყო... თუმცა მოულოდნელობა არაფერ შუაშია. მოულოდნელობა ის იქნებოდა, რომ საერთოდ გამქრალიყო დაბადების დღე“.

ბინდებოდა. მეწამულმა მზემ იისფერში გაახვია გარემო და ახლა თხემლის კორომებს იქით აპირებდა მიმალვას. კაცი აჩქარდა. ბოლო ზე მოკრა, ბარდები ჩამოაცალა, დაჭრა. მორზე ჩამოჯდა მცირე ხნით, რომ მოეფიქრა საურმე გზაზე გაეტანა თუ აქვე დაეტოვებია შეშა. მერე დაღლილმა გადაწყვიტა, ურემი აქაც შემოაღწევს როგორმეო. მგონი სამ გზაზე კი ავიტანო. არ შიოდა. „სახლში ავალ და დედასთან ერთად ვივანშებო“.

ხაზი ამოიღო ბუჩქებიდან, საკმლის ბადურაზე გადასვენა. ცულის ტარზე ჩამოაცვა, მხარზე გადაიდო და არხის პირს გაუყვა სახლისაკენ, თან პაპიროსს სწევდა.

„ხვალ ადრე დილით ჩამოვალ ბიჭებთან ერთად. სახვევ ბადეს წამოვიღებ, რა ჯობს ნედლ თევზს. კობრი იქნება ბლომად. მგონი კეფალიც დარჩეს, მშვენიერი პურ-მარილი გაიშლება; ღვინოც გრილად შეინახებოდა ჭურში“.

ამის წარმოდგენაზე უფრო გამხიარულდა. „დედას ემახსოვრება, როგორ არა, იქნებ უჩემოდ ემზადება კიდევ. ამ ორი წლის წინათ ასე არ გააკეთა? ხვალ დილით მაკოცებს შუბლზე, როგორც მაშინ და მეტყვის ბედნიერად გაგიტენდა ეს დღე და ეს წელი, ბედნიერად, ბედნიერადო... გაეცინა. „ასეა! მოულოდნელად იცვლება რაღაც... თითქმის ასეა“.

სოფლის ორღობეს მიუახლოვდა. ჯერ ეს გზა უნდა გაევილო, მერე რკინიგზას გადაჭრიდა და შემდეგ მივიდოდა სახლში.

„მოულოდნელად იცვლება რაღაც“ — ჩაილიდინა და სოფლისაგან მწყობრში მიმავალ ბატების გუნდს აუწყო ფეხი. ჭადრებთან რომ მოუხვია, პირველივე ეზოში შეჯგუფულ ხალხს მოჰკრა თვალი. რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ აღელვებულნი. კაცმა პატარა ბიჭს დაუძახა.

— ეი, ბიჭო რა ამბავია! არ გესმის? აქ მოდი! რა ამბავია მეტეი. — ბიჭი ტრიფოლიატის ღობეს მოადგა.

— რა ამბავია და...

კაცს ცივად ჩაედვარა გაგონილი. უცებ იფიქრა სიზმარში ვარ ნამდვილადო.

— რა თქვი?

ტრიფოლიატის წვრილ ფოთლებში მოსჩანდა ბავშვის დაჰყეტილი თვალები, თითქოს უკვირდა, ეს კაცი ჭურში ხომ არ იჯდაო.

— რა თქვი?! — სიზმარეულივით იკითხა კაცმა.

ბიჭმა ტუჩებზე ხელისგულები შემოირკალა და ხმამაღლა გამოაცხადა — ომიაო...



## არის წარსული...

ჩვენ ხშირად ვხედავთ:  
ქუჩის პირად სხედან მოხუცი, —  
დაღონებულნი,  
ისე როგორც ჭირისუფლები.  
ჰე, მეგობრებო!  
სევდა მაინც რჩება უცვლელი,  
მხოლოდ მათ ძალუძთ  
გვესაუბრონ მთელი უფლებით.  
დრომ განვლო, მაგრამ  
არ შორდება გულს იარები,  
თვალს ცრემლი,  
ღიმილს სიმკრთალე და  
სიტყვას წუხილი,  
მათ სულში ჰქრიან  
სუსხიანი ომის ქარები,  
თითქოს კვლავ ესმით  
სამამულო ომის ქუხილი.  
...არის წარსული,  
ავიწყდება კაცს დროთა სვლაში  
და სიხარული  
ფარავს შემდეგ გარდასულ წყენას, —  
მაგრამ ამ წარსულს,  
მეგობრებო,  
ვერავენ წაშლის,  
არის წარსული, —  
რომ არ ძალგვიძს  
გადავიწყება.

გრივალმა, როგორც მეგზურმა,  
 ცეცხლიან გზებზე მატარა,  
 ცრემლის წვეთებით ამივსო  
 საწუთრომ ბედის მათარა.  
 რას იზამ, ჭმუნვით მანიშნა, —  
 ომი ნამდვილად ომია,  
 სანგარი გამაჭრევიანა,  
 საფლავი გამაზომია.  
 არც სასთუმალი მათხოვა,  
 აღარც სიმშვიდე მარგუნა,  
 სისხლის ღელეში ჩამაგდო  
 და ჯარასავეით მაბრუნა.  
 მწყურვალს და ბაგე გამშრალსა  
 მიწა რომ დამაკოცნია, —  
 სანთლად ამინთო ჩინარი,  
 სამშობლო დამალოცნია.  
 მოდი და ნულარ აყვები  
 შენი ბედიღბლის ოწინარს, —  
 ჯერ პირტიტველა ჭაბუკი  
 გრივალზე დამაქორწინა.  
 ასე მატარა. მატარა,  
 და ცხრა მთა გადამატარა.  
 მერე მეომარს ბერლინში  
 მშვიდობა გამიმთავარა.  
 გაზაფხულის მზე ამინთო,  
 ვარდები გადმომთავარა.

## ბინდი და ფიქრი...

სევერიან ისიანის გახსენება

თეთრი საღამო,  
 თეთრი საღამო,  
 სარკმელთან თითქოს თეთრდება ბინდიც.  
 ბინდი და ფიქრი დაუსაბამო  
 და ფანტელების თრთოლვას განიცდი.  
 იქნებ შორეულ დღეებს იგონებ,  
 ასე გეწვევა ალბათ ჭაღარა...

კვლავ გაგახსენებს ყრმობის სტრიქონებს  
და შენ სიხარულს ველარ დაფარავ.  
ვინ იცის, იქნებ, შენ ეს სადამო  
დახატო, ფიფქი დაჰყვეს შენს ნებას.  
დაგაფენს სულზე თოვლის მალამოს  
ეს ქუთათური ზამთრის მშვენება.  
ამბობ:

..მე მიყვარს სადამო ზამთრის,  
მიყვარს ფანტელთა ამგვარი ცვენა,  
რა კარგი არის,  
რა კარგი არის,  
ამ სიყვარულში ლექსების წერა“.  
ეს იყო მაშინ... მრავალ წლის წინათ. —  
სიმღერისათვის დრო გქონდა ოდეს!  
დღეს კი ბრიანსკის მახლობლად გძინავს  
სიმღერის კაცს და მეომარ პოეტს.  
გძინავს მეომარს და ბავშვს უცოდველს.  
იქაც თოვს ახლა, და თოვას უმზერ.  
შენ სიყვარული რასაც უწოდებ.  
დიდი სიჩუმით გეფრქვევა გულზე.





## ჯემალ ხოჯაიანი

### ი მ ე ლ ი

მაღალ-მაღალმა, სახენაყვაველარმა კაცმა ყავარჯნები ცისფრად შე-  
ღებილ ძელსკამის საზურგეზე მიაყუდა, თავის დაკვრით მომესალმა და  
ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

იგი ერთხანს მდუმარედ, თვალმოუშორებლად გასცქეროდა ლურჯად  
მოლივლივ ზღვას, მერე ახალგაღვიძებულივით შეიშმუშნა, ამოიოხრა,  
გაცრეცილი კოსტიუმის ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა, ასანთი მთხოვა,  
მოუკიდა და ღრმა ნათფაზით გააბოლა.

იჯდა გაუნძრევლად და თამბაქოს მოიისფრო კვამლში გახვეული  
დუმდა თუ ფიქრობდა. საოცრად ნაღვლიანი თვალეები ჰქონდა ამ კაცს,  
ნაღვლიანი, დანაოჭებული სახე და დიდი, ხორცისფერი ჭრილობა ლოყა-  
ზე... სიგარეტის ნამწვი გადააგდო და მომიბრუნდა.

— თუ შეიძლება, გაზეთი მათხოვეთ!

— სიამოვნებით! — გაზეთი გავუწოდე.

გამომართვა, გაშალა და ინტერესით დააცქერდა. დიდხანს კითხუ-  
ლობდა, მერე თავი აიღო და სივრცეს გაუშტერა დაბნეული მზერა.

— ისევ იბრძვიან! — თქვა ჩურჩულით, — ოხ, ეს წყეული, წყეული  
ომი!.. — და ისევ გაზეთს დააცქერდა.

ის-ის იყო, რაღაც უნდა მეთქვა, რომ მოახლოებული ნაბიჯების  
ხმა შემოგვესმა.

გავიხედე. წელში ოდნავ მოხრილი თეთრწვერა ბერიკაცი მოგვიას-  
ლოვდა. ხელში ბზის კოყრიანი ჯოხი ეჭირა.

მის დანახვაზე ხეიბარი ოდნავ შეკრთა, შუბლი შეკუმუნა, წამოიწია  
და მოხუცს ნაძალადევი ღიმილით მიეგება.

— მობრძანდით, სიმონ ბიძია, მობრძანდით...

მოხუცმა ჯერ მას შეხედა, მერე მე და მოგვესალმა.

— გამარჯობათ შეილებო!

— მობრძანდით ბიძია! — მოვიბატიე და ადგილი გავუთავისუფლე სკამზე.

ბერიკაცმა თავი დამიძაგუნა, ჯერ სკამის საზურგეზე მიყუდებულ ყავარჯნებისაკენ გააპარა მზერა, მერე ხეიბარს შეხედა შეფარვით, ამოიოხრა და მუხლებზე ხელებდაბჯენილი, ხენწმით ჩამოჯდა.

— როგორ ხარ ლევან, ჰა? — ჰკითხა ხეიბარს და მიაჩერდა.

— რა ვქნა, სიმონ ბიძია, ქე ვარ ძველებურად, — ნალვლიანი ხმით მიუტო ლევანმა, — თქვენ როგორ გიკითხოთ?

— ეჰ, მე რა სახსენებელი ვარ, შეილო, ვათრეც სულს და ვარ ასე. კაცს რომ სიკვდილი სანატრელი გაუხდება, როგორ იქნება?!.. რა სწერია მაგ გაზეთში? ისე დამაკლდა თვალს, რომ სათვალეც აღარ მშველის, ვედარ ვკითხულობ.

— ვიეტნამში ისევე ომობენ, სიმონ ბიძია!

— ვიეტნამში, ხომ?

— დიას!

— ამერიკელები, არა?

— კი, ამერიკელები, მეტი ვინ იქნება აბა.

— კი, მარა, აღარ უნდა დამთავრდეს ეს წყეული ომები ჭვეყანაზე? — ბრაზიანი ხმით ჩაილაპარაკა მოხუცმა, აკანკალებული ხელით ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. რამდენიმე ნაფაზის შემდეგ საშინელი ხველა აუტყდა და გადამწიფებულ კომშივით ყვითელი, ჩამჭკნარი სახე წამით აულაულაჟდა.

— მკლავს ეს ოხერი და ძირმოსასპობი და მაინც ვერ ვანებებ თავს. — თქვა მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როცა ხველა შეიკავა.

— უნდა მიატოვო, სიმონ ბიძია, ხომ ხედავ როგორ გწყენს.

— ეჰ, განა არ ვიცი ბიძია, რომ მწყენს, მაგრამ რა ვქნა, ამას ვაყოლებ ჯავრს, გულს ვატან... რაც ი საწყალი ბიჭები დაიკარგნენ, მას მერე ვიწვევი...

შვილების გასხენებაზე მოხუცს თვალები დაებინდა, ხელები აუცახცახდა, თავი გვერდზე მიაბრუნა და ჩვენ რომ არ დაგვენახა, მალულად მოიწმინდა მომდგარი ცრემლი.

ხეიბარმა მაინც შენიშნა ცრემლი მის თვალებზე. თავი ხელისგულებში ჩარგო და მოხუცისაკენ არ მიუხედავს ისე თქვა მოგუდული ხმით:

— იქნებ ცოცხლებია სიმონ ბიძია, ვინ იცის, ცოცხლებია იქნებ... შენ კი დარდობ...

— იმედის ძაფი გამიწყდა ბიჭო, დიდი დრო გავიდა, — მძიმედ ჩაილაპარაკა მოხუცმა, — ოცდაოთხი წელია ველი, დღე და ღამე მათზე



ვდიქრობ, ისინი მიდგას თვალწინ, მათი მოგონებით ვცხოვრობ, მათზე ფიქრია ჩემი ერთადერთი იმედი და სიცოცხლის აზრი ახლა.

მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და დაშტერებით ჩააცქერდა მის ფეხებთან დაყრილ ქვიშას.

ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოწვა, რომელიც კარგახნის შემდეგ ისევ ლევანმა დაარღვია. მან მუჭში ჩაახველა და მოხუცს მიუბრუნდა.

— გულს ნუ გაიტეხ, სიმონ ბიძია, ყველანი როდი კვდებიან ომში... ველოდოთ, იქნება დაბრუნდნენ.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო, — სახეზე ოდნავ შესამჩნევად ღიმილი მოეფინა ბერიკაცს.

ბავშვების ყვირილ-ხივილი მოისმა.

პარკში აწყობილი ნაბიჯებით ჩაიარეს წითელყელსახვევიანმა გოგო-ბიჭებმა. მოხუცს წამით გადაავიწყდა თავისი სადარდელი და ღიმილით მიაჩერდა მათ.

— სად მიდიან ეს კულრაჭები?

— დღეს ხომ დღესასწაულია, სიმონ ბიძია, — აუხსნა ლევანმა.

— დღესასწაული?!

— ჰო, ცხრა მაისია სიმონ ბიძია, გამარჯვების დღე, ამ დღეს არ დამთავრდა ომი?

— ჰოო, სულ დამავიწყდა, მართლაც რომ დღესასწაულია, ყველაზე დიდრი, ყველაზე სანატრელი... თუმცა, ყველასათვის როდი დამთავრდა ომი. ჩემთვის ახლაც გრძელდება იგი და არც შენთვის დამთავრებულა. იქნებ მართლაც დამიბრუნდნენ ჩემი ბიჭები, ჰა! — თქვა მოხუცმა, წამოდგა, ქუდი დაიხურა და დაგვეშვიდობა.

ლევანი მანამდე გასცქეროდა მას, სანამ იგი თვალს არ მიეფარა, მერე შემხედა და ისე თქვა, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებო: —

— საწყალი სიმონ ბიძია სულ შვილებზე ფიქრობს, თუმცა რა გასაკვირია, მათ გარდა არავინ გააჩნია ქვეყანაზე. რას ნიშნავს მშობელი — ამდენი წელი და მაინც აქვს რალაცის იმედი.

— თქვენ იცნობდით მაგის ვაჟებს? — ვკითხე მე.

— ვიცნობდი?! ერთად გავიზარდეთ სამივენი. მეზობლად ვცხოვრობდით. ტყულები იყვნენ. საწყალი მაგათი დედა მაშინ მომკვდარა, როცა ისინი ერთი თვისა ყოფილან. სიმონ ბიძიას სოფლიდან თავისი და ჩამოუყვანია და ბიჭების აღზრდა მიუხდვია, ცოლი კი არ შეუერთავს, — დედინაცვალი შვილებს დამიჩაგრავსო... საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ. ის-ის იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ვემზადებოდით, რომ ომი დაიწყო.

იმ დღიდან ოცდაცხრა წელი გავიდა, მაგრამ ახლაც გარკვევით მახსოვს ყველაფერი. ხმაურობდა და ბობოქრობდა სადგურის ბაქანი,



ქშინავდა ორთქლმავალი. რკინიგზის ბოძზე ზარი ეკიდა — სპილენძის მწვანეყანგმოდებული ზარი... ეშელონი თანდათან ივსებოდა ახალწვეულებით. ყოველ მათგანს თავისი გამცილებელი ჰყავდა — ზოგს ცოლი, ზოგს დანიშნული, ზოგს გულისსწორი, ზოგს დედა, ზოგს დედ-მამა, ზოგს კიდევ... არავინ.

სადგურიდან წითელქუდიანი კაცი გამოვიდა, ზარს შემოჰკრა ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... ორთქლმავალმა შეჰკივლა და ეშელონიც დაიძრა. სიმონი აძრულ ეშელონს მოსდევდა და ხელს გვიქნევდა:

— ფრთხილად იყავით ბიჭებო, არ გამამწაროთ, წერილი მომწერეთ, წერილი!.. — მერე ჩამოგვრჩა. უკანასკნელმა ვაგონმაც ჩაუარა... ჩვენ კი კარგახანს ვხედავდით მას: იღვა, ხელს გვიქნევდა. მერე ყველაფერი თვალს მიეფარა.

ლევანმა თხრობა შეწყვიტა, თვალი ერთ ამოჩემებულ წერტილს გაუშტერა და შუბლი შეჭმუხნა.

შემდეგ რა იყო? უნდა მეკითხა, რომ მან დამასწრო და განაგრძო.

— ეხ, რამდენ რამეს გამოცდის კაცი, რამდენ ტანჯვასა და გაჭირვებას გადაიტანს. მერე, როცა გაიხსენებ, შენც გიჭირს დაჯერება. იმდენი რამე გამოვცადე და გადავიტანე, რომ მგონია საკუთარ თავზე უხნესი ვარ, და ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო და სხვა არაფერი. ომში ყველაფერი ხდება... ფრონტისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენი ეშელონი საშინლად დაბომბეს და ჯოჯოხეთურ სიბნელეში ჩვენ — მე და სიმონის ბიჭებმა ერთმანეთი დავკარგეთ.

— მერე არ შეხვედრიხარ?

— როგორ არა, ჩემს თვალწინ დაიღუპნენ ორივენი.

— დაიღუპნენ?!

— ჰო...

— აბა წელან მოხუცს რომ უთხარი...

— აბა რა მეთქვა. ოცდაოთხი წელიწადია ასე ვატყუებ. იმედი აქვს, ჰგონია დაბრუნდებიან. ელოდოს, ასე არა სჯობია?

უსიტყვოდ დავუქნიე თავი.

მან ისევ მოუკიდა სიგარეტს და დაიწყო:

— სიმონის ვაყებს იმ ქალაქში შეევხდი, სადაც განკურნებულნი დაჭრილებისაგან ახალი ბატალიონები ფორმდებოდა ფრონტზე გასაგზავნად. წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდა მათი დანახვა...

სამი დღის შემდეგ ბრძოლაში ჩავებით. სწორედ აქ დაიღუპა სიმონის ერთ-ერთი ვაჟი — ნოდარი. ნაღმის ნამსხვრევმა განგმირა იგი...

ლვოვთან თავდაცვის ზღუდე გვეჭირა. უეცრად გერმანელთა შორსმსროლელი ყუმბარა დაეცა ჩვენს სანგარს. მიწაში ჩავიმარხეთ. როცა გონს მოვედით, თავზე ავტომატმომარჯვებული გერმანელები გვადგნენ. სანგრიდან ამოგვრეკეს და კონდახების ცემით გაგვიგდეს წინ.

პოლონეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გვიკრეს თავი ბანაკი, რომელიც ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობდა, სამმაგი მავთულწლართებით იყო შემოკავებული, მავთულეებში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. ბანაკის კუთხეში კრემატორიუმი იყო, რომელიც დღე და ღამე ბოლავდა, ათასობით ადამიანის სიცოცხლეს ფერფლავდა.

— არა ძმაო, — მითხრა ერთ დღეს ზურაბმა (ზურაბი ერქვა სიმონის ფაქს), — რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიქცეთ!

— მართალი ხარ, მაგრამ...  
— ვიცი რისი თქმაც გასურს, უნდა გავრისკოთ. მეტი გამოსავალი არ არის, არჩევანი არა გვაქვს, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია.

გადავწყვიტეთ გავქცეულიყავით. მთელი კვირის განმავლობაში უთათბირობდით, ვაწყობდით გეგმებს, ვმსჯელობდით, ვუცდიდით ხელსაყრელ დროს.

ერთ დღეს ჩვეულებრივ გაგვრეკეს სამუშაოზე, ხე-ტყეს ვამზადებდით გერმანიაში გასაგზავნად. სწორედ მაშინ მოგვეცა შემთხვევა გავგეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი. გავრბოდით ხშირ ტყეში, არ ვიცოდით კი საით. მერე ჩამოხედა და დაღლილ-დაქანცულები ხის ძირას მივეგდეთ და იქვე ჩაგვეძინა. ძაღლების ყეფის ხმამ გამოგვადვილა. გათენებულიყო, ტყე გერმანელებით იყო სავსე. თურმე პარტიზანებს ეძებდნენ, ჩვენ კი ჩაუუვარდით ხელში. შეგვიპყრეს და ისევ ბანაკში დაგვებრუნეს.

— ჩვენ ვიცოდით, რომ შორს ვერ გაიქცეოდით, წვინტლიანო ლორებო! — გაიკრიჭა ბანაკის კომენდანტი და მათრახის ცემით ლამის სული არ ამოგვხადა. ერთი კვირა გვაწამებდნენ, მერე რატომღაც ჩამოგვეთხოვენ.

გაქცევის ცდაზე მაინც არ აგვიღია ხელი.

— სულ ერთია, მაინც გავიქცევით, ჩვენებს მოვძებნით, ისევ დაებრუნდებით და მერე კი გვიფრთხილდი ობერშტურმბანფიურერო შელერ! — იქადნებოდა ზურაბი.

ერთ დღეს, გაზაფხულის უმწეო, ღრუბლიან დღეს მე და ზურაბი მავთულწლართების მახლობლად ვიჯექით და დაღონებულები გავცქეროდით სივრცეს.

მერე ზურაბმა თვალი გააყოლა შავ, წვიმისაგან დამძიმებულ ღრუბლებს და ჩაილაპარაკა:

— საქართველოში ალბათ ახლა მზიანი დღეა, ცა ლურჯია და წყნარი, ჰყვავიან ყვავილები და ვარდები. ეჰ, ერთი ახლა ჩვენს ქუჩაზე გაგვასეირნა.

— მაგას რაღა აჯობებდა! — მივუგე მე.

— ერთი მამა მანახა, როგორ მენატრება, — განაგრძობდა ფიქრებში წასული ზურაბი.

— ზღვა შემთბარი იქნება, არა? ახლა შეიძლება ზღვაში ბანაობა  
გახსოვს, ამ დროს ვბანაობდით უკვე.

— როგორ არა, ზურაბ, მახსოვს!

— ერთხელ მეთევზეების ნავი რომ ავხსენით და ოთხი კილომეტრით  
დავმორდით ნაპირს... გახსოვს?

— როგორ არა, მახსოვს!

— რამდენი გვეძებებს, კინაღამ მოგვეკლეს მეთევზეებმა, მერე გვაპა-  
ტიეს, ნავიც გვათხოვეს...

ჩვენგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, კოშკურაზე გერმანელი  
ჯარისკაცი არხინად სტვენდა რომელიღაც თავმომაბეზრებელ მელოდიას,  
ნერვებს გვიშლიდა მისი ვაუთავებელი სტვენა და ბორიალი. სტვენა რომ  
მობეზრდა, ქალაღის პარკი გახსნა, პური და ძეხვი ამოიღო და არხე-  
ინად დაიწყო ჭამა. პურის და ძეხვის დანახვაზე რაღაც ამოხვრის მაგვა-  
რმა ხმამ გადაიქროლა მთელს ბანაკში. ასობით მშვიერი თვალი შესცქე-  
როდა ძეხვსა და პურს. ასობით მოშიებული ტყვე აცმაცუნებდა ტუჩებს.  
დიდი იყო ცდუნება, ჩემს გვერდით პოლონელი ბიჭი იწვა, იგი ორი  
თვის წინათ გადმოიყვანეს ბანაკში. პატარა იყო, გაღუული, თითქმის ბავ-  
შვი, შიმშილისაგან დაოსებულს განძრვეის თავიციკი არ ჰქონდა. იგი  
ისეთი თვალებით მისჩერებოდა პურსა და ძეხვს, რომ.. რაღაც აუწერელ  
ნდომას გამოხატავდნენ მისი თაფლისფერი თვალები.

— შეხედე, რა ღღეშია, საწყალი ბიჭი! — ჩაილაპარაკა ზურაბმა.

კარგახანს გრძელდებოდა ბიჭის ტანჯვა... ამასობაში გერმანელმა  
ძეხვი მთლიანად შესანსლა, პურის ნარჩენები პარკში გაახვია და ზურგს-  
უკან გადაისროლა. პარკი მავთულხლართთან დავარდა. ამის დანახვაზე  
ბიჭს თვალები გაუფართოვდა, ტუჩები აუთრთოლდა, წამოდგომაც სცა-  
და, მაგრამ ძალ-ღონე არ ეყო, თავი დახარა და უმწეობის შეგრძნებისაგან  
ატირდა.

ზურაბმა ვერ გაუძლო ბიჭის უსიტყვო ტანჯვას, გადმომხედა და მით-  
ხრა: — მომკლა ამ საწყალი ბიჭის საცოდაობამ, რაც იქნება იქნება, ჯანი  
გავარდეს, უნდა ავიღო პური!

— კი, მაგრამ, რომ გესროლოს?

— არა, ლუკმა პურისათვის როგორ მესვრის, ხომ ხედავ რა ღღეშია  
ბიჭი, გადაგდებული ნარჩენებისათვის როგორ მესვრის?!

— რა ვიცი, მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ზურაბი წამოდგა და მავთულხლართებისაკენ გაემართა. ფეხის ხმაზე  
გერმანელმა თავი ასწია, ინსტინქტურად ავტომატს ჩაავლო ხელი და და-  
იდრიალა: — უკან გაბრუნდი ღორო, უკან!

მაგრამ ზურაბს უკვე აღარ შეეძლო ხელცარიელი დაბრუნებულიყო.



მერე სიკვდილი იქნებოდა ბიჭისათვის თვალის გასწორება. პარკს ხელს დაავლო და გამოიქცა.

— ზურაბ! — მივაცვირე მე.

ჩემს ყვირილს ავტომატის ჯერიც მოჰყვა, ზურაბი მთვრალივით შებარბაცდა და დაეცა.

მაშინვე მასთან გავჩნდი. უკვე აღარაფრით შემეძლო შეველა, თაფლისფერ თვალებში ბინდი ჩასდგომოდა.

— ზურაბ, ბიჭო, ზურაბ! — ჩავძახე მე.

ოღნავ გაახილა თვალები. შევატყვე ვერ მიცნო.

— მე ვარ, ბიჭო, ლევანი ვარ!

— სახლში ნუ იტყვი... ბიჭს პური აჭამეთ... — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ლევანმა ისევ შესწყვიტა თბრობა და სივრცეს გაუშტერა მზერა.

— პოლონელ ბიჭს რაღა დაემართა? — ვკითხე მე.

მძიმედ მოაბრუნა თავი, შემობრუნდა და განაგრძო:

— პური ავიღე და ბიჭს მივაწოდე, ბიჭი აქვითინდა, მხარზე მომეყრდნო, არ აიღო პური. ვიცოდი რატომ არ სჭამდა, მოვეფერე, დავამშვიდე. ძალით შევაჭამე... ერთი თვის შემდეგ ქალაქში ჩვენი ჯარები შემოიჭრნენ და გერმანელები გარეკეს. მაშინ კი იყარეს ტყვეებმა ბანაკის კომენდანტის ჯავრი: ობერშტურმბანფიურერი შელერი კრემატორიუმის შენობაზე ჩამოჰკიდეს... ისევ ბრძოლაში ჩავები, საკუთარ ბუნავში ვანადგურებდით ფაშისტებს... ბერლინის მისადგომებთან მძიმედ დამჭრეს ფეხში, ხუთი თვე ვიწექი ჰოსპიტალში, ახლაც მახსოვს როგორ ვტიროდი სიხარულისაგან, როცა ომის დამთავრება გავიგე... როცა მშობლიურ ქალაქში ჩამოვედი, სიმონმა მაშინვე თავისი ბიჭების ამბავი გამომკითხა, იძულებული გავხდი მომეტყუებინა ეს დროული კაცი. იძულებული გავხდი, ამის გამო ბინა გამომეცვალა და სხვა უბანში გადავსახლებულიყავი...





## ბიოგრაფიული სანაღრიკა

### ბ ა ს ს ე ნ ე ბ ა

ნ ა რ კ ე ე ვ ი

რაზე უნდა იფიქროს ადამიანი ამ წუთს, როცა გარეთ კარგა გულგამძლარი მზეა და ნაყოფით დახუნძლული ტყემალი ძლივს დგას ფეხზე? საოცარი ამბავი გემართება — გინდა საათობით იდგე ასე, უყურო საგულდაგულოდ დახვეტილ ცას და როგორმე დაივიწყო თითქმის ოცდაშვიდწლის წინათ ნანახი: შეშინებული, ერთიანად აცახცახებული სახე ბავშვისა, თივის ზვინში რომ დამალვოდა გერმანელებს... მაშინაც ასეთი მზე ანათებდა, მაშინაც ალბათ ასე ეფაქიზებოდა სიო მაჩიტალას მინდორს. იყო ომი. უცხოეთის ცა და ლუბლინისაკენ მიმავალი პატარა რაზმი. გარვოლინთან ახლო სოფელში შეჩერდით. აქ გერმანელები არიანო, — გაცნობეს სოფელებმა. ისევ გააგრძელეთ გზა. ეს მთელი წამება იყო — დაჭრილი ამხანაგის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. პარტიზანებთან ჯერ კიდევ არ გქონდათ კავშირი. წინ დიდი ხუტორი იდო, შელევოვო. გერმანელები ფეხდაფეხ მოგდევდნენ. ძნელად გენდობოდით ვინმე. ერთმა ოჯახმა დაჭრილის მოვლა ითავა და ვიდრე ექიმს ეჭებდით, ვიდრე მახლობელ სოფლიდან უკან დაბრუნდით, ყველაფერი მოთავდა: მტრებს ეჭვი აედოთ, ეპოვნათ იმ პატრიოტთა სახლი, გაეჩხრიკათ სხვენი და სოფლის დასაშინებლად მთელი ოჯახი ამოეწყვიტათ. იქვე იწვა ტყვეებისაგან ერთიანად დაცხრილული საბჭოთა ჯარისკაცი მიხეილ ცუცქირიძე...

საუკუნის მეოთხედზე მეტი გავიდა მას შემდეგ. და აი უცებ პოლონეთიდან იღებ მოწვევას, უჩვეულოსა და მოულოდნელს... ერთდროულად ორ ფილმში უნდა გადაგიღონ. ერთი ფილმის სიუჟეტი იმ შეშინებულ, აცახცახებულ გოგონას ეძღვნება, თივაში რომ იპოვნეთ დამალული, მეორე კი მამაც ქართველ პარტიზანს — გენო ნექტარიონის ძე ჯაველიძეს...

ეს იყო და ეს. ასე მოვხვდი მე თქვენთან, ცხაკაისს ქუჩაზე, ბათუმში, სადაც სახლის წინ მზრუნველი ხელით მოხატული ყვავილები გაწონებენ



თავს. ხოლო მწვანეში ჩაკარგული სახლის მყუდროებას გულყვითელად იადონი იცავს...

მასპინძელმა მიიხრა: ერთხელ, როცა ჩემს ყოფილ თანამებრძოლს, თბილისის მკვიდრს ვლადიმერ ძნელაძეს შევხვდი, საყვედურებით ამავსო — რაა, კაცო, სულ რომ მიიმაღე, ომის ვეტერანთა შეკრებებს არ ესწრები, არც შემთარებს სწერ, გააგებინე ხალხს რა გარდაგვხდაო. — რა უნდა მეთქვა. არა, ძმაო, გავიღიმიე, აგერ ოცდაშვიდი წელიწადია თავისუფლად დავდივარ მაღლით, ჩემი ოჯახი და სამსახური მაქვს. ეს ხომ ყველაზე დიდი ჯილდოა იმ ქართველების შემდეგ, რომელიც საკუთარ მხრებზე გადავიტანეთ?!

და მე ვხედავ, როგორ უთრთის სახე. გახსენება უჭირს. რას ხედავს იგი ახლა — ომით გაჩანაგებულ სოფლებს, სანგრებში უპატრონოდ დაყრილ მკვდრებს თუ ისევ თივაში შეყუყუული ბავშვის თვალები ელანდება? ვინ იცის. და ვინემ იგი ასე ჩაფიქრებული ზის, მინდა ჩემს თაობას, ჩემს მეგობრებს, ჩემს თანამემამულეებს ვუამბო ამ მამაცი ადამიანის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ ახლა პოლონეთში...

როცა გენო ჯაველიძე თავის მყუდრო ოთახში საოცრად ძუნწად მიამბობდა ახალგაზრდობის წლებზე, ომში წასვლის პირველ დღეებსა და ტყვეობაში ჩავარდნაზე, უნებურად ჩემი წიგნის „ფარული ჭიდილის“ გმირი, ბრაიტენფურტის (ვენიდან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით) აბვერის სადაზვერვო სკოლის კურსანტი, პოლკოვნიკი არჩილ სითათაშვილი გამახსენდა. მათი ტყვეობაში ჩავარდნისა და ტყვეობიდან თავდაღწევის ამბავი საოცრად ერთხაზოვანი მენიშნა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო — ჭეშმარიტ პატრიოტებს სხვანაირად მოქცევა არ შეუძლიათ.

ყველაფერი კი 1941 წლის 25 დეკემბერს დაიწყო. ღამით, ნოვოროსიისკიდან ქერჩის ნახევარკუნძულზე დესანტის გადასხმა მზადდებოდა. საბუნდრო ხომალდი „სპოსობნი“ სიბნელეში მიიკვლევდა გზას. ზღვა გუგუნებდა. მომაბეზრებლად წვიმდა. ისე რომ, დესანტისთვის ზედგამოჭრილი ამინდი იდგა. გემზე ტყევა არ იყო.

ისეთი შეგრძნება ჰქონდათ — უზარმაზარი ტალღები და გაუთავებელი წვიმა სადაცაა შეერთდებოდა და ხომალდს შთანთქავდა. ვიღაცამ საათი იკითხა. პოლკის მეთაურმა ფალინმა, პირველიაო, უპასუხა ყრუდ. კომისარი ნეუსტროვეი გადასხმის გეგმას აწყობდა. როგორც ჩანდა, იგი ამ ადგილებში ნამყოფი იყო. ცივი ქარი ძვალბილში ატანდა. გენომ ხელებზე დაიორთქლა.

— გაჭირდება ნაპირზე გასვლა, — თქვა პოლიტბელმა პანიშმა.

— ამაზე უარეს ამინდშიც გავსულვართ. — გაუტრიზავა სტრეჟაკმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამაყრუებელმა გუგუნმა ყველაფერი დაფარა. ავარდა ცეცხლის ვეება ენა. გენო კედელს მიენარცხა. როცა გამო-

ფხიზლდა და მეგობრებისაკენ გადაიხედა, არც მეგობრები ჩანდნენ და არც გემის მეორე ნაწილი. მერე გამოირკვა, ხომალდი ნაღმს დაჯახებოდა და ერთი მესამედი მაშინვე გაექრო, თუმცა გადარჩენილ ნაწილშიაც უკვე წყალი იდგა. გამოცხადდა განგაში. აირია ყველაფერი. ადამიანები მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობდნენ.

წყალი, ტყვია და ქარი ერთმანეთში აირია.

— მაშველი კატარღები მოდიან, გამაგრდით! — გაისმა საზარელ გუგუნში.

მაგრამ მაშველ კატარღებს აქ თითქმის არაფერი ესაქმებოდათ, იმოდენა ეკიპაჟიდან ოცი კაცი გადარჩა მხოლოდ. რა განიცადა იმ წუთს? შეეშინდა თუ არა მერეც, როცა ნაპირზე დაბრუნებული ოცდაექვსი წლის ჭაბუკი ხელმეორედ ჩასვეს სადესანტო გემში და კამიშბურუნისაკენ გაუყენეს გზას? ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს გენოს. გასაგებიც არის. მხოლოდ მკვდრებს არა აქვთ შიშის გრძნობა, მხოლოდ ბრიყვებს შეუძლიათ დაიკვივნონ ცრუ ვაჟაკობით. სადესანტო გემი „კუბანეცი“ კი კამიშბურუნისაკენ მიემართებოდა. ჯარისკაცები წეკოს აბოლგდნენ და „სპოსობნის“ დაღუპვის ამბავს უყვებოდნენ ერთმანეთს. დილით, როცა ტატნობი ოღნაე შეტიალდა და წყალი გაბაცდა, კამიშბურუნიც გამოჩნდა. მაგრამ დიდი ღელვის გამო გემი ვერ იქნა და ვერ მიადგა ნაპირს. გემზე ყოფნა კი საშიში იყო. გაიცა ბრძანება: ცურვით ნაპირისაკენ! ყინულივით ცივი წყალი იკბინებოდა. ნაპირზე გავიდნენ თუ არა, გერმანელების თვითმფრინავებიც გამოჩნდნენ. თვითმფრინავებმა წრე შეკრეს და ცოტა ხნის შემდეგ სადესანტო ხომალდი ცეცხლის ალში გაეხვია. ეს უკვე ნამდვილი ომი იყო. პირველი პირისპირი შეხვედრა მტერთან. დიდხანს იარეს. იარეს ფეოდოსიის მიმართულებით. თვითმფრინავები ისევ გუგუნებდნენ, ყრიდნენ ბომბებს, იწვოდა მიწა. ქვემეხთა გამაყრუებელი გუგუნნი ფეოდოსიის მხრიდანაც ისმოდა. ბოლოს გაირკვა, ფეოდოსიისაკენ წასვლა უაზრობაა. ჩვენმა ჯარებმა ვერ გაუძლეს მტრის იერიშს და დათმეს ქალაქი. ყოველი მტკაველი მიწა ათასობით ადამიანთა სისხლით ირწყვებოდა. გერმანელები სულ უფრო და უფრო მოიწევდნენ წინ. თავდაცვაზე გადასული საბჭოთა ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. გენო ჯაველიძე 824-ე მსროლელ პოლკში იბრძვის, შემკრები და დამსმენი პუნქტის უფროსია. სწორედ იმ მრისხანე ეჟამს, სწორედ იმ ქარცეცხლში, როცა სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე იყო დადარაჯებული, გენო ჯაველიძე კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

თებერვალმა რომ მოატანა, მათ ნაწილს ვლადისლავსკის ალება დაევალა. შტაბის უფროსმა გერასიმოვმა უხმოდ გაუწოდა ოფიცრებს რუკა. ასევე უხმოდ იდგა იგი მერეც, როცა ნაწილმა ვერ შესძლო ვლადისლავსკის ალება და დიდი დანაკლისიც განიცადა. ეს ოპერაცია ერთი თვის მერეც განმეორდა და ისევ უშედეგოდ. მაისის დასაწყისში მტერმა შეტევა



განაახლა. გაარღვიეს მარცხენა ფრთა და ზურგში აღმოჩნდნენ. ახლა უკვე მარჯვენა ფრთამაც იწყო უკან-უკან დახევა. მაგრამ ეს უკან დასახევი გზაც რომ მოჭრილი აღმოჩნდა! მტერი იყო ყველგან. — გამოსავალი აღარაა, — თქვა გერასიმოვმა, — ან მოკვდებით ან რკალს გავარღვევთ!

„შეტევა მოულოდნელად დავიწყეთ. — მითხრა გენო ჯაველიძემ. — არ ვიცი, მტერი დაიბნა, თუ რა იყო, მათი მტკიცე რკალი გავარღვიეთ. ამ ბრძოლაში ბევრი თავდადებული ჯარისკაცი გამოგვაკლდა. მტრის ტყვიით განგმირული დაეცა შტაბის უფროსიც... მტერი სულ უფრო და უფრო აქტიურობდა. განსაკუთრებით კი ავიაციამ ჩაგვაგდო ცუდ დღეში. მახსოვს, ქერჩს მივალწიეთ. ჩრდილოეთით ზღვა ჩანდა. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა. მებრძოლები აირივნენ. ვიფიქრე: ქვევით ჩავალთ, იქედან კი გავიქცევა და ვაღწევთ. ჰოდა, ის მალეობი რომ ავიარეთ და ქვევით გადავიხედეთ, სიხარულისაგან არ ვიცოდით რა გვექნა—ჩვენი ჯარი დაბანაკებულა და ისვენებს! აგერ ცეცხლზე შემოდგმული ქვაბიც! ჩვენ კი ერთი კვირის უსმელ-უჭმელი ვიყავით. მივირბინეთ მათთან. დავგაპურეს, მოგვასვენეს და უცებ, მათ შორის სამი გერმანელი დავინახე! თავისუფლად მოაბიჯებდნენ. ვიგრძენი, სისხლი მომაწვა. იქვე ერთი ოფიცერი იდგა. ჰოდა, იმას ვკითხე შეშინებულმა, — ეს რას ნიშნავს მეთქი. რას და ამას და ამასო, — შეიგინა ღვარძლიანად. ვერ ხედავ, რომ ტყვედ ჩავვარდით?! ეგ იარაღი განზე დადე, არ გასულელდე და არ იხმარო, თორემ ყველას ერთიანად ამოგვეუწყავენო“...

ასე გაჩნდა პირველი ეჭვი: ნუთუ ეს დასასრულია?

მაგრამ გაიარა თვეებმა, ადამიანები გაერკვნენ მომხდარ ამბებში და სხვანაირად შეხედეს გარემოს. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, აქედან უნდა გავალწიო.— გადაწყვიტა გენომ. ცის შავი ზოლი თანდათან ვიწროვდებოდა. დაიწყო ტყვეობის დამამცირებელი, აუტანელი ხანა, ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში გადაყვანის პროცედურები. ახსოვს: ჩანკოის, როვნოს, როდომის ტყვეთა ბანაკები. ამ უკანასკნელ ბანაკში კი 1943-ის გაზაფხულმა მოუსწრო. იგრძნო: წყლის მზიდავი პოლონელი კეთილი თვალით უყურებდა. აკი ერთხელ ანიშნა კიდევ, ახლომახლო პარტიზანები არიანო. ბანაკში შეთქმულება მზადდებოდა. შეთქმულთა პაროლი იყო „სტალინი!“ გამოპასუხება: „სტალინგრადი!“ სანდო ადამიანების ძებნაჲ პოლონეთის ცის ქვეშ, საკონცენტრაციო ბანაკის მავთულხლართებში ბათუმელ ჭაბუკს ღვიძლი ძმა—ზურაბი აპოვინია!

ბანაკიდან ერთი მაღალი ხე ჩანდა. კენწიროთი ცის გუმბათს თუ იყო გატოლებული. გაქცევის შემდეგ იმ ხესთან უნდა შეკრებილიყვნენ. მარტი იყო. მიწა იღვიძებდა. ღამის თორმეტი საათი რომ შეიქნა, პირველი ჯგუფი, რომელშიც გენო ჯაველიძე და რამდენიმე ტყვე შედიოდა, უკვე მაღალ ხესთან იცდიდა. არ ჩანდა მეორე ჯგუფი. ამ ჯგუფს ზურაბი უნდა მოჰყოლოდა. უცებ საზარელი ღმუილი გაისმა. ძალზე



ამაზრზენი იყო ეს ღმუილი. განგაში! გერმანელები ისროდნენ. ერთბაშად გადაკაშკაშდა, ამოძრავდა, ახმაურდა... დიდხანს ელოდა გენო თავის ძმას... მერე გაირკვა: გერმანელმა გუშაგებმა მავთულხლართებთან მიუსწრეს გასაქცევად გამზადებულ მებრძოლებს. ამ ჯგუფში გენოს ძმის გარდა იყვნენ ლევან ჩხაიძე, კარლო ჭოხონელიძე, გოგი სანიკიძე... ხოლო გაქცევის ცდისათვის, როგორ სჯიდნენ გერმანელები ტყვეობაში ჩავარდნილ საბჭოთა მებრძოლებს, გასახსენებლადაც სამძიმოა.

— აქაურობას უნდა გავეცალოთ, — თქვა ვალოდია ძნელაძემ.

— ცოტა კიდევ დაველოდოთ, იქნებ გამოჩნდნენ! — ხმა გაეზარა გენოს. ვალოდიამ მხარზე დაადო ხელი.

— თუ გამოაღწიეს, უსათუოდ შევხვდებით. ვიჩქაროთ.

რა გზა იყო, ფეხათრევეთ დაიძრნენ ტყეებისაკენ. გული კი, ჰე, ეს ოხერი გული რამდენ რამეს უძლებს. რამდენ რამეს იტანს და ილექავს თავის პაწია უბეში. და ახლა, თითქმის სამი ათეული წლის მიჯნაზე, გენო მეუბნება: მწერლები ომიდან დაბრუნებულ ადამიანებზე როდი უნდა სწერდნენ. წარმოიდგინეთ წამით: მკვდრებით მოფენილი მინდორი. არავინ იცის, ვინ არიან ეს ადამიანები. არავინ იცის, ვინ მარხია მოცხარის ბუჩქთან. იმ უსახელო კაცმა კი არანახული გმირობა ჩაიდინა. აი, მათი ძებნაა დღეს საჭირო, მათი დადგენა, სამზეოზე გამოტანა და ჰომების შეთხზვა... ცოცხლად დარჩენილებზე კი...

ღირს, ბატონო გენო!

და შემთხვევითი არაა, რომ ამდენი ხნის შემდეგ თქვენმა თანამებრძოლმა, პოლონელმა პარტიზანმა მეჩესლავ ვიტკოვსკიმ, ასეთი წერილი გამოგიგზავნათ:

„...გახსოვთ, როგორ გამოიყურებოდით მაშინ. გახსოვთ თქვენი მამაცობა და თავგანწირვა. და ის, რომ არასოდეს იხევდით უკან, ძმაო, გენო! მაგონდება 1943 წლის სექტემბერი, როცა „შავ ლადოსთან“ (ვლადიმერ ძნელაძე) და სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად სახლში მეწვიეთ. მაშინ პარტიული კრება ჩავატარეთ. შემდეგ კი იანეკ ციხეცკიმ საკდესის უკანასკნელი ცნობები წაიკითხა. საბჭოთა არმია თავგამოდებით უტევდა ჰიტლერელებს და ეს სიხარულით გვავსებდა. მერე თქვენ სიმღერა წამოიწყეთ. თქვენებური, ქართული. ძალიან ხმადაბლა მღეროდით. და ისიც გახსოვთ, ალბათ, რომ ამ სიმღერის შემდეგ გადაწყვეტილება მივიღეთ, სასწრაფოდ გავდგომოდით გზას, გავვენადგურებინა მილანოვსა და ბეზვოლას შორის მიმავალი ეშელონები. გვიან ღამით კარგა დიდ მანძილზე ავყარეთ ლიანდაგი. გამოჩნდა მატარებელი. დიდი სისწრაფით მოდიოდა... ცოტაც და ჩვენი დავალება შესრულებული იყო. ასეთ პირობებში გავანადგურეთ ჯარითა და საბრძოლო საჭურველით დატვირთული რვა ეშელონი. ერთად მივიღეთ მონაწილეობა ოცდახუთ ბრძოლაში ვლადისა და რამინ პოდლასკის ტერიტორიაზე.



მანამდე კი ლუდოვი მეორე ოლქის უფროსის, კაპიტან თევდორე ვალიოვის ბრძანება მივიღეთ, რიკის მაზრის ტერიტორიაზე მომენახეთ და პარჩევის ტყეში მიმეყვანეთ. გვანსოვს ის წუთები, პირველი შეხვედრის წუთები სოფელ ყიჩინში. ხედავ, გენო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როგორ გარბის დრო. ამ კომმარული წლების მოგონება კი დარჩა. მახსოვხარ ახალგაზრდა, ძალზე მორიდებული, მშვიდი და არაჩვეულებრივად გულსხმიერი ყმაწვილი კაცი. ასეთი იყავი ჩვენთვის. მაგრამ მტრისთვის: მტკიცე, მუდამ გამბედავი, ვაჟკაცური და შეუდრეკელი. იმ სასტიკ ბრძოლებში სხვებს აღანთებდი მტრის შესამუსრავად. ჩემი ჯგუფისათვის კი პარტიზანის იდეალი იყავი...“ და რამდენი ადამიანი გიგონებთ ასე!

— ყველაზე უფრო დაჭრის გვეშინოდა, — მითხარით თქვენ. — სიკვდილი იმდენად საშიში არ იყო, რამდენად დაჭრა. არც მედიკამენტები, არც ექიმი, არც დაჭრილის დასაწვენი ადგილი! დიდი ცოდვა იყო! გარშემო ხომ უსიერი ტყეები და გავერანებული სოფლები გვერტყა...

მე ვკითხვ: ბატონო გენო, აი, პირადად თქვენ, როდის იგრძენით, რომ დადგა ბრძოლის დრო?

— ჰამერშტეინის ბანაკში. ბევრი ვიყავით. ბარაკებში რომ მოგვათავსეს, პირველ წუთებიდანვე რაღაც აღგზნებული ყიჟინა და შეძახილება მოგვესმა. რამდენიმე დღეს ვერაფრით ვერ გავერკვიეთ, რა ხდებოდა მავთულხლართების მეორე მხარეს, მეორე ბარაკში. მერე ცაში ავარდნილი ბურთიც დავინახეთ და ყველაფერი ნათელი გახდა: ინგლისელი ტყვეები ფეხბურთს თამაშობდნენ. „ისინი ამანათებსაც იღებენ სახლიდან“, თქვა ვიღაცამ. „ბანაკში კი არა, სანატორიუმში არიან თითქოს“, დაუმატა მეორემ. მე ვთქვი: ჩვენც ტყვეები ვართ და ისინიც?! ამაზე არავინ გამომეპასუხა. მაგრამ დაწოლის წინ მომიახლოვდა ტანდაბალი მამაკაცი. გუმანით მივხვდი, რაღაცის თქმა უნდოდა. და როცა პირისპირ აღმოვჩნდი, მოკლედ ამიხსნა: „ჩვენც შეგვეძლო ინგლისელებივით ვყოფილიყავით. მაგრამ მოლაპარაკების დროს სტალინმა უარი თქვა ასეთ შეთანხმებაზე. სტალინს მიაჩნია, რომ ჩვენ ტყვეები კი არა, ჯარისკაცები ვართ...“

ასე გაგრძელდა აღრიდანვე ჩასახული ბრძოლა, ბრძოლა საკუთარ თავთან, ბოლო მოეღო ორჭოფობას.

გენო ჯაველიძეს აქვს რუკა. ამ რუკაზე დიდი სიზუსტითაა აღნიშნული ის ადგილები, სადაც იგი ქართველ პარტიზანებთან ერთად იბრძოდა პოლონეთის მიწაზე. აქ არის ბუგისა და ვისლის გადალახვა. საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის გენერალ-მაიორ ალექსანდრე ფეოდოროვის პარტიზანულ რაზმებთან შეერთების ადგილი, დივერსია კოველ-ბრესტის რკინიგზაზე, სადგურ ზაბოლოტიესთან განადგურებული ათასეული...

— ხანდახან ტყეში, — მითხრა გენომ, — დავჯდებოდით ბიჭები. ირგვლივ მოჩვენებითი სიჩუმე იყო და ეს მოჩვენებითი სიჩუმე ოცნებისათვის საკმარისი იყო. „წარმოიდგინეთ, რომ ომი დამთავრდა. რას იზამთ“

დაიწყებდა ვინმე. „მე, მაგალითად, ვიპოვნიდი ერთ ლოგინს, დავწვებო-  
ლი, ვიძინებდი და ვიძინებდი“. „მე კი ახალგამომცხვარი ჭადის ჭამით მო-  
ვიკლავდი თავს“, „მე კი“... და იყო ასე დაუსრულებლად. იმათთაგან  
ბევრს არ ღირსებია უკან დაბრუნება. არა და, ის, რაც იმ წუთს მათთვის  
ნამდვილი ბედნიერების საწყაო იყო, დღესდღეობით სასაცილოდ ეჩვენე-  
ბა კაცს... ასე შეიცვალა დრო.

მე დიდხანს ვფიქრობდი ამ სიტყვებზე. და მერე, როცა შინისაკენ  
მივდიოდი, რედაქციის წინ, დიდ და ნათელ მაღაზიაში პური მოიტანეს.  
მე ვხედავდი, როგორ მოჭქონდათ თეთრხალათიან მუშებს ახალგამომცხ-  
ვარი პური. მათ არავინ აქცევდა ყურადღებას. პური ჩვეულებრივი ამბავი  
იყო ყველასათვის, — ომი ისტორიად იქცა. და კიდევ გავიფიქრე, რომ  
შესაძლოა ამ წუთს, შორეულ პოლონეთში, მყუდრო დარბაზში უჩვენებენ  
ფილმს ქართველ პარტიზანთა გამირობაზე და მიკროფონიდან ისმის გენო  
ჯაველიძის ხმა: „ოცდაშვიდი წლის შემდეგ მე ხელმეორედ ვარ პოლონეთ-  
ში. გუშინ ჩემი მეგობრები შემეკითხნენ, ხომ არ მომწყინდა აქ და ხომ  
არ მომენატრა ჩემი სამშობლო, სახლი. მე ვუპასუხე: როდესაც პოლონეთ-  
ში ვარ, თვალწინ მხოლოდ პარტიზანული ცხოვრების სურათები მიდგას.  
გუშინდელი დღე დაუვიწყარი იყო — მე შევხვდი დიდი ხნის უნახავ ადა-  
მიანებს. დრო თავისას შვება. ტაფობზე წევს ჩემი ძმა ზურაბი. პოლონე-  
თში ყველა ჯარისკაცის საფლავი ჩემი ძმის საფლავია. მე უკვე ვბრუნდე-  
ბი ჩემს სამშობლოში, მაგრამ თან მიმაქვს იმედი ახალი შეხვედრებისა.  
ჩემს მეგობრებს არ ვემშვიდობები. მხოლოდ ვამბობ: ნახვამდის...“

ტრადიცია გრძელდება. ხვალ-ზევ პოლონელი სტუმრები, გენო ჯავე-  
ლიძის მეგობარი მეგობრები ბათუმში ჩამოვლენ. მათი მასპინძელი იქნე-  
ბა ეს სიმპათიური მამაკაცი, რომელსაც არ უყვარს წარსული დღეების  
გახსენება.

მანამდე კი ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მდგარ სახლში იქნება მზადება,  
იქნება მოლოდინის ფარული სიხარული და მის მყუდროებას გულყვითე-  
ლა იადონი დაიცავს.





ს. გ. გუგუშვილი

საბჭოთა კავშირის მარშალი,  
სამხრის საბჭოთა კავშირის გმირი

## შენგუდრა ილიჩთან

(თავი წიგნიდან „პირველი ცხენოსანი არმია დონზე“)

1920 წლის 29 მარტს დილით როსტოვში ჩავედით. ქალაქი საქმიანი ფუსფუსით შეგვხვდა. ვაგზალში და ვაგზლისპირა ქუჩებში ასობით მგზავრი ირეოდა ბოხჩებით, კალათებითა და ყუთებით. ხალხში ბევრი სამხედრო ჩანდა. და არც იყო გასაკვირი: როსტოვში განლაგდა კავკასიის ფრონტისა და ორი არმიის შტაბები, მათ შორის ჩვენი ცხენოსანი არმიის ძირითადი შტაბიც.

ძლივს მივადწიეთ ჩვენს მომლოდინე მანქანამდე. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვაჩერებდნენ: ნაცნობები და ისინიც, ვისაც გაეგონათ ჩვენზე, გვეკითხებოდნენ ცხენოსანი არმიის შესახებ, იზიარებდნენ თეთრების განადგურებით გამოწვეულ სიხარულს.

ძირითად შტაბში ისე იყო ყველაფერი, თითქოს აყრილი ფუტკრის სკაო. მეთაურები და პოლიტმუშაკები ხალისიან განწყობილებაზე იყვნენ: მათ უკვე გაეგოთ, რომ მე და კ. ე. ვოროშილოვი მივდიოდით მოსკოვში, სადაც გადაწყდებოდა პირველი ცხენოსანი არმიის სხვა ფრონტზე გადაყვანის საკითხი.

შტაბის უფროსმა ნ. კ. შჩელოკოვმა მოგვახსენა გადაუდებელ საქმეთა შესახებ. მისი მოხსენებიდან ყველაზე უფრო შემაწუხა ფრონტის სარდლობის ბრძანებამ, 30 მარტისათვის აგველო ტუაფსე. არსებობდა საფუძვლიანი მიზეზები, რომ ეჭვი შეგვეტანა ბრძანების შესრულების შესაძლებლობაში. მე და კლიმენტი ეფრემის ძემ გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ წავსულიყავით ფრონტის შტაბში და გვეთხოვა მ. ნ. ტუხაჩევსკისა-



თვის. შეეცვალა ბრძანება. ამასთან ერთად მისგან უნდა მიგველო მითითებული ბანი მთავარსარდალთან გამგზავრების წინ.

ფრონტის შტაბში პირველად გ. კ. ორჯონიკიძე დავინახეთ. გრიგოლ კონსტანტინეს ძესთან შეხვედრა ყოველთვის დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა. ამ კაცში მე ვხედავდი პარტიელ-ლენინელს, რომლის ცხოვრება მთლიანად იყო დამორჩილებული რევოლუციის ინტერესებისადმი. ორჯონიკიძე იყო არაჩვეულებრივად გულითადი და უბრალო ადამიანი. მისი ნათელი ჭკვიანი თვალები მეგობრულად და ნდობით განგაწყობდათ.

— აი მაიკოპის განმათავისუფლებლები! — ღიმილით მოგვესალმა იგი.

— აბა ჩვენ რა განმათავისუფლებლები ვართ. თქვენ, გრიგოლ კონსტანტინეს ძე, აზვიადებთ ჩვენს დამსახურებას, — შენიშნა ვოროშილოვმა. — ეს პატივი ეკუთვნის შავზღველებს. (შავი ზღვისპირეთის აჯანყებული არმიის ჯარისკაცები).

— არა, არა, ნუ თავმდაბლობთ. ყველამ შესანიშნავად იცის, თქვენი ნაწილების იერიშები რომ არა, აჯანყებულებს არ შეეძლოთ ქალაქის განთავისუფლება... და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი საქმეები ბრწყინვალედ მიდის, — გამოცოცხლდა ორჯონიკიძე. — კავკასიის ხალხები ნდობით განიმსჭვალნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ყველა ადგილიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ წითელი არმიის ჯარების მისვლამდე მთიელები ამხობენ თეთრგვარდიელებს. თქვენ გესმით, როგორ მახარებს მე ეს?

მოვიდა მ. ნ. ტუხაჩევსკი, ხელი ჩამოგვართვა და გვკითხა:

— როგორ არის ფრონტზე საქმე, ამხანაგებო? რით გაგვახარებთ?

მე მოვახსენე, რომ ყველაფერი კარგად ეწყობა. თეთრკახაკთა ყუბანის მეორე კორპუსის განადგურებული ნაწილები და მათზე მიმხრობილი ჩეჩნეთისა და ასტრახანის დივიზიები ჯავშნიანი მატარებლების საფარქვეშ იხევენ სტანიცების ხაღიენსკაიასა და კაბარდინსკაიას მიმართულებით. ჩვენი მეწინავე ჯარები წარმატებით სდევნიან მათ. მაგრამ ჩვენ ახლა მივალწიეთ მთიან რაიონებს, სადაც ძნელია ცხენოსანთა დიდი მასების მოქმედება. ამასთან ერთად მთებში არ არის ფურაყი. ყველაფერი ეს გვაიძულებს გთხოვოთ, გაათავისუფლოთ პირველი ცხენოსანი არმია ტუაფსესთვის ბრძოლისგან და გამოიყვანოთ იგი დასასვენებლად. ეს აუცილებელია იმ ახალი ამოცანების შესაბამისად, რომელთა შესრულებაც ჩვენ მოგველის.

— მოწინააღმდეგე საფუძვლიანად არის შეფერთხილი, ახლა მას ბოლოს მოუღებენ ჩვენი მსროლელი ნაწილები. — დაუმატა ვოროშილოვმა. — შეიძლება გამოვიყენოთ 34-ე დივიზია, აგრეთვე ჩვენზე გადმოცემული ორი ცხენოსანი დივიზია — კავკასიის და ბლინოვის სახელობისა



— მაგრამ ისინი მცირერიცხოვანია და გადაღლილი, — შეგვეპასუხო ფრონტის სარდალი.

— როგორ, მცირერიცხოვანი?! — არ ნებდებოდა ვოროშილოვი. — სამთავე შევსებულია მოხალისეებით და გაძლიერებულია მტრისათვის წართმეული იარაღით.

— მიხეილ ნიკოლოზის ძე, ამხანაგები, მგონი, მართალი არიან, — მხარი დაგვიჭირა ორჯონიკიძემ. — კაბარდინსკაიდან ტუაფსემდე რკინიგზის გასწვრივ, გადასასვლელებსა და ხეობებში ცხენოსან არმიას გაუძნელდება მოქმედება. ვარდა ამისა, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ყუბანი ჩქარა აღიღდება და მაშინ პირველი ცხენოსანი არმია მოემწყვდევა დამშეულ ადგილებში.

— ყველაფერი ეს სწორია, — დაეთანხმა ტუხაჩევსკი. — მე წარმოდგენილი მაქვს, გრიგოლ კონსტანტინეს ძე, თუ როგორ სიძნელეებს წააწყდება ცხენოსანი არმია მთებში. მაგრამ მტერზე მთელი ძალებით დარტყმა ჩქარა გადაწყვეტდა საქმეს. ჩვენ უნდა მივამწყვდიოთ თეთრები ზღვასთან და საშუალება არ მივცეთ გაგვისხლტნენ ნავსადგურებიდან. ამიტომაც ვანგარიშობდი ცხენოსანი არმიის გამოყენებას, და ვიმედოვნებდი, რომ ტუაფსეს განთავისუფლების შემდეგ დავასვენებდი მას.

ტუხაჩევსკიმ რუკას დახედა და წუთით ჩაფიქრდა. შემდეგ ასწია თავი და გვითხრა:

— მაშ, კარგი, მე თქვენ გიჯერებთ. ვითვალისწინებ, რომ მოგიწევთ გადაყვანა სხვა ფრონტზე, ალბათ, სალაშქრო წესით, და შესაძლოდ ვთვლი დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა. მხოლოდ გაითვალისწინეთ: მოწინააღმდეგე ხადიყენსკაიასა და კაბარდინსკაიას რაიონში უნდა განადგუროს ცხენოსნმა არმიამ. ამის შემდეგ შეგიძლიათ გაიყვანოთ დივიზიები დასასვენებლად ყუბანის ჩრდილოეთ ნაპირზე. 34-ე გაგზავნეთ ტუაფსესაკენ, ის მეცხრე არმიაში გადავა.

შემდეგ ფრონტის სარდალმა დაიწყო გამოკითხვა ჯარების მდგომარეობის, მათი საჭიროებების შესახებ, დაინტერესდა კავალერისტების განწყობილებით, გვთხოვა მოგვეთხრო დივიზიებისა და შტაბების უფროსებზე.

ფრონტის სარდალმა მოგვისმინა და შემდეგ შენიშნა:

— პირველი ცხენოსანი არმია ჩვენთან კარგ ანგარიშზეა, მაგრამ ცენტრში ვილაცის არაკეთილსინდისიერი მოხსენებით მასზე არასწორი აზრი შეიქმნა.

— რა პრეტენზიებს გვიყენებენ? — დავინტერესდი მე.

— აი ამბობენ, კავალერისტებმა გაძარცვეს ნოვოჩერკასკი, და საერთოდ, სუსტი დისციპლინის გამო არმიამ ბრძოლისუნარიანობა დაკარგაო.

— ეს ხომ ცილისწამებაა! — წამოიძახა ვოროშილოვმა.



— ჩვენ ვიცით ეს და თქვენზე ნაკლებად როდი ვართ აღმფრთხილებულნი, — გამოეხმაურა ტუხაჩევსკი.

— და რაც განსაკუთრებით არასასიამოვნოა, — თვალი მოაშორა ორჯონიკიძემ დოკუმენტებს, რომლებსაც იგი იხილავდა, — ყალბი ინფორმაცია მიაწოდეს ვლადიმერ ილიჩსაც კი. თქვენ გახსოვთ, ჯერ კიდევ პირველი შეხვედრისას ბატაისკში გითხარით ლენინის ტელეგრამის შესახებ, რომელშიც გამოთქმული იყო შემოფოთება „ბუდიონთან სრული გახრწნის გამო“.

ჩანს, გრიგოლ კონსტანტინეს ძემ შეამჩნია ჩემი აღელვება. მან გადახედა ტუხაჩევსკის, უღვაშებში ჩაიღიმა და ჩემთან მოვიდა:

— ნუ ლელავთ, ძვირფასო სიმონ მიხეილის ძევ, ყველაფერი რიგზე იქნება. მე და მიხეილ ნიკოლოზის ძემ უარუყავით თქვენი და ჩვენი არაკეთილმოსურნეების ეს უაზრო მტკიცებანი. აი გაეცანით, — და გამოგვიწოდა ვ. ი. ლენინისა და მთავარსარდალ ს. ს. კამენევისადმი გაგზავნილი წერილის ასლი.

— „ლებედვის სიტყვიდან, — წავიკითხე მე, — ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არაზუსტი ინფორმაციის წყალობით რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში არასწორი შეხედულება შეიქმნა ცხენოსან არმიასზე და მის სარდალზე... ცხენოსანი არმია ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით ქებათა-ქებას იმსახურებს. გამოირჩევა საბრძოლო დისციპლინითა და არაჩვეულებრივი სიმამაცით... მოწინააღმდეგის ვერც ერთმა ცხენოსანმა ნაწილმა, უძლიერესებმაც კი, ვერ გაუძლო ცხენოსანი არმიის ნაწილების მძაფრ შეტევას. დივიზიებს სათავეში უდგანან ძალზე უნარიანი და გაბედული უფროსები... აბოლუტურად არასწორია, თითქოს მე-11 ცხენოსანმა დივიზიამ დაარბია ნოვოჩერკასკი. ცხენოსანი არმიის არც ერთი ნაწილი ნოვოჩერკასკში არ შესულა... ვორონეჟიდან დაწყებული ცხენოსან არმიას არ მიუღია ხელფასი და არ ჰქონდა ჯეროვანი სასურსათო აპარატი. ამიტომაც თვითმომარაგებით გაჰქონდა თავი, რასაც ცხენოსანი არმიის ჩვეულებრივი სივიწროვის პირობებში, რასაკვირველია, არ შეეძლო უმტკივნეულოდ ჩაეელო მოსახლეობისათვის“.

ჩვენ მაინც ძალიან გვაწუხებდა ეს. ჯერ კიდევ ნათელი არ იყო, შესძლო თუ არა ფრონტის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ დაემსხვრია მოსკოვში შექმნილი წინასწარ აკვიატებული აზრი ცხენოსანი არმიის შესახებ. როგორღა შეგვხვდება მთავარსარდალი? მაგრამ მ. ნ. ტუხაჩევსკიმ და გ. კ. ორჯონიკიძემ დაგვამშვიდეს და შეგვპირდნენ, რომ ისინი ერთხელ კიდევ დაელაპარაკებოდნენ ს. ს. კამენევს.

— ახლა მოსკოვში თქვენი გამოძახების შესახებ, — თქვა ტუხაჩევსკიმ. — ალბათ, ლაპარაკი იქნება დასავლეთში ცხენოსანი არმიის გადაყ-

1 მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის სამეცნიერო სამხედრო-ისტორიული განყოფილების არქივი, საქმე 27, ფ. 1



ვანის საშუალებებზე. მთავარსარდალმა მოგვთხოვა, გვეთქვა ჩვენი აზრი ვუბახუხეთ, რომ მიზანშეწონილია სალაშქრო წესით გადასვლა. ჩვენ არ გვყავს მოძრავი შემადგენლობა, რომ მოკლე დროში გადავიყვანოთ ცხენოსნების ასეთი მასა რკინიგზით. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი დაეთანხმა ჩვენს მოსაზრებას და თავის მხრივ აგრეთვე აცნობა მთავარსარდალს.

ჩვენი აზრი სავსებით ეთანხმებოდა ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს აზრს. მართლაც, მცირე გამტარუნარიანობის გამო სამხრეთის რკინიგზებს არ შეეძლოთ არმიის დროულად გადაყვანა. გარდა ამისა, და ამასაც არ ჰქონდა ნაკლები მნიშვნელობა, სადგურებში არ იყო ფურაჟის, სურსათის, ხოლო ზოგჯერ წყლის მარაგიც კი.

როდესაც წასვლა დავაპირეთ, ორჯონიკიძემ ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა:

— მშურს თქვენი. მოსკოვში მიდიხართ. დღეს იქ გაიხსნება პარტიის მეცხრე ყრილობა.

— კი მაგრამ თქვენ, გრიგოლ კონსტანტინეს ძე, რატომ არა ხართ ყრილობაზე? — გამიკვირდა მე.

— არ შეიძლება, სიმონ მიხეილის ძე. დენიკინს ბოლო უნდა მოვუღოთ, ამიერკავკასიაშიც არ არის სიმშვიდე. მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები როდი სხედან გულხელდაკრეფილი.

როსტოვში ერთი დღე-ღამე დაეყავით, ხოლო 30 მარტს ადრე დილით გავუდექით გზას. ჩვენთან ერთად მოსკოვს წამოვიდა არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი ს. ნ. ორლოვსკი. ჩვენი „განსაკუთრებული დანიშნულების“ მატარებელი ნავთობით სავსე ცისტერნების დიდ შემადგენლობას წარმოადგენდა. მას ბოლოში ორი ვაგონი მიიბეს: ერთი ჩვენთვის — სასამსახურო, მეორე კი ფქვილითა და შაქრით დატვირთული, რომელიც კავალერისტებმა ვლადიმერ ილიჩს გაუგზავნეს საჩუქრად.

მატარებელი ხშირად ჩერდებოდა და დიდხანს იდგა: ხან რკინიგზის ლიანდაგი იყო უწესივრო მდგომარეობაში ან კიდევ აკეთებდნენ ხიდს, ხან სადგურში არ იყო სათბობი ან წყალი ორთქლმავლისათვის, ხან კი უბრალოდ წინ უშვებდნენ შემხვედრ მატარებელს.

დაბოლოს ჩავედით დედაქალაქში. დავბინავდით სასტუმრო „ნაციონალში“. ერთი საათის შემდეგ კი უკვე რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სავსე შტაბში ვიყავით. ჩვენ მიგვიღო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ს. ს. კამენევმა.

სერგეი სერგეის ძეს მე აქამდე არ შევხვედრივარ, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ კარგი მქონდა გაგონილი. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ის, ძველი არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, რევოლუციის პირველსავე დღეებიდან დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. უკვე კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლებში, სადაც იგი აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი



იყო, გამოავლინა მხედართმთავრული ნიჭი. მას დიდი დამსახურება მოუტანდა აგრეთვე დენიკინის განადგურებაში. გ. კ. ორჯონიკიძე ახასიათებდა მას როგორც პატივისცემის ღირს ადამიანს, რომელიც ილიჩის ნდობით სარგებლობდა.

მთავარსარდალი ჩვენ ალერსიანად შეგვხვდა და გვთხოვა მოგვეთხრო ცხენოსანი არმიის შესახებ. მოისმინა რა ჩემი მოკლე მოხსენება, მან გამოიძახა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბის უფროსი პ. პ. ლებედევი და ოპერატიული სამმართველოს უფროსი ბ. მ. შაპოშნიკოვი. მე ისინიც პირველად ვნახე. ორთავენი, წარსულში რუსეთის არმიის ოფიცრები, ოქტომბრის შემდეგ ერთგულად ემსახურებოდნენ საბჭოთა რესპუბლიკას. პ. პ. ლებედევმა თავი გამოიჩინა იუდენიჩის წინააღმდეგ ბრძოლებში, შემდეგ მსახურობდა აღმოსავლეთის ფრონტის შტაბის უფროსად, ახლა კი წარმატებით მუშაობდა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბის უფროსის მაღალ პოსტზე. ბ. მ. შაპოშნიკოვმა წარჩინებით დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია და პოლკოვნიკის წოდებით მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წლის მაისში შევიდა წითელი არმიის რიგებში და არაჩვეულებრივი უნარი გამოიჩინა ოპერატიულ სამუშაოზე.

პირველად ოთახში შაპოშნიკოვი შემოვიდა, — საშუალოზე მაღალი. სახის მსხვილი ნაკვთებით, შუაზე გადაყოფილი თმით. რატომღაც სამოქალაქო კოსტიუმში ეცვა. ბორის მიხეილის ძე ჩვენ მოგვესალმა. სულ სხვანაირი იყო პავლე პავლეს ძე ლებედევი — დაბალი, მოძრავი. მას გულდასმით დაუთოებელი ფრენჩი ეცვა. სახეს ლამაზი წვერი უმშვენებდა. თავზე ტალღისებურად ელაგა გრუზა თმა. იგი ჩვენ საკმაოდ ცივად შეგვხვდა. შესაძლოა, ჯერ კიდევ იმყოფებოდა ცხენოსანი არმიისა და ჩემ შესახებ ყალბი მოხსენების გავლენის ქვეშ. საუბარში მისმა უკმეხმა ტონმა უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თუმცა შემდგომში ჩვენ მასთან ყველაზე ახლო მეგობრული ურთიერთობა გვექონდა.

შემოვიდა თუ არა ლებედევი, მთავარსარდალმა ჰკითხა:

— პავლე პავლეს ძე, როგორია თქვენი აზრი ცხენოსანი არმიის დასავლეთის ფრონტზე გადაყვანის წესის შესახებ?

— მიზანშეწონილად მიმაჩნია გაიგზავნოს იგი რკინიგზით ზნამენკის რაიონში. ბორის მიხეილის ძეს შეუძლია მოგვახსენოს საჭირო მოძრავი შემადგენლობისა და დროის გაანგარიშება.

— ჰოდა, მოდით განვიხილოთ, — თავი დაუქნია კამენევმა შაპოშნიკოს.

შაპოშნიკოვმა გაშალა ქალაქები მთავარსარდალის წინაშე და დეტალურად მოახსენა.

— ახლა კი მოვისმინოთ არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს აზრი, — მოგვმართა ჩვენ სერგეი სერგის ძემ.



მე ვუპასუხე, რომ ეს საკითხი ჩვენს მიერ დეტალურად არის განხილული. გზების ცუდი მდგომარეობის, წყალსაწნევი კომპიების გაუმართაობის, სადგურებზე ფურაქისა და სურსათის ბაზების უქონლობის გამო ცხენოსანი არმიის რკინიგზით გადაყვანა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ლებედევი უკმაყოფილოდ შეიჭმუნხა:

— თქვენ რას გვთავაზობთ?

— მოძრაობა სალაშქრო წესით.

— კი მაგრამ ახლა ხომ ჩინვისხანის დრო არ არის. ჩვენი საუკუნე ტექნიკის საუკუნეა, და ცივილიზებული ჯარების ფრონტიდან ფრონტზე გადაყვანა რკინიგზის ტრანსპორტით ხდება. მარში მოითხოვს დიდ დროს... თუმცა საქმე მარტო ამაში არ არის, — განაგრძო პავლე პავლეს ძემ მცირე პაუზის შემდეგ. — სალაშქრო წესით მოძრაობა ქანცს გააცლის არმიას, დააქვეითებს მის ბრძოლისუნარიანობას და ფრონტზე მისვლისთანავე აღმოჩნდება, რომ საბრძოლო ოპერაციებში კი არ უნდა ჩავაბათ, არამედ დასასვენებლად გამოვიყვანოთ. ასეთია ჩემი აზრი. ვიმედოვნებ, ბორის მიხეილის ძე დამეთანხმება.

შაპოშნიკოვი დუმდა.

— ყველასათვის გასაგებია ჯარების რკინიგზით გადაყვანის უპირატესობა, — ვუპასუხე მე. — მაგრამ ეს ასეა, თუ ვიტყვიტ საერთოდ და არ გავითვალისწინებთ ტრანსპორტის მდგომარეობას. სამხრეთში არსებულ პირობებში კი ცხენოსანი არმიის ეშელონებით გადაყვანას უკეთეს შემთხვევაში დასჭირდება სამნახევარი-ოთხი თვე.

— საიდან აიღეთ ასეთი გაანგარიშება? — უკმეხად მკითხა ლებედევმა.

ამ დროს წამომეშველა ვოროშილოვი:

— გადახედეთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ცნობებს არმიის საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ადამიანების, ცხენების და შეიარაღების ჩასატვირთად საჭიროა ოთხი ათას ექვსასი ვაგონი, ანუ ოთხმოცდათორმეტი ეშელონი, თითოეული ორმოცდაათი ვაგონისაგან. ავტოჯავშნიანი რაზმების, ავიაციის, ზურგის ნაწილების, შტაბების გადაყვანისათვის საჭირო იქნება დამატებით თხუთმეტი-ოცი ეშელონი. ამრიგად, სულ აუცილებელი იქნება დაახლოებით ას ათი ეშელონი. თუ მივიღებთ მხედველობაში მოძრავი შემადგენლობის ნაკლებობას, ეშელონების დაკომპლექტების სიძნელეებს, დატვირთვისათვის საჭირო დროს, ადვილად შეიძლება მივხვდეთ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ დღე-ღამეში ერთზე მეტი მატარებლის გაგზავნას. და აი გამოდის, რომ არმიის გადაყვანას დასჭირდება ოთხი თვე.

— მაგრამ სალაშქრო წესით ჯარების გადაყვანას სრული ბრძოლის უნარიანობის შენარჩუნების პირობებში ხომ არა ნაკლები დრო დასჭირდება. — შენიშნა კამენევმა. — ასეა თუ არა სიმონ მიხეილის ძევ?



მე ვუბასუხე, რომ ნაკლები და თითქმის ორჯერ ნაკლები. მაიკობიდან ზნამენკამდე დაახლოებით ათასი ვერსია. თუ დღე-ღამეში გავივლით ოცდაათ-ოცდათხუთმეტ ვერსს, ამ მანძილის გადასალახავად აუცილებული იქნება ოცდაათი-ოცდათხუთმეტი დღე-ღამე. მივუმატოთ კიდევ ათითორმეტი დღე-ღამე — ყოველი სამი დღე-ღამის სიარულის შემდეგ დღე-სამუაფელისათვის, ზუთი-შვიდი — ბანდიტებთან შესაძლო შეტაკებისათვის და ცუდი ამინდისათვის. მამასადამე, ერთნახევარი-ორი თვის შემდეგ არმია გავა განლაგების რაიონში.

— უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მოთხოვნილება სურსათსა და ფურაჟზე, — დაუმატა ვოროშილოვმა. — სალაშქრო წესით მოძრაობის დროს დივიზიებს თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლიათ ადგილობრივი რესურსების ანგარიშზე, ხოლო მატარებლებით გადაყვანის დროს ასეთი შესაძლებლობები არ იქნება. გარდა ამისა, მარშის მსვლელობაში ნაწილები ყოველთვის იქნებიან მეთაურების, კომისრების, არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მხედველობის არეში. ამას კი, როგორც თქვენთვის ცნობილია, მცირე მნიშვნელობა როდი აქვს დისციპლინის დაცვისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი მოსაზრებები დამაჯერებელი იყო, მაგრამ კამენევი მაინც ყოყმანობდა. მაშინ მე უკანასკნელი არგუმენტების გამოყენება გადავწყვიტე:

— დივიზიებს უკან მიჰყვება ალალი, როგორც საბრძოლო მოქმედების დროს და, მამასადამე, არმია ფრონტზე მივა მზად — პირდაპირ მარშიდან ჩაებმება ბრძოლაში. და კიდევ: მოძრაობის ზოლში ჩვენ გავანადგურებთ კონტრრევოლუციურ ბანდებს.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მთავარსარდალმა მაინც არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. ის ადგა, ხელი გადაისვა ფუმფულა ულვაშებზე და ლებედვისაკენ მიბრუნდა:

— პავლე პავლეს ძეგ, ბორის მიხეილის ძესთან ერთად ერთხელ კიდევ შეამოწმეთ გაანგარიშებები და მოიფიქრეთ ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წინადადებების გარშემო.

კამენევის კაბინეტიდან დაუკმაყოფილებელი გამოვედით. გვაოცებდა მისი ყოყმანი, დაურწმუნებლობა მას შემდეგ, რაც არმიის სალაშქრო წესით გადაყვანის წინადადებას სასარგებლოდ აზრი გამოთქვეს კავკასიისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სარდლებმაც. რა უნდა ვქნათ თუ აშკარა უპირატესობის საწინააღმდეგოდ იგი ლებედვეს დაეთანხმა? გადავწყვიტეთ გვეცადა მოვხვედრილიყავით რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ტროცკისთან. მაგრამ მან არ მიგვიღო.

სასტუმროში შეწუხებული დავბრუნდით. კარგი, რომ მოხერხდა ტელეფონით მ. ი. კალინინთან და ი. ბ. სტალინთან დაკავშირება. მათ



ჩვენ რკბ (ბ) მეცხრე ყრილობაზე მიგვიწვიეს და შეგვპირდნენ, მოგვიწყობდნენ ვლადიმერ ილიჩთან შეხვედრას.

და აი ჩვენ კრემლში ვართ, სვერდლოვის დარბაზში, სადაც სასაძლიო შესვენების შემდეგ დელეგატები თავს იყრიდნენ მორიგ სხდომაზე. გავჩერდით დერეფანში სამხედროების ჯგუფთან, რომელიც მოქმედი არმიიდან ჩამოვიდა. ჩანდა, ბევრმა იცოდა, რომ სახელდობრ აქ გაივლიდა ლენინი.

ძლიერმა მღელვარებამ შეგვიპყრო. „აი, — ვფიქრობ მე, — ასრულდება ოცნება. შესაძლოა, ერთი წუთის შემდეგ დავინახო ილიჩი“.

წითელარმიელებთან საუბრიდან ვიცოდი, რომ თითოეული მებრძოლი, თითოეული მეთაური და პოლიტმუშაკი, შეგნებულად დადგა რა საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის გზაზე, გულში ატარებდა ილიჩის სახეს. ლენინის სახელს უკავშირებდნენ ფარულ იმედებს მიწისა და თავისუფლების მიღებისა, თავისუფალი შრომის და ბედნიერების დამყარებისა. უიმისოდ არავის აზრადაც კი არ მოსდიოდა საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვება, ვერ წარმოედგინა მუშებისა და გლეხების ხელისუფლება.

თავში გამიელვა სულ ახლო წარსულის დაუვიწყარმა სურათებმა. აი მრისხანე 1918 წლის გაზაფხული. მე ვხედავ ჩემი რაზმის მებრძოლებს და ათასობით ლტოლვილს. გამხეცებული თეთრკაზაკების მიერ ყოველი მხრიდან განაწამებნი, ჩვენ ვცდილობდით გავველწია ჩრდილოეთში, ცარიცინისაკენ. ტიფით დაავადებულნი და დაჭრილები კვნესოდნენ ჯაყჯაყა, ჭრილა ოთხთვალეებზე. გულის გამგმირავად ყვიროდნენ შიმშილით, წყურვილით და შიშით განაწამები ბავშვები; მტერისაგან სულმეხუთული მოხუცები ახველებდნენ და ილანძლებოდნენ; გამშრალ მკერდზე იკრავდნენ მომაკვდავ ჩვილებს და თავიანთ გაჩენას იწყევლიდნენ სასოწარკვეთილი ქალები.

ყოველივე ეს რალაც საშინელი კოშმარი იყო. მაგრამ როცა ცარიცინიდან ჩვენამდე მოაღწია ცნობამ ილიჩზე ესერ კაპლანის ავაზაკური თავდასხმის შესახებ, ადამიანებმა, თითქოს, დაივიწყეს თავიანთი სატანჯველი. მათთვის ბელადის სიცოცხლე საკუთარზე უფრო ძვირფასი იყო, მისთვის წუხილმა განზე გადასწია პირადი განცდები. მებრძოლებმა მოითხოვეს დაწვრილებითი ცნობები ვ. ი. ლენინზე თავდასხმის შესახებ და დაადგინეს გაეგზავნათ დელეგაცია ცარიცინში. მალე მეთავე არმიის შტაბიდან მოიტანეს გაზეთი „პრავდა“, რომელშიც მოთავსებული იყო ბიულეტენი ილიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კომისარმა წაიკითხა ცნობა. რამდენიმე წუთს გრძელდებოდა მძიმე, გულის შემხუთავი დუმილი. ყველანი თითქოს გაშეშდნენ. შემდეგ სიჩუმე უცებ ააფეთქა ასობით აღშფოთებულმა ხმამ. ადამიანები ტიროდნენ, იმუქრობდნენ



მუშტებით, არხევდნენ იარაღს, იწყევლებოდნენ და მხოლოდ მაშინ დაშვიდნენ, როცა მიხვდნენ, რომ ილიჩი ცოცხალია, რომ ილიჩი ცოცხლებს.

მებრძოლები ყველაზე უფრო აფასებდნენ ბრძნულ ლენინურ სიტყვას. „პრავდას“, რომელმაც დაბეჭდა ვ. ი. ლენინის სიტყვა, კითხულობდნენ და ისევ კითხულობდნენ, უფროთხილდებოდნენ არანაკლებ, ვიდრე შაშხანას. ხშირად ვხედავდი თუ როგორ გაუწოდებდა წერა-კითხვის უცოდინარი წითელარმიელი კობტად დაკვიცილ გაზეთის ფურცელს მცოდნეს და თხოვდა: „აბა, ძმაო, წაიკითხე კიდევ, თვით ლენინი წერს...“ როდესაც მე აუტანელი მძიმე მდგომარეობა მქონდა, მივწერე ილიჩს. ახლა ლენინის მოლოდინში მომაგონდა სტრეკონები წერილიდან, რომელიც მე მას გავუგზავნე სტანიცა ბაგაევსკაიდან 1920 წლის თებერვალში.

„ღრმად პატივცემულო ბელადო ვლადიმერ ილიას ძევ! — გონებაში ვიმეორებდი სიტყვებს, რომლებიც დავწერე მწარე განცდების წუთებში. — მე ძალიან მინდა პირადად გნახოთ თქვენ და თავი დავხარო თქვენს წინაშე, როგორც ყველა ღარიბი გლეხისა და მუშის დიდი ბელადის წინაშე, მაგრამ ფრონტის საქმეები და დენიკინის ბანდები ხელს მიშლიან ამაში. მე მოვალე ვარ გაცნობოთ თქვენ, ამხანაგო ლენინ, რომ ცხენოსანი არმია მძიმე განსაცდელშია... მე მრცხვენია თქვენთვის ამისი თქმა, მაგრამ მიყვარს ცხენოსანი არმია და კიდევ უფრო მიყვარს რევოლუცია“.

უდიდესი საქმეები, რომლებიც ილიჩმა გააკეთა, მას წარმომისახავდნენ როგორც რაღაც განსაკუთრებულს, მძლავრს და თუმცა მესმოდა, რომ ლენინი შესახედაობით ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაინც წარმოვიდგენდი როგორც მაღალს, ფართო მხარბეჭიანს, დიდი თავით და მკაცრი შესახედაობით, მუშის ტანსაცმელში და პროლეტარი-მელითონის ტყავის ქუდით. რატომ მუშის ტანსაცმელში? ჩანს, იმიტომ, რომ გლეხის შეგნებაში ლენინის სახესთან დაკავშირებული იყო მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი...

ჩემი ფიქრები შეწყვიტა დელეგატების მოძრაობამ. მე იქით გავიხედე, საითყენაც მხერა მიაპყრეს ირგვლივ მყოფმა დელეგატებმა, და დავინახე ილიჩი. იგი სწრაფი ნაბიჯებით მოდიოდა დერეფანში. ვხედავ: მართლაც ისეთივე ადამიანია, როგორიც ყველა — საშუალო სიმაღლისა, სრულიად ჩვეულებრივი, ოღონდ თავი დიდი აქვს, ფართო შუბლიანი. მოელვარე თვალები, ცოცხალი, მოძრავი სახე რაღაც განსაკუთრებულ მიზიდველობას აძლევდნენ მას.

ლენინი ჩვენსკენ გამოემართა, მე კი მეშინოდა და აღგზნებით ვფიქრობდი თუ რა უნდა მეთქვა ისეთი, რომ ყველა მებრძოლის სახელით ყოფილიყო.

ილიჩი კი მიახლოვდებოდა. მან თავისი შორსმჭვრეტელი ხედვა გვეჩვენა სროლა, გაჩერდა და ხელი გამომიწოდა.

— ეს არის ბუდიონი? — სწრაფად იკითხა, თან თავის ჭკვიან თვალებს ჭუტავდა და ყურადღებით მათვალეობდა.

მის გვერდით მდგომმა სტალინმა უთხრა:

— დიახ, ეს ჩვენი ბუდიონია.

ლენინმა კითხა:

— როგორ არის საქმეები, ამხანაგო ბუდიონი?

მე შევცბი და არც კი შემინიშნავს, ისე წამოვისროლე:

— მადლობა ღმერთს, ვლადიმერ ილიას ძვე!

— ეს, გამოდის, რუსულად — კარგად. მაშასადამე, „ღმერთს მადლობა“? — გაიმეორა მან და ხმამაღლა, გადამდებად გაიცინა...

ლენინის უბრალო თავდაჭერილობამ ჩემი შიში როგორღაც მალე გააქრო და მე თავი მსუბუქად, ძალდაუტანებლად ვიგრძენი.

— თქვენი ჩამოსვლის ამბავი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ არ მეგონა ასე ჩქარა თუ გნახავდით. ახლა სხდომაზე წავიდეთ, თქვენი საქმეების შესახებ კი უფრო გვიან მოვილაპარაკოთ.

ყრილობის მუშაობის დროს, რომელიც განიხილავდა სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს და პროფკავშირების როლს, მე ვუსმენდი კამათში გამოსულებს, მაგრამ უფრო მეტად ილიჩს ვუკვირდები. იგი მთლიანად იყო ჩაფლული მუშაობაში. რაღაცას იწერდა, წყნარად მიმართავდა გვერდით მსხდომთ, თანხმობისა თუ უთანხმოების ნიშნად იქნევდა თავს, ისევ იწერდა უმნიშვნელებს ბლოკნოტში. მის სახეზე ცოცხლად ისახებოდა მოწონების გრძნობა, როდესაც ორატორი გამოთქვამდა სწორ მოსაზრებას, და უკმაყოფილება, მცდარი შეხედულებების გამო.

სხდომის შემდეგ ვ. ი. ლენინმა მე და ვოროშილოვი თავის კაბინეტში, იქვე კრემლში, მიგვიწვია.

— გთხოვთ მომიყვით, რაც შეიძლება დაწვრილებით, თქვენი საქმეების შესახებ, მებრძოლებზე, არმიასზე, — თქვა მან და მზრუნველობით ჩაგვსვა სავარძელში.

ჩვენ მოვახსენეთ ყველაფერზე, რაც ლენინს აინტერესებდა. მას კი ყველაფრის დაწვრილებით გაგება სურდა: პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა ნაწილებში, კავალერისტების დამოკიდებულება პარტიის პოლიტიკისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მებრძოლების განწყობილება, არმიის კლასობრივი, ნაციონალური და ასაკობრივი შემადგენლობაც კი.

მოვეუყევი ადამიანების შესახებ და გავიხსენე, რომ ჩვენთან არიან მეზღვაურებიც, რომლებიც გემებიდან ცხენებზე გადმოსხდნენ და შეუპოვარი კავალერისტები გახდნენ.



ლენინის თვალები როგორღაც განსაკუთრებულად გაცისკროვდნენ.

— აბა წარმოიდგინეთ, როგორი გმირები არიან! — წამოიძახა ილიჩმა.

— თითქოს რევოლუციისათვის არიან შექმნილი! დიახ, მათ ივი „ავრო-  
რას“ გასროლით დაიწყეს. ეს არის სოციალიზმისათვის ბრძოლის ნიმუში!

— საბჭოთა ხელისუფლება მებრძოლებს მშობლიურ ხელისუკლებად  
მიაჩნიათ, ენდობიან ჩვენს პარტიას. ამის მაჩვენებელია არმიის პარტიული  
რიგების ზრდა და წითელარმიული მასების მაღალი პოლიტიკური აქტი-  
ვობა.

— ძალიან კარგი. გამოიყენეთ ეს აღმავლობა. სისტემატურად დაე-  
ყრდენით კომუნისტებსა და უპარტიო აქტივს, — გვირჩია ვლადიმერ  
ილიას ძემ — იყავით წითელარმიელთა შუაგულში, ყური მიუგდეთ მათ  
აზრებს, საჭიროებებს, ჰკითხეთ მათ რჩევა, წარმართეთ მათი რევოლუ-  
ციური ენერჯია ერთიანი მიზნისაკენ — მტერზე გამარჯვებისაკენ.

დიდი ინტერესით მოისმინა ვ. ი. ლენინმა ჩემი ნაამბობი ცხენო-  
სანი არმიის მოქმედების შესახებ სამხრეთისა და კავკასიის ფრონტებზე.

— გამოდის, რომ ჩვენ სწორად მოვიქცეთ, როცა ცხენოსანი არმია  
შევექმენით. ასეთი არმიები არ იყვნენ ისტორიაში. თეთრებს მხოლოდ  
ცხენოსანი კორპუსები ჰყავდათ... დიახ, ამხანაგებო. — განაგრძო ილიჩმა  
და თან აღფრთოვანებას ვერ მალავდა, — რევოლუცია ამსცვრევს ყოვე-  
ლივე ძველს, დრომოკმულს და აყენებს ორგანიზაციის ახალ, პროგრეს-  
ულ ფორმებს, კერძოდ, სამხედრო მშენებლობაშიც.

ვ. ი. ლენინი დაინტერესდა მთავარსარდალთან ჩვენი მოლაპარაკე-  
ბის შედეგებით ცხენოსანი არმიის უკრაინაში გადაყვანის შესახებ. ჩვენ  
ვუპასუხეთ, რომ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

— რა სიძნელეები შეგხვდათ? — იკითხა ილიჩმა

— ვერ შეეთანხმლით არმიის გადაყვანის საშუალებებზე, — ვუპასუ-  
ხე მე. — წინადადებას გვაძლევენ არმია გადავიყვანოთ მატარებლით, ეს  
კი შეუძლებელია.

— რატომ? — გაიკვირვა ილიჩმა.

— რკინიგზები ცუდ მდგომარეობაშია, დანგრეულია ომისაგან. ჩვენ,  
აი, როცა მოსკოვში მოვდიოდით, დავათვალიერეთ გზები. სადგურებში  
არაფერი არ არის, წყალსაც კი ვერ იშოვნე. ვერ გამოვკვებავთ ვერც  
ალამიანებს და ვერც ცხენებს, თუ მათ ვაგონებში ჩაჯამწყვდევთ.

— დიახ, ვლადიმერ ილიას ძემ, — დაუმატა კ. ე. ვოროშილოვმა, —  
ეს მართლაც ასეა. ჩვენ კარგად გვესმის მთავარსარდალობის მისწრაფება,  
რაც შეიძლება ჩქარა გადავიყვანოთ ცხენოსანი არმია ახალ ფრონტზე.  
მაგრამ ათასობით მებრძოლისა და ცხენის რკინიგზის ტრანსპორტით  
გადაყვანა შეუძლებელია. ასეთივე აზრისა არიან ამხანაგები ტუხჩინესკი  
და ეგოროვი.

- როგორია თქვენი აზრი?
- მოძრაობა სალაშქრო წესით, — ვუპასუხე მე.
- და რამდენი დრო იქნება საჭირო ამისათვის?
- გაცილებით ნაკლები, ვიდრე რკინიგზით გადაყვანაზე დაიხარჯე-  
ბა.

ჩვენ მოვასხენეთ ყველა გაანგარიშება, რაც მთავარსარდალს წარ-  
უდგინეთ. ილიჩმა ყურადღებით მოგვისმინა, ჩაფიქრდა და გვათხრა:

— კარგი, მე თანახმა ვარ. ასე გადაეცით სერგეი სერგის ძე კამენევს,  
ის ძალიან ყურადღებიანი ადამიანია და გაგვიგებს. — შემდეგ დაუმატა:  
— ოღონდ, გეთაყვა, ნუ გააჭიანურებთ ვადებს, უნდა იჩქაროთ.

ვ. ი. ლენინმა გაგვაცნო ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგო-  
მარეობა, გულთბილად ლაპარაკობდა მუშების შრომით ენთუზიანზმსა  
და დენიკინზე წითელი არმიის გამარჯვებების შესახებ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, — მოულოდნელად მომმართა მე, —  
თეთროლონელები დაგვესხმიან თუ არა?

მე მხრები ავიწურე:

— თქვენ, ილიჩ, უკეთ იცით. თქვენ მეტი მონაცემები გაქვთ თეთრო-  
ლონელების ზრახვების შესახებ.

— თქვენ ეშმაკი ხართ, ერიდებით პირდაპირ პასუხს, — გულკეთი-  
ლად გაიცინა ილიჩმა. შემდეგ კი სერიოზულად დაუმატა: — პილსუდსკი  
არმიას ამზადებს, სამსახურში იღებს უცხოელებს, უმთავრესად ფრან-  
გებს, ანტანტის იმპერიალისტები აიარალებენ მის ქარებს და ამისათვის  
ამზადებენ.

— ჰოდა, რაკი ასეა, ჩანს დაგვესხმიან, — დავეთანხმე მე, — იმპე-  
რიალისტებს რა? ისინი ზომ მუშებისა და გლეხების ხელებით იომებენ.

— სწორია, ძალიან სწორია, — სწრაფად თქვა ილიჩმა. — თქვენ სწო-  
რად წინიშნით: იმპერიალისტებს განზრახული აქვთ სახელდობრ პოლო-  
ნეთის პროლეტარიატი და ულარბესი გლეხობა გადაისროლონ ახალი  
ომის ხანძარში და მათი სისხლით გაამრავლონ თავიანთი სიმდიდრე.

— მაგრამ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ თავს, — ვთქვი მე. — ცხენოსან  
არმიას, ვლადიმერ ილიჩ, შეგიძლიათ დაეყრდნოთ. რესპუბლიკის მტრებს  
უღმობლად დავსცხებთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი.

— ეს დიდებულთა, რომ თქვენ ასე დარწმუნებული ხართ თქვენს  
მებრძოლებში. მტრებთან შეტაკება კი კვლავაც მოგვიხდება. სწორედ  
ამისათვის გთხოვთ, ამხანაგებო, დააჩქაროთ გადაყვანა.

გამომშვიდობებისას ვლადიმერ ილიჩს ვაცნობე, რომ კავალერისტებ-  
მა მას მცირედი საჩუქარი გამოუგზავნეს — ერთი ვაგონი ფქვილი და შა-  
ქარი.

— ჰო, გვარიანი მცირედია!.. თუმცა, როგორ გითხრათ. — ლენინმა შემომხედა და მოღიმარე თვალები მოჭუტა, — ერთხელ მიხეილ ივანეს ძე კალინინი მომიყვა, რომ ცხენოსან კორპუსში მისი მისვლის სამახსოვროდ თქვენ გამოუგზავნეთ რამდენიმე ვაგონი სურსათი და ქვანახშირი. ალბათ, მაშინ გულუხვობა გამოიჩინეთ იმიტომ, რომ იგი სრულიად „რუსეთის მამასახლისია“. — იგი უმალ სერიოზული გახდა. ჩამომართვა ხელი და მითხრა: — დიდი მადლობა, ამხანაგო ბუდიონი. გადაეცით ჩემი მადლობა და სალამი კავალერისტებს. უთხარით, რომ პარტია და ჩვენი ხალხი მაღალ შეფასებას აძლევენ მათ გმირობას და ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი... რაც შეეხება თქვენს საჩუქარს, მაპატიეთ, მიღება არ შემიძლია, არა მაქვს უფლება. გთხოვთ ფქვილი და შაქარი გადასცეთ ბავშვთა სახლებს. ჩემთვის კი საუკეთესო საჩუქარია თქვენი გამარჯვებები ფრონტზე.

მეორე დღეს, ყრილობის დილის სხდომის შესვენების დროს, ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდით ვ. ი. ლენინს. ისევ გაიბა საუბარი. ილიჩს აინტერესებდა, როგორ შეხვდა მშრომელი ხალხი ცხენოსან არმიას, როგორ იქცევიან კაზაკების ოჯახები დონზე, მოიგონა ჩემს მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი შორინის საქციელის გამო. და ილიჩმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი თხოვნა არმიის გადაყვანის დაჩქარების თაობაზე.

უფრო გვიან მე და კ. ე. ვოროშილოვი მთავარსარდალთან მიგვიწვიეს. მასთან იყო პ. პ. ლებედევიც. ჩვენ მოვუყევით ვ. ი. ლენინთან შეხვედრის შესახებ.

— ვლადიმერ ილიას ძე მხარს უჭერს ჩვენს წინადადებას ცხენოსანი არმიის სალაშქრო წესით გადაყვანაზე და გვთხოვა ამის შესახებ გვეცნობებოდა თქვენთვის, სერგეი სერგის ძევ, — მოვახსენე მე მთავარსარდალს.

— კარგი, საკითხი ჩავთვალთ გადაწყვეტილად, — დაეთანხმა კამენევი. — ჯერ შეგიძლიათ დაგეგმოთ მარში როსტოვზე. შემდგომ მარშრუტს გიჩვენებთ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი. არმია მას დაექვემდებარება.

— ეშელონები ჩვენ მაინც დაგვჭირდება, — შენიშნა ვოროშილოვმა. — მოგვიხდება ჯავშანრაზმების, ავიაციის, მედიკამენტების, საარტილერიო და საიარაღო სახელოსნოების, პოსპიტლების, სურსათისა და ფურაჟის მცირე მარაგის გადატანა რკინიგზით.

— და რამდენი შემადგენლობა იქნება აუცილებელი? — იკითხა სერგეი სერგის ძემ.

— თხუთმეტი-ოცი.

— რატომ ასე ბევრი? — ლებედევმა თვალები მიაპყრო ვოროში-



ლოვს. — თქვენ ხომ თვითონ ამტკიცებდით, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს. რვა-ათ ეშელონზე მეტს არ მოგცემთ.

პაველე პაველს ძის უკმეხმა ტონმა წონასწორობიდან გამოიყვანა.

— ამხანაგო ლებედევ, რატომ ასე აყენებთ საკითხს: „მოგცემთ — არ მოგცემთ“. განა ვაგონები თქვენი საკუთრებაა, ან ისინი მე და ვოროშილოვს გვჭირდება?

ვგრძნობ, ვოროშილოვმა სახელო მომქაჩა: ნუ ფიცხობო.

პაველე პაველს ძემ გადაწყვიტა შეენელებია თავისი ტონით გამოწვეული შთაბეჭდილება.

— სიფიცხე საჭირო არ არის, — გაიღიმა მან. — გაიგეთ, რომ ჩვენთვისაც არ არის ადვილი. არა მარტო ეშელონების, არამედ ვაგონების დათვლაც კი გვიხდება. ეს თქვენ კარგად იცით. მაგრამ დარწმუნებული იყავით ჩემს გულწრფელ განწყობილებაში თქვენდამი და მძლავრი ცხენოსანი არმიისადმი. გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია.

— დიახ, დიახ, — დაუმოწმა მთავარსარდალმა. — მიცემთ მითითებას კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და სამხედრო მიმოსვლების სამმართველოს უფროსს, რათა ყოველმხრივ დაგეხმარონ.

შემდეგ განვიხილეთ საკითხი ცხენოსანი არმიის მატერიალური უზრუნველყოფის, ტანსაცმლით, იარაღებითა და საავტომობილო ტრანსპორტით მომარაგების შესახებ. კამენევი და ლებედევი თანაგრძნობით შეხვდნენ ჩვენს თხოვნას. მთავარსარდალმა რალაც ჩაინიშნა.

— კიდევ რა? — იკითხა მან, როგორც კი წერა დაამთავრა.

— ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცხენოსანი არმიის გაძლიერებას ორი-სამი მსროლელი დივიზიით, — ვუთხარი მე. — ჩვენ გვაქვს კავალერისტების ქვეით ჯართან ურთიერთმოქმედების კარგი გამოცდილება. სამხრეთის ფრონტზე ჩვენზე დაქვემდებარებულმა მეცხრე და მეათე მსროლელმა დივიზიებმა შეაფიწროვეს მტერი ფრონტიდან და ამით უზრუნველყვეს ცხენოსანი ნაწილების მანევრი მტერზე ფლანგებიდან და ზურგში დარტყმისათვის. ასევე წარმატებით გამოვიყენეთ ჩრდილოეთ კავკასიაში დაქვემდებარებული მეოცე, ოცდამეთოთხმეტე და ორმოცდამეათე მსროლელი დივიზიები.

სერგეი სერგის ძემ ყურადღებით მომისმინა და შეგვპირდა, რომ მისცემდა მითითებას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალს.

— გთხოვთ დააჩქაროთ ეს საქმე, — ვთხოვე მე და დავუმატე: — ჩანს უკეთესია ცხენოსანი არმია მთავარსარდალობას დაუქვემდებაროთ. დაქვემდებარების ხშირი შეცვლა ხომ საშუალებას არ იძლევა გამოვიყენოთ იგი ფრონტების საერთო ინტერესებისათვის და უარყოფითად მოქმედებს მომარაგებაზე.




— კარგი, მე ვიტყვებ ამ წინადადებაზე. განვიხილავთ მას სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში და, თუ იქნება დადებითი გადაწყვეტილება, გაცნობებთ..

სალამოს ტელეგრამა გავუგზავნე ნ. კ. შჩელოკოვს და ვუბრძანე, დაეწყოთ დივიზიების მოძრაობა მაიკოპიდან როსტოვისაკენ. არმიის ძირითად შტაბს დავალება მივეცით მოემზადებია გადასასვლელი დონზე და ეშელონი არმიის ზურგის ნაწილების ჩასატვირთავად.

იმდენი გადაუდებელი საქმე დავგროვდა, რომ მე და ვოროშილოვი სასტუმროში გვიან ღამით დავბრუნდით.

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.



# ბიოგრაფი ჯეონიქე

ახლა იგი სამოცდაათისა იქნებოდა. ბათუმს, აჭარას  
უთუოდ ეწვეოდა, ჩვენთან ერთად გაიხარებდა, ჯოჯოღელ  
სახლიკაცებს, როგორც ამ ათი წლის წინათ, ახლაც თამადად  
დაუდგებოდა...

„ჭოროხის“ მკითხველებს ეთავაზობთ გიორგი ლეონიძის  
ორ ლექსს აჭარაზე და ფრიდონ ხალვაშის მოგონებას.

## ბ ჟ ბ რ ბ უ ბ

### 1

დაფნა და ვარდი...  
რა საამო დღე...  
ო, რა ლაყვარდი...  
ო, რა სამოთხე...

მოღელავს ტალღა,  
მოშრიალებს ტყე...  
აი, სამშობლო!  
აი, სამოთხე!

მაგრამ რად დავალ  
ჩუმად, როგორც ტყვე.  
იქნებ დარდი და  
სევდა შემიტყვეს?

მე კრძალვით ვამბობ  
ამ საღვთო სიტყვებს:  
— აი, მამული!  
— აი, სამოთხე!  
რა მზის აღმუერი...  
რა საამო დღე...  
რთვლის სიტყვობებით ნაბადაგები, —

მთაწმინდელების, ათაბაგების,  
სურნელი მიწა რუსთაველისა,  
ფეხის დადგმა რომ ახლოს მეღირსა...  
შავი ზღვის უბე ამონჩქრეული,  
ქაფშეტყორცნილი, თეთრი ფირფატით,  
მეაღერსება, თითქოს გრძნეული  
ქალი ზურმუხტის რიდე-პირბაღით.

2

მაგრამ ბუჩქები რას ჩურჩულებენ,  
ნანგრევენი რაღას მეუბნებიან,  
შავი ზღვა რისთვის გადალურჯულა,  
ჩანჩქერი რისთვის მოჰქუხს ვნებიან?

რა აღმასით სურს გული ათალოს,  
ან მე რას მეტყვის ამის პასუხად —  
რისთვის წასულხარ სხვისკენ, ფათალო,  
ჭოროხის ზვირთო, სად გადასულხარ?

თოვლით ნაპოხი კარჩხალის მთები  
მწარედ მოსთქვამენ თვის სიმარტოვეს,  
თითქოს ჰყვიან გოლიათები, —  
სამშობლოს დროშა რისთვის დავტოვეთ!

ციხე-კოშკებში, ნატაძრევებში,  
დიდი წარსული ჩუმად ქვითინებს,  
და ვერვინ იტყვის: ცრემლის ხევებში.  
გვეყო, რაც წარღვნა ჩამოვიდინეთ.

მე გულზე გრგვინვა მეტორტმანება,  
უგუნურების ამპარტავნებამ  
როგორ გამოსკრა ჩემს ზამბახს ყელი!  
ანაზღდეულად, უცბად, ერთ წამით  
როგორ ძირს დასცა ჩემი ლერწამი,  
როგორ შეახო სიკვდილის ხელი!

შეირხევიან მთები მძინარე,  
პირს დაბანს ცრემლი ჩამოღვარული,

თვითელი ხე შემომცინარებს  
ლიმით, ჩურჩულით და სიყვარულით.  
ვერ დავთვლი ღამეს, თქვენთვის გათეულს,  
ხომ ქართველებად დავიბადენით...  
დაიგუგუნეთ თქვენც, გუმბათებო,  
რომ განშორება გვეყო ამდენი!

ჯვარზე გაკრულო და ნაწამებო,  
მშვენიერების ტურფა სამეფო,  
მესხეთო, ისევ ხარ სანუკვარი.  
დაიგრიალეთ, თქვენც, აკლდამებო,  
ჩაბნელებული გახსენით კარი!  
თქვით, წინაპრებო, დიდების გვარი,  
ხელისგულზე აინთეთ კვარი!

მე თქვენი გულის სიმღერა მესმის,  
საკურთხევლებზე წმინდა ღაღადი,  
რომ ჩავაწებო სიტყვები კენესის,  
ამითავდება, ალბათ ქალღაღადი!  
აენთე ცეცხლით, თუ აენთები, —  
ბანავ, შატბერდო, ოშკო, ხახულო,  
გაშალეთ გრძელი პერგამენტები,  
რომ გული ცეცხლით კვლავ გაახუროთ.

რუსთველიანო დიდო მესხეთო,  
ტაო-კლარჯეთო, თქვენი მაქვს ვალი.  
მინდა ქარიშხლით შენს ნისლს ვეკვეთო,  
ჩემო შავშეთო,  
დამიტკბე თვალი!

ჩემს ნათელ სურვილს მიეცი ძალა  
ჩემი ჭრილობის დიდო მკურნალო,  
შენი მკერდს მთხვევნა ნუმც ამეკრძალა,  
კერავ, მამათა ნასადგურალო...



# მ ბ ჭ ა ხ ე ლ ა

რქსპრთმცო

ამას წინათ აჭარელმა მშრომელებმა ჩემი დაბადებიდან 60 წლისთავის იუბილზე საჩუქრად გამომიგზავნეს ძველი თოფი მაჭახელა წარწერით: „ამ თოფით ვიცავდით აჭარლები სამშობლოს მტრებისაგან“.

ამა თოფისა მსროლელი  
არა ყოფილა ლაჩარად,  
თავისუფლების წყურვილის  
მეტი მას არა დარჩა რა!

თოფი ესროლა, ხმალი სცა,  
მტერს შუბი მკერდში გასჩარა!  
ისევ დგას გონიოს ციხე,  
და კახაბერიც დამრჩალა!

ამაყად ბრწყინავს ბათუმი, —  
მტერს პირში ბურთი ჩასჩარა,  
თამარის ღიმი კვლავ ჰყვავის,  
ღღემღისაც აღარ დამჰკნარა!

შვილი ვარ, განა მოსული,  
შორიდან გადმონაჭარად?  
შენს სიყვარულს და ტრფიალსა  
გულში ვიწურავ მაჭარად,  
გული ხარ საქართველოსი, —  
მესხეთო,  
ჩემო აჭარა!..

21 მარტი, 1960 წ.



## **ჯოჯოველ ლეონიძეებთან**

ეს მოხდა 1960 წლის გაზაფხულზე.

ქობულეთში დასასვენებლად ყოფნის დროს პოეტმა გიორგი ლეონიძემ იმოგზაურა აჭარის რამდენიმე სოფელში, გაეცნო ქართული კულტურის უძველეს ძეგლებს.

საბრუნოში მიმავალ გზაზე პოეტმა დიდი ყურადღებით და მღელვარებით დაათვალიერა გონიოს ციხე. იმ დღეს მშვენიერი ამინდი იდგა და ჩვენ მოვიარეთ ციხე-სიმაგრის მიდამოები. მხოლოდ ციხის კედლებში მოქცეული ფართობი თხუთმეტ კექტარამდე აღწევს. ყოველ მნახველს აოცებს ამ ანტიკური ქართული ნაგებობის გრანდიოზულობა. ზოგ ადგილას კედლებში იმოდენა ქვებია ჩატანებული, რომ მისი იქ აზიდვა მხოლოდ განვითარებული ტექნიკით თუ შეიძლებოდა. ალაგ-ალაგ კი კედლებში მოჩანს წვრილი რიყის ქვით ნაშენი. ეს არ ლახავს ციხის პირველ მშენებელთა ღირსებას, რადგან ვიცით, რომ იგი თურქებმა „ჩააკერეს“ თავიანთი ბატონობის პერიოდში.

თვალებში ცრემლებმომდგარი პოეტი დიდხანს შეჰყურებდა წინაპართა გმირობის მოწმეს, ხავსსა და ტროპიკულ სიმწვანეში ჩაფლულ კედლებს. ბევრგან კედლის ნაპრალებში ლედვის, ბჟოლის, ბლის ხეები ამოზრდილან და ტანი აუყრიათ. ჩვენ რამდენიმე მწიფე ლედვი მოვწყვიტეთ და სტუმარს მივართვით. კედლებს შიგნით, შუა მოედანზე გვიმრითა და ხავსით დაფარული ნანგრევია, სასახლის ნანგრევი. გვერდით პატარა ეკლესია და აბანო ყოფილა.

— სულხან საბამ ალბათ აქ დაისვენა, უცხოეთიდან მომავალი რომ შეჩერდა... — თქვა პოეტმა და დიდხანს უცქირა თეთრად ჩამოცვნილ ქვითკირის ნამსხვრევებს.

შემდეგ მარად მწვანე ხეებში გატყორცნილმა გზამ სარფისაკენ წავიყვანა.

ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც კირნათ-მარადიდსა და ერგეში მგზავრობა იყო.

დიდებული კახაბრის ველიდან კირნათამდე ჩვენ ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მივყევბოდით.

ერგეს ხილთან ვილაცამ გაგვაჩერა. მზით გარუჯულმა ქერაულმა გულგნულმა, მისი ულვაშების ფერისავე კრაველის ბოხობიანი თავი ძლიერ შემოჰყო მანქანაში და გვიტხრა:

— აქ ბრძანდება მწერალი ლეონიძე?

— არა, წინა მანქანით ჩაიარა.

— ეს რა მითხარით!

დავინტერესდით ჩვენ.

— რატომ შეწუხდით, გენაცვალე?

— მე ჯოჯოელი ლეონიძე ვარ, გავიგე, ჩვენი სახლიკაცი ჩამოსულა და მინდოდა შინ მიმეპატიყა.

დავამშვიდეთ:

— არა უშავს, მალე ჩამოივლის.

შემდეგ მდინარე მაჭახელა გადავკვეთეთ. მტერთან საბრძოლველად მის ნაპირებზე რამდენი უდრეკი იარაღი გამოჰქედილა! მაჭახელას ნაპირებთან რატომღაც ქვებსაც რკინის ფერი ადევს.

მალე კირნათში შევედით.

გზის გადაღმა, კაკლის ხეებში ახალი მშვენიერი სახლის მშენებლობა მთავრდებოდა. ეს კირნათელთა ახალი სკოლა-ინტერნატია. მისი მშენებლობა სწორედ იმ დღეს დაამთავრეს და მეორე დღით ახალ საკლასო ოთახებში ასოცი ბედნიერი ბავშვი შევიდა.

სტუმარს ესალმებიან მშრომელები, რომლებიც მრავალ შეკითხვას აძლევენ მას საკუთარი შემოქმედებისა თუ საერთოდ ლიტერატურული ცხოვრების გარშემო.

ჩვენ დიდხანს ვუცქირეთ ჭოროხს გადამა მინარეთიან მარადიდს. ალბათ იქიდანაც დიდხანს გვიცქერდნენ...

კირნათისა და მარადიდის დათვალიერების შემდეგ ვბრუნდებით უკან.

ის ბოხობიანი ლეონიძე ისევ ერგეს ხილთან დაგვხვდა. გაგვაჩერა და მტკიცედ უბრძანა მძლოლს, მანქანა მარჯვნივ, ჯოჯოს გზით წაეყვანა. თვითონაც ჩამოგვიჯდა.

ცოტა ხანიც და სოფელ ჯოჯოს ლეონიძეთა უბანში ვართ. მანქანები წაბლის ახალი ოდა-სახლის წინ გაჩერდნენ.

— ეს ჰარუნ ლეონიძის სახლია, ჩამობრძანდით! — გვეძახის ვილაცა.

სამზარეულოდან ქალები და ბავშვები გამოეფინენ და თავიანთ სახლიკაცსა და სტუმარს შემოეხვივნენ. თითქოს მარჯვენა აღარ ეყო და პოეტმა მარცხენათიც დაიწყო ხელის ჩამორთმევა, თანაც ხუმრობდა: ამდენი ლეონიძე ერთად არასოდეს მინახავსო.

ჯოჯო სოფელ ერგეს ერთი უბანია. აქ ლეონიძეთა ოცდაცამეტი კომლი ცხოვრობს. სასურველი სტუმრის მოსვლა რომ გაიგეს, ყველამ ამ ეზოში მოიყარა თავი.

პარუნის სახლში საჩქაროდ სუფრა გაიშალა. ამ ოჯახის სამი ვაჟი და ოთხი ქალიშვილის სახელით მასპინძელმა თამადად ერთი შინაურთაგანი დაასახელა. მაგრამ გოგლამ ღიმილით გადახედა სუფრას და ხელში სავსე ჭიქით ფეხზე წამოდგა.

— არა, მეგობრებო, მე დღეს ჩემს საკუთარ სახლში ვარ, თამადაობას გერავის დავეუბნობ.

იფეთქა ტაშმა. ყველა კმაყოფილი და აღტაცებული იყო. ხუმრობა საქმეა — გიორგი ლეონიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი, დიდი ქართველი მოღვაწე ჯოჭოელი გლეხის ოდაში თამადაობს!

თამადამ თავისი ღირსეული საქმე ასეთი ამაღელვებელი სადღეგრძელოთი დაიწყო:

— ლეონიძეებო, აქაურებო, სამასი წელიწადია თქვენ დაგეძებთ, დღეს ძლივს შეგხვდით. ამ ჩვენი ბედნიერი შეხვედრისა იყოს, დანო და ძმანო!

ბევრი მუსაიფისა და მოგონების შემდეგ „მრავალყამიერის“ თქმის პირველი უფლებაც ლეონიძეებს დაეთმო.

ყველაზე ხნიერებმა — მურად, სკენდერ, რიზალი და ოსმან ლეონიძეებმა ბევრი რამ მოიგონეს წარსულიდან.

პაპა იტყოდა, რომ მისი წინაპარი მესხეთიდან გადმოსულა თურმე, — განაცხადეს მათ.

პოეტმა გიორგი ლეონიძემ გულთბილ მასპინძლებს თავისი ახალი წიგნები დაუტოვა სამახსოვროდ და შეპირდა, ხშირად ჩამოვალო თქვენთან.



# ნ ე რ ი ლ ე ბ ი



სერგო ვაბაყუა

## კოლმეურნე გლეხობის კატრიოტიზმი სამაშულო ომში

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირის მუხანათურად დაესხა თავს პიტლურული გერმანია.

ფაშისტებმა მიზნად დაისახეს ხელი ეგდოთ ჩვენი მიწაწყალი, პური, ნავთი და ქვეყნის სხვა სიმდიდრე, აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება, დაემონებინათ საბჭოთა ხალხი.

ამ მიზნის განსახორციელებლად პიტლურულმა სარდლობამ ჯარისკაცებს ჩაუწერა: „მოსპე შენს გულში ყოველგვარი სიბრალული და თანაგრძობა, — მოკალი ყველა რუსი, ყველა საბჭოთა ადამიანი, უკან არ დაიხიო, თუ შენ წინ მოხუცია ან ქალი, გოგონა თუ ბიჭუნა, — მოკალი, ამით ისინი თავს დაღუბვისაგან, უბრუნველყოფ შენი ოჯახის მომავალს და სამუდამოდ თავს ისახელებ.“<sup>1</sup>

საშინელი საფრთხე დაემუქრა მიელს საბჭოთა ქვეყანას, კერძოდ, საქართველოს. პიტლურელებს სურდათ წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის, ისე როგორც სხვა ხალხებისათვის, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

თავის ყაჩაღურ წიგნში „მინ კამპში“

პიტლური ცინიკურად აცხადებდა: „გერმანიის მიერ დაპყრობილი საქართველო იქნება იმ მეორეხარისხოვან ხალხთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ არმია, არ ეწევიან საკუთარ პოლიტიკას, არ აქვთ საკუთარი ეკონომიკა.“<sup>2</sup>

ფაშისტური გერმანიის კოლონია. — აი, რა საშინელ ბედს უმზადებდნენ პიტლურელები თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მთელი საქართველო აღსდგა სამშობლოს დასაცავად, მან წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში ასეთულათა სობით თავისი საუკეთესო შვილები გაზავნა.

ქართველმა ვაჟკაცებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავისი ხალხის დეკლარაცია და არაერთი საგმირო ფურცელი ჩასწერეს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა ახალი, უდიდესი ამოცანები დააკისრა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მეურნეობას, კერძოდ, სოფლის მეურნეობას. „ომი ნამდვილად რომ ვაწარმოოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ სამოქა-

<sup>1</sup> სკკპ ისტორიის ნარკვევები, თბ., 1967, გვ. 383.

<sup>2</sup> ვაზ. „საბჭოთა აპარა“, № 231, 1942.



ლაქო ომის პერიოდში, — აუცილებელია მტკიცე, ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს და უყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საქმარისად შეიარაღებული, სურსათით მომარაგებული, გაწვრთნილი არ არიან იქნებიან“.<sup>3</sup>

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში ერთ-ერთ კიდევ მკაფიოდ გამოვლინდა არმიისა და ხალხის უძლეველობის ისეთი წყარო, როგორცაა ზურგისა და ფრონტის სიმტკიცე, მათი ერთიანობა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ქართველმა ხალხმა, კერძოდ, აჭარის მშრომელებმა პარტიის მოწოდებისთანავე დაუყოვნებლივ დააწყეს მუშაობის გააღრმავება საომარ ყიდაზე და მთელი საქმიანობა მტერზე გამარჯვების საერთო ამოცანას დაუმორჩილეს.

ომის მძიმე დღეებში, როცა სამშობლო მოითხოვდა მსხვერპლსა და თავდადებას, აჭარის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოავლინეს გამართული პატრიოტიზმი. მანამდე ბევრი უბრალო ადამიანი ახლა საერთო საქმისათვის სახელგანთქმულ მებრძოლად იქცა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომას ომის წლებში. სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის 1944 წელს საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები, რომლებმაც სამამულო ომის დროს გამოამჟღავნეს ცხოველყოფილი პატრიოტიზმი და ფრონტსა და ზურგს მისცეს დიდალი სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული.

დაჯილდოვებულთა შორის იყვნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუტუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ჭიჭავაძე, დავის კოლ-

მეურნეობის თავმჯდომარე ხ. ლავასაძე, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი პ. ბურკაძე, ზედა ულიანოვის კოლმეურნეობის ჩაის კრეფის ოსტატი ხაჯარ კაკაბაძე, ხულოს რაიონის სოფელ გორგაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. თურმანიძე და სხვები.

აჭარის მშრომელებმა ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხეს მაღალ ჯილდოს და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

საკოლმეურნეო შრომის ფერხულში აქტიურად იყვნენ ჩაბმული მოხუცებიც ბევრი მათგანი ყოველწლიურად 300-400 შრომადღს იწერდა წიგნაკში. ასეთები იყვნენ ქობულეთის რაიონის ხუტუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ხ. ბაჯელიძე, რ. შაქარიშვილი და ხ. გოგიტიძე. მაგალითად, 72 წლის ხ. ბაჯელიძე თავის საკარმიდამოს ხეხალსა და ციტრუსოვანთა ნარგავებს თვითონ უვლიდა და 1943 წელს კოლმეურნეობაში 400 შრომადღე ჰქონდა გამოშვებული. მისი ენებები რამაში და რიფათი კი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ.

ასევე ითქმის 75 წლის მ. ვასაძეზე, რომელმაც თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან 1944 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 15 ტონა მანდარინი, 5 ტონა ვაშლი და მსხალი.<sup>4</sup>

მოხუცებთან ერთად აჭარის სოფლებში საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილეობდნენ მრავალშვილიანი ქალები. ბევრმა მათგანმა საგმირო საქმეები გვიჩვენა საკოლმეურნეო მიწოდებებზე და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით აღზარდა შვილები.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთას კოლმეურნეობის წევრმა, დიასახლისმა ნუქთიე ასლანის ასულმა ბერიძემ შობა და აღზარდა 4 ვაჟი და 7 ქალიშვილი, მშვიდობიან წლებში ნუქთიე ბერიძის

4 ა. იოსელიანი, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბ., 1958, გვ. 219.

ვაეები და ქალიშვილები ენერგიულად შრომობდნენ კოლმეურნეობაში. 1941 წლის ივნისში, როცა ომი დაიწყო, მოსწრებული ვაეები რიზა და შუქრი დედამ სამშობლოს დასაცავად დალოცა და წითელ არმიას ვაისტუმრა, ხოლო შინ დარჩენილები მამაცურად იღვწოდნენ პლანტაციებში.

1944 წელს ნუქთიე ბერიძის ოჯახმა 1.594 შრომადღე გამოიმუშავა. მისი ოჯახის ყველა წევრი საუკეთესოდ მუშაობდა კოლმეურნეობაში, 150-200 პროცენტით ასრულებდნენ სამუშაო გეგმებს და ამით დიდი წვლილი შექონდათ მტერთან გამარჯვების საქმეში.

აჭარის კოლმეურნეთა თავდადებული შრომა წარმოადგენდა ფრონტისადმი დახმარების, პატრიოტული მოძრაობის მთავარ ფორმას. გარდა ამისა, სამამულე ომის პერიოდში აჭარის მშრომელებმა გვიჩვენეს პატრიოტიზმის სხვა ფორმებიც. ისინი ნებაყოფლობით დახმარებას უწევდნენ ფრონტს, მეომრებს უკზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს, სურსათს და სხვ.

ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ არმიისათვის ყოველგვარი დახმარება ზურგში დაუყოვნებლივ მოქმედებს მებრძოლთა განწყობილებაზე ფრონტზე, აძლიერებს მათ ბრძოლისუნარიანობას, ამიტომ „დავეხმაროთ წითელ არმიას ყველაფრით, რითაც კი შეუძლია დახმარება თითოეულს — ასეთია პირველი ძირითადი და უმთავრესი მოვალეობა თითოეული შეგნებული მუშისა და გლეხისა“.<sup>5</sup>

ასრულებდა რა ლენინის ამ მითითებას, საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ აძლიერებდა დახმარებას ფრონტისადმი. ეს დახმარება იყო მრავალმხრივი, მზარდი, სისტემატური, მასობრივი.

ფრონტისადმი დახმარების თაოსნობა სამამულე ომის პერიოდში იყო დაუშრეტელი. ეს ინიციატივა გამოვლინდა ომის დაწყებისთანავე, ჟერ კიდევ 1941

წლის ზამთრის დადგომამდე ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობამ ფართო კამპანია გააჩაღა წითელი არმიისათვის თბილი ნივთების შესაგროვებლად.

აჭარის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ ამ კეთილშობილურ მოძრაობაში და დიდი სიყვარული და სათუთი მზრუნველობა გამოიჩინეს მეომრებისადმი.

მოქმედ არმიას თბილ ნივთებთან ერთად გაიგზავნა დიდძალი საახალწლო საჩუქრები. თავიანთ ამანათებში აჭარის მშრომელები აწყობდნენ ძვირფას პროდუქტებს და მებრძოლებისათვის საჭირო ნივთებს, დებდნენ აგრეთვე გულთბილ წერილებს, რომლებშიც გამოხატავდნენ წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეულ აღფრთოვანებას და მეომრებს პირდებოდნენ, რომ კვლავაც თავდადებულად იმშრომებდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მშრომელებმა მებრძოლებს 1941 წლის დეკემბერში გაუგზავნეს 25 ამანათი თბილი ნივთებითა და სხვა ძვირფასი საჩუქრებით, ამასთან 15 ამანათი საახალწლო საჩუქრებით. საახალწლო ამანათებში ბობოყვათელებმა სამშობლოს დამცველებს ჩაუწყვეს ჩურჩხელები, ორცხობილები, თამბაქო, მანდარინი, ფორთოხალი და სხვ.<sup>6</sup>

ძვირფასი ამანათების მიღებით აღფრთოვანებული მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მადლიერების გრძნობით გამსჭვალული წერილებით უპასუხებდნენ აჭარის მშრომელებს და აღუთქვამდნენ, რომ უფრო მედგრად იბრძოლებდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ერთ-ერთ ასეთ წერილში ვკითხულობთ:

„ჩვენ, N ნაწილის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, რომ-

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 432.

6 გავ. „საბჭოთა აჭარა“, № 1, 1942.



ლებიც საყვარელი სამშობლოს ღირსეულობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით. დღეს მივიღეთ დიდძალი საჩუქრები აჭარის მშრომლებისაგან, საჩუქრები მივიღეთ ქობულეთის, ბათუმისა და ხულოს რაიონების მშრომლებისაგან.

...თქვენი საჩუქრები არის იმ უსაზღვრო მზრუნველობის მკვეთრი გამოხატულება, რომლითაც მთელი საბჭოთა ხალხი მოსაეს თავის სისხლბორცეულ, საამაყო წითელ არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტს.

თქვენმა ძვირფასმა საჩუქრებმა ჩვენ უსაზღვროდ აღგვაფრთოვანა, გიძღვნი, ძვირფასო ამხანაგებო, გულის სიღრმიდან ამოდებულ წითელარმიულ მადლობას... ჩვენ გმირულად ვიბრძვით და ვიბრძობებთ გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ვანადგურებთ და კვლავაც გავანადგურებთ საზიზღარ მტერს, დიდების ახალ ფურცელს ჩავწერთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში.<sup>7</sup>

აჭარის მშრომლებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი და დიდი პატიოტული შემართება გამოიჩინეს სამშობლოს თავდაცვის ფონდის შექმნაში. მოსახლეობას ამ ფონდში შექონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, პირადი დანაზოგები, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, ყველაფერი, რისი შეტანაც კი შეეძლო. აჭარის სოფლის მშრომლებმა მარტო 1942 წელს სამშობლოს თავდაცვის ფონდში შეიტანეს 761 ცენტნერი სიმინდი, 8 ცენტნერი ლობიო, 773 ცენტნერი მარცვლოვანი და ცერცოვანი ნაყოფი, 10 ცენტნერი თამბაქო, 386 ცენტნერი კარტოფილი და სხვ.<sup>8</sup>

1941 წელს აჭარის კოლმეურნეობებმა სამშობლოს თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 158.366 შრომადღე, რომლის მთლიანი შემოსავალი მოხმარდა ფრონტის საჭიროებას.<sup>9</sup>

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა თავდაცვის ფონდში მილიონზე მეტი მანეთის ობლიგაცია შეიტანეს. ამავე პერიოდისათვის სოფელ ხუცუნის კოლმეურნეობის წევრებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 28.500 მანეთის ობლიგაცია და ნაღდ ფულად 6.435 მანეთი.<sup>10</sup>

სულ აჭარის მშრომლებმა 1942 წლის იანვრამდე თავდაცვის ფონდს მისცეს 3.201.000 მანეთი.

წითელი არმიის შეიარაღების გასამდიერებლად აჭარის არა ერთმა მშრომელმა თავისი დანაზოგებიდან თავდაცვის ფონდში შეიტანა მსხვილი თანხა. ასე მაგალითად, ქედის რაიონის ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯელი ბერიძემ სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში 50 ათასი მანეთი შეიტანა, ხულოს რაიონის გოგაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. თურმანიძემ 40 ათასი მანეთი და ა. შ.<sup>11</sup>

ქობულეთის რაიონის ხალას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ჰაიდარ ხასანის ძე ფალავანდიშვილმა მესამე სამხედრო სახელმწიფო სესხზე ხელი მოაწერა 50.000 მანეთის ოდენობით. ეს თანხა მან მთლიანად გაანაღდა ხელმოწერისთანავე და ობლიგაციები მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში. ამასთან დაკავშირებით ჰაიდარ ფალავანდიშვილმა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობის დეპეშა მიიღო. მტერზე შეტევით აღფრთოვანებული საქართვე-

<sup>9</sup> აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 178, ანაწ. I, საქ. 139, ფურც. 50.

<sup>10</sup> აჭარის ასსრ ცსა, სამამულო ომის გამოფენა, ფ. 7.

<sup>11</sup> გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 110, 1944.

<sup>7</sup> გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 121, 1942.

<sup>8</sup> აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 84, ანაწ. I, საქმე 1597, ფურც. 1.

ლოს მშრომელები ახალ პატრიოტულ თაოსნობას იჩენენ. მათ წამოაყენეს წინადადება წითელი არმიის 25 წლის- თავის სამზადისთან დაკავშირებით თავიანთი დანაზოგებიდან შეეგროვებინათ თანხები საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილის „საბჭოთა საქართველოს“ ფონდის შესაქმნელად. ამ მოწოდებამ აჭარაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ 1942 წელს მათ მიერ გამო- მუშავებული ყოველი შრომადღიდან ერთი მანეთი გადაიღოს და დაეველოს გამ- გობას გადარიცხოს ეს თანხა „საქართ- ველოს ავიაციკადრილის მშენებლო- ბისათვის“.<sup>12</sup>

წითელი არმიის 25 წლისთავზე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-

12 აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 223, ანაწ. I, საქ. 86, ფურც. 13.

ბის დამყარების 22 წლისთავზე საქართველოში  
თა სამხედრო საჰაერო ძალებს გადუქც  
რესპუბლიკის მშრომელთა დანაზოგით  
აგებული საბრძოლო თვითმფრინავთა  
ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“.

ასევე კომკავშირის სახელობის საბრ-  
ძოლო ავიაციკადრილის მშენებლობის  
ფონდის გასაძლიერებლად აქტიური  
მონაწილეობა მიიღო დაგვის, ბობოყვა-  
თის, ულიანოვკის კოლმეურნე ახალგა-  
ზრდობამ. მან ესკადრილის მშენებლო-  
ბის ფონდში 18.380 მანეთი შეიტანა.

ამრიგად, აჭარის საკოლმეურნეო სო-  
ფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალ-  
ხთან ერთად იღვწოდნენ ერთი მისწრა-  
ფებით — ყოველმხრივ დახმარებოდნენ  
წითელ არმიას, უზრუნველყნათ ფრონ-  
ტის საქიროებანი. ჩვენმა კოლმეურნე  
გლეხობამ უდიდესი განსაცდელის ჟამს  
გვიჩვენა გმირული თავდადება, ერთ-  
გულეობა და ღირსეულად მოიხადა თავი-  
სი ეალი სამშობლოს წინაშე.



## საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ძირეული გარდატეხა მოახდინა ამ კუთხის ქალთა ცხოვრებაში. საბჭოთა კანონებმა ქართველი მაჰმადიანი ქალი იმთავითვე გაათავისუფლა ყურანის, შა-რიათისა და ადათის მონობისაგან და მიანიჭა მას ადამიანური უფლებები სასოვადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მაგრამ კანონით გათანაბრება ჭერ კიდევ არ ნიშნავდა ფაქტიურ თანასწორობას. ამ გზაზე დიდი დაბრკოლება იყო ფეოდალურ-პატრიარქალური გადმონათობები, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, მუსლიმანური რელიგიის დოგმები, ჩადრი, ყალიში, მრავალცოლიანობა და სხვა, რაც თურქთა სამსაუკუნოვანი ბატონობით დამკვიდრდა, ერთობ აძნელებდა ქალების გამოყვანას ახალი ცხოვრების გზაზე.

სოციალიზმის კლასობრივი მტრები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქალთა განთავისუფლებისათვის. კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესში. კულაკები და სასულიერო წოდების რეაქციული ნაწილი საკომუნურ-ნეო მოძრაობის, საბჭოთა მშენებლობის, ჩადრის ახდისა და მეღრესე-მეჭებებების დახურვის წინააღმდეგ იყენებდნენ ქალთა ჩამორჩენილობას. პროვოკატორთა წაქეზებით 1929 წლის 6 იანვარს დიდაჭარაში მოეწყო ქალთა გამოსვლები საბჭოთა სკოლის წინააღმდეგ. 60-მდე ქალი ჯოხებით შევიდა სკოლის ეზოში, რომ დაერბია იგი. 7 იანვარს. დღის 2 საათზე

პაქსაძეების სკოლაში თავი მოიყარა რამდენიმე ათეულმა ქალმა. მათ დახიეს პლაკატები, წიგნები, გამოეკიდნენ მასწავლებელ მდინარაძეს, რომელმაც ფაქრიდან გადახტომით უშველა თავს. ღურტაში იმხანად ორი ჩადრასდელი ქალი იყო — აიშე გელაძე და აიშე ღორჯომელაძე, რომლებიც მეზობლების შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ. დეკანაშვილებში კომუნისტ ბოლქვაძის ცოლა ჯოხით სცემეს ქალებმა ქალთა საარჩევნო უბანში.<sup>1</sup>

ქალთა უდიდეს უმრავლესობას ჩადრი ნამდვილად სძულდა, მაგრამ ვერ ბედავდა ხმა ამოეღო წარსულის ამ მევენე გდმონათობის წინააღმდეგ. ქალთა საარჩევნო კრებებზე ქალები ხშირად ლაპარაკობდნენ ჩადრის ახდის თაობაზე კანონის გამოცემის შესახებ. შეკრებებზე, მიტინგებსა და კონფერენციებზე იხდიდნენ კიდევ ჩადრს, მაგრამ სახლში დაბრუნებისთანავე იხურავდნენ ქმრისა და მეზობლების შიშით. ხელოში. სოფელ ღურტაში მოკლეს აქტივისტი ქალი აიშე ღორჯომელაძე, რომელმაც ჩადრი მოიხადა და სხვასაც ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდა. ჩაქეში ვინმე გორგილაძე სასტიკად ილაშქრებდა გოგონების სწავლა-განათლების წინააღმდეგ. იგი დაუნდობლად ებრძოდა მასწავლებელ ქალებს და სიკვდილით ემუქრებოდა მათ, თუ თავს არ დანებებდნენ მასწავლებლობას.

1 საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფონდი 1, აღწ. 1, საქმე 1258, ფ. 1.



არა ერთი და ორი აქარელი გოგონა მოუცილებია მას სასწავლებლისათვის. დაბოლოს მან მხეცურად აწაა და მოკლა კომკავშირელი ქალი უნგიაძე, რისთვისაც აქარის უმაღლესმა სასამართლომ დახვრება მიუსაჯა.

მართალია, ქალთა მკვლელობა აქარაში ისეთი მასობრივი მოვლენა არ იყო, როგორც, მაგალითად, უზბეკეთში, სადაც მარტო 1928 წელს ფარანჯის გახდისათვის მოკლეს 203 ქალი, მაგრამ მათდამა ისეთ დამოკიდებულებას იჩენდნენ, რომ ქალებს ხმა ვერ აშოვდოთ თავისივე მონობისა და ჩავერის წინააღმდეგ.

მაჰმადიან ქალთა მდგომარეობის, აგრეთვე ჩადრის ახდის თაობაზე ქალთა განწყობილების შესწავლის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (1929 წლის 24 იანვარი, ოქმი № 57) გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა უნდა გამართულიყო ბათუმში, 1929 წლის 8 თებერვალს, აქვე გამოიყო ყრილობის მოსამზადებელი კომისია, დამტკიცდა დღის წესრიგი და ქალთა ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმები: აქარიდან ყრილობას 300 დელეგატი უნდა დასწრებოდა, ახალციხიდან — 12, ახალქალაქიდან — 3, ბორჩალოდან — 10, იორმულანლოდან (კახეთი) — 3, თბილისიდან — 10, მახარაძიდან — 2 დელეგატი ქალი.<sup>1</sup>

8 თებერვალია, თოვს, მაგრამ ბათუმს მაინც სადღესასწაულო იერი აქვს. დროშებით, პლაკატებით, ლოზუნგებით არის გადაწითლებული ქალაქის ქუჩები. განსაკუთრებით მოუხრთავთ რკინიგზის სადგური. ცუდი ამინდის მიუხედავად ბაქანზე უამრავი ხალხია. ქალები ჭარბობენ. მალე თბილისის მატარებელი ჩამოდგა და გამოჩნდნენ სასურველი სტუმრები: ფილიპე მახარაძე, მარიამ ორახელაშვილი, ნინო მახარაძე, ი. ვარძიელი და 50 სტუ-

მარი ქალი — მაჰმადიან ქალთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის დელეგატები.

სადგურზე თავმოყრილ ქალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა ფილიპე მახარაძე. დღევანდელი დღე, აღნიშნა მან, არა მარტო მაჰმადიანი ქალების, არამედ მთელი მშრომელი ხალხის დღესასწაულია. ორატორმა გამარჯვება უსურვა მუსლიმან ქალთა გამოფხიზლებას და მათ გაბედულ სვლას კულტურისა და პროგრესის გზით.

8 თებერვლის საღამოს 7 საათია. ბათუმის აკადემიური თეატრი საზეიმოდაა მორთული — სცენის სიღრმეში აღმართულია ფართო ტილო მუშა ქალისა და ჩადრახდილი გლეხი ქალის გამოსახულებით. ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს. დარბაზის კედლებზე გაკრულია ლოზუნგები: „ძირს ჩადრი“, „გაუმარჯოს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას საბჭოთა სკოლაში!“ „გავაძლიეროთ შეტევა აღმოსავლეთის მშრომელი ქალის ძველი ყოფაცხოვრების წინააღმდეგ!“

თეატრის დარბაზი იშვიათი სანახაობაა, პარტერი აჭრელებულია ფერად-ფერადი თავსაფრებით. ზოგ დელეგატ ქალს თან წამოუყვანია ძუძუთა ბავშვები, რომელთა ტირილი და ღუღუნი დარბაზს თავისებურ ელფერს აძლევს. დარბაზში ტევა არ არის. თუმცა ყოველ მსურველს როდი ხვდა ბედნიერება, თეატრში მოხვედრილიყო.

ყრილობა გახსნა და საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სახელით დელეგატებს მიესალმა ფილიპე მახარაძე. გამოჩენილმა მოღვაწემ ხაზგასმით აღნიშნა ის უდიდესი გარდატეხა, რაც საბჭოთა ეპოქაში მოხდა ქალის ცხოვრებაში. ქალები თვითონვე დარწმუნდნენ ძველი ადათ-წესებისა და ჩვეულებების მვენობაში, — ამბობს იგი, — ეს კი ვააადვილებს ძველი გადმონათობის წინააღმდეგ ბრძოლას; ამ ყრილობამ ზღვარი უნდა დადოს მაჰმადიანი ქალების მონობას. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, — დასძინა მან, — თქვენს წინაშე კიდევ დიდი დაბრკოლებაა, რომელთა

<sup>1</sup> სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 3158, ფ. 139.



გადალახვით გზას გავიკაფავთ სოციალიზ-  
მისაკენ.

ფ. მახარაძის შესავალი სიტყვის შე-  
მდეგ ყრილობამ დაამტკიცა დღის წეს-  
რიგო: საერთაშორისო მდგომარეობა, სა-  
ქართველოს მუშა და გლეხ ქალთა მდგო-  
მარეობა, ყოფაცხოვრების საკითხები და  
ბრძოლა მავნე ზნე-ჩვეულებებისა და  
ადათების წინააღმდეგ, საბჭოები და ქა-  
ლთა მონაწილეობა არჩევნებში.

ქალთა ყრილობას მიესალმნენ: რკ (ბ)  
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სა-  
ხელით — შვევრდოვა, აზოზბაიჯანის ქა-  
ლთა სახელით — ვაშიმ-ზადე, თბილისის  
მუშა ქალების სახელით — ბლუაშვილი,  
სომხეთის მუშა ქალების სახელით —  
საქარიანი, ქუთაისის მუშა ქალების სახე-  
ლით—ცაგარელი, ბათუმის მზრის ქალ-  
თა სახელით—ბეჟანიძე, ექიმთა სახელით  
— ვ. მაქაჯარია, მასწავლებელთა სახე-  
ლით — ქუთათელაძე, გურიის ქალთა  
სახელით—სალუქვაძე, აგრეთვე საქართ-  
ველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კო-  
მიტეტის, კომკავშირის საოლქო კომიტე-  
ტისა და აჭარის მთავრობის წარმომადგე-  
ნლები.

პირველი სხდომის დასასრულს რამდე-  
ნიმე აჭარელმა ქალმა სცენაზევე აიხდა  
ჩადრი, რომელსაც იქვე გადაასხეს ნავთი  
და წაუციდეს ცეცხლი. ჩადრის დაწვას  
მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით შეე-  
გება დარბაზი.

9 თებერვალს, დღის სხდომაზე, რო-  
მელსაც ვარო ჯაფარიძე თავმჯდომარეო-  
ბდა, საერთაშორისო მდგომარეობის შე-  
სახებ მოხსენება წაიკითხა ფილიპე მა-  
ხარაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში  
ორატორები ლაპარაკობდნენ ქალთა შო-  
რის მუშაობის სირთულეზე, იმაზე, რომ  
ჩადრახდელ ქალებს დასცინიან არა მარ-  
ტო ისლამის ტყვეობაში მყოფი მამაკა-  
ცები, არამედ ზოგიერთი ჩამორ-  
ჩენილი ქალიც. მათვე დააყენეს ბევრი  
საპირბოროტო საკითხი. დელეგატების  
ერთ ნაწილს აინტერესებდა გავგო ჩად-  
რის ახდა ნებაყოფლობით მოხდებოდა  
თუ ძალდატანებით. ფილიპე მახარაძემ

განმარტა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ  
ვერ შეუტრიგდება ჩადრს, ისევე როგორც  
ცეცხლი და ყინული ერთად ვერ მოთავ-  
სდება, მაგრამ ჩადრი მოისპობა არა ძალ-  
დატანებით, არამედ სწავლა-განათლებისა  
და აღზრდის კვალობაზე. ჩადრზე თვით-  
ონ ხალხმა უნდა განაცხადოს უარი.

დარბაზიდან გაისმის ქალის ხმა: „ჩა-  
დრი ჩვენ არ გვინდა, არ გვეშენის, უშ-  
ნა, სიარულსა გვიშლის. მავრამ გვე-  
შინია და გვაცხენინა. გვეშინია ხალხის.  
ჩვენი ხალხი ნასწავლი არ არის, ჩადრის  
ახდა ქალაქში ადვილია, სოფელში კი  
ძნელია“. ან კიდევ — „ჩადრს კი ვიხდით,  
მაგრამ კოპუერატივებში არაფერია ჩასა-  
ცმელი, გამოგზავნეთ კოსტუმები და ჩა-  
ვიცვათ“.

დელეგატთა კითხვებზე ამომწურავი  
პასუხი გასცა ფ. მახარაძემ თავის საბო-  
ლო სიტყვაში.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ვარო  
ჯაფარიძის მოხსენება მუშა და გლეხ ქა-  
ლთა მდგომარეობის შესახებ საქართვე-  
ლოში. მან ილაპარაკა ქალთა როლის შე-  
სახებ მრეწველობის, სოფლის მეურნე-  
ობის, კულტურის განვითარებაში. მომ-  
ხსენებელმა აღნიშნა, რომ 1927 წელს  
საქართველოს მრეწველობაში მუშაობდა  
3384 ქალი, 1928 წელს — 6089. საერთოდ  
კი წარმოებაში დასაქმებულია 36.400  
ქალი, მათგან 17 ათასი ქართველი,  
4.900 სომეხი, 9.600 რუსი, 163 მაკმადიან-  
ი და ა. შ. წარმოებაში ჯერ კიდევ სუს-  
ტად მონაწილეობდნენ ებრაელი ქალები  
და მაკმადიანი ქალები აჭარიდან. აფხა-  
ზეთიდან. მანვე დაასახელა ქალის წარ-  
მოებაში ჩაბმის ხელშემშლელი პირობე-  
ბი: კვალიფიკაციის უქონლობა, გაუნათ-  
ლებლობა, ძველი ყოფაცხოვრების ვად-  
მონაშთები. ამავე მიზეზების გამო აჭარა-  
ში ქალი სუსტად მონაწილეობდა საბჭო-  
ების არჩევნებში. საკმარისია აღინიშ-  
ნოს, რომ მთლიანად საქართველოში  
1928 წლის არჩევნებში მონაწილეობდა  
ამომრჩეველ ქალთა 37 პროცენტი, აჭა-  
რაში კი მხოლოდ 13 პროცენტი.

განსაკუთრებით ჩამორჩებოდა წერა-  
კითხვის სწავლება ქალთა შორის. საქარ-



თველოში წერა-კითხვის მტოდნობით პირველი ადგილი ეჭირა გურუის ქალებს (47,6 პროცენტი), მეორე — რაჭას (47,5 პროცენტი), მესამე — თელავს (37,1 პროცენტი). ახალციხის მაზრაში ქალების 7 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, აჭარაში კი მხოლოდ 3,9 პროცენტმა.<sup>1</sup>

საღამოს სხდომაზე სცენაზე ავიდა ქობულეთის რაიონის აღამბრის მცხოვრები 55 წლის ქალი სემე მოწყობილი. „ძირს ჩადრი, დაწვით იგი!“ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მან ძირს დაავდო ჩადრი. მის მაგალითს მიბაძეს ფადიმე ქავთარაძემ (ჩაქვი), ისხან ნაკაშიძემ (მერი-სი), კიმეთ თურმანიძემ (ქელა).

სცენაზე ავიდა აჭარელ ქალთა ერთი ჯგუფი: ფატუნია ბერიძე, ზულფიე ქამადაძე, ლუქია ბოლქვაძე, გულმა შანიძე, ფატყუმე ქათამაძე, სედრეთ ხოზრევანიძე, სემე შანიძე, აიშე მგელაძე, ნეფთე ვაბაძე, ზეჟია ირემაძე და სხვები, რომლებმაც ერთი ხელის მოსმით აიხადეს ჩადრი. სცენაზე ენთო დიდი კოცონი, რომლის აღში ჩადრთან ერთად იწვოდა ქალების ბნელი წარსული.

ქალების მწარე ხვედრზე ლაპარაკობდნენ და განთავისუფლებას შეხაროდნენ თავიანთ გამოსვლებში აიშე მახარაძე, მერიმე ოქროპირიძე, ნუნუშ ბერიძე.

10 თებერვალს ლენინის მოედანზე ყრილობის დელეგატთა პატივსაცემად მოეწყო მშრომელთა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ფილიპე მახარაძემ. ორატორი ორატორს სცვლიდა. ქალები ზედღივდ იხდიდნენ ჩადრს. მოედანზე დიდი კოცონი ენთო, დარდივით შავ ჩადრს წითელი ალი ნთქავდა.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოისმინეს ი. ვარძიელის მოხსენება, ხოლო დასასრულ, სამანდატო კომისიის მოხსენება (მომხსენებელი ალვასი თალაკვაძე). საგულისხმოა, რომ ყრილობას დაესწრო 447 ქალი, მათგან 388 დელეგატი ქალი აჭარიდან, 49 მუსლიმანი ქალი თბილისი-

დან და 10 აფხაზი ქალი. მათ შორის მცირე რემცოდნე 78, წერა-კითხვის უტოდინარი 369. ბათუმში ჩადრახდილი ჩამოვიდა 252 ქალი, ჩადრით 52. ბათუმიდან კი ყველანი ჩადრახდილნი დაბრუნდნენ შინ.

ყრილობამ მიიღო დადგენილება ჩადრის ახდის თაობაზე და დიდი როლი შეასრულა საქართველოს მაჰმადიან ქალთა ცხოვრებაში. ამ ყრილობის გამო ფილიპე მახარაძე წერდა: „აქედან იშლება ახალი ფურცელი მათ (მაჰმადიან ქალთა — მ. გ.) ისტორიაში, უკან რჩება დამონება, შეურაცხყოფა, დამცირება, ტანჯვა, წამება, წინ იშლება თავისუფალი ადამიანური ცხოვრება მუშათა საზოგადოებრივ ასპარეზზე, შემოქმედებითი მუშაობა სოციალიზმის მშენებლობაში“.<sup>2</sup>

ყრილობის დამთავრებისთანავე, 11 თებერვალს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება (№ 17) ჩადრახდილ მაჰმადიან ქალთათვის შრომითი დახმარების აღმოჩენის თაობაზე და დაავალა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, გაეღლიერებინათ ბრძოლა ქალთა უმუშევრობის წინააღმდეგ, სამუშაოზე მოეწყო პირველ რიგში ჩადრახდილი მაჰმადიანი ქალები, შეექმნათ მოსამზადებელი და გადამამზადებელი კურსები და ძირეულად გაეუმჯობესებინათ ჩადრახდილი ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.<sup>3</sup>

ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ქალები, გაძლიერდა ბრძოლა ჩადრის ახდისათვის, მაგრამ წარმატებით თავბრუდახვეულმა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა უხეშად დაარღვია პარტიის მითითებანი, მიმართა ძალდატანებას, აღშინსტრირებას, დაუშვა შეცდომები და კა-

2 გაზ. „კომუნისტი“, 1929 წელი, 14 თებერვალი.

3 მუშა ქალის შრომა და ყოფაცხოვრება (დირექტივების კრებული), თბილისი, 1929 წ., გვ. 100-101.

1 სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, 1929, გვ. 55.

რგად დაწყებული საქმე სასურველი შედეგებით როდი დამთავრდა.

შეცდომები მოხერხებულად გამოიყენეს კონტრევოლუციურმა ძალებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მტრების — ალა-ბეგებისა და ხოჯა-მოლების ინტერესებს გამოხატავდნენ.

აჭარის პარტიული ორგანიზაციის მანდელმა ხელმძღვანელობამ დაამახინჯა კლასობრივი პოლიტიკა, ვერ გაითვალისწინა მოსახლეობის ჩამორჩენილობა, შეგნებულობის დონე, სარწმუნოებრივი ფანატიზმი, კლასობრივი ძალები და 1929 წლის მარტში ამ შეცდომებმა ხულოში მღელვარება გამოიწვია.

ამის თაობაზე ი. ბ. სტალინი მამია ორანელაშვილს დებეზით წერდა: „როგორც ჩანს, თქვენ შეცდომა დაუშვიეთ; ჩადრის ახლისას ძალადობა გამოგიჩენიათ ან, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობა ძლიერ შეგივიწროებიათ. ასეთი პოლიტიკა არ არის ჩვენი პოლიტიკა. იგი არსებითად მცდარია. წინადადებას გაძლევთ ჯარი არ გამოიყენოთ. არავითარ სროლასა და და-

ხვერტას არ მიმართოთ. მოელაპარაკეთეგრეთწოდებულ აჯანყებულებს და განუმარტეთ მათ, რომ მომავალში რელიგიის წინააღმდეგ და, კერძოდ, ჩადრის ახლისას არავითარი ძალდატანება არ იქნება.“<sup>1</sup>

პარტიამ და მთავრობამ ამ ღირექტივის საფუძველზე დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები მღელვარების მშვიდობიანი გზით აღსაკვეთად და ხალხის მხარდაჭერით მდგომარეობა უმაღლესე გამოსწორდა. 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო გაშლილი შეტევა სოციალიზმის მთელ ფრონტზე. ამ შეტევაში აქტიურად ჩაებნენ აჭარის ქალებიც, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს აჭარის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებაში, სოციალიზმის მშენებლობაში.

1 სკკბ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, აღწ. 1, ნაწ. 4, საქმე 3137, გვ. 34.



## აჭარა საზღვარგარეთულ პრესაში

წ ა რ ს უ ლ ი ს    ო ჟ რ ც ლ უ მ ი

აჭარას უცხოელი მოგზაურები და დესპანები განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობიან მეოხუთმეტე საუკუნიდან. ამ საუკუნის სამოცდაათიან წლებში მას სწვევია ყვარყვარე ათაბაგის ოჯახში აღზრდილი, შემდგომში გამოჩენილი იტალიელი მოგზაური ამბროსი კონტარინი და ბევრი სინტერესო ცნობა დაუტოვებია. მესხეთში ხშირად ჩამოდიოდნენ იტალიელი დესპანები იოსაფა ბარბარო და ჯიოვანი მარია ანკიოლელო. მათ აუწერიათ სპარსი უზუნ ჰასანის საქართველოში დიდი ლაშქრით შემოჭრა. ბარბაროს დაწვრილებით გაუშუქებია უზუნის სამცხეში გამოლაშქრება და მისი დარბევა.

საზღვარგარეთის ინტენსიური ყურადღება აჭარამ მაინც ოსმალთა შემოსევებთან დაკავშირებით მიიპყრო. ეს პერიოდი ემთხვევა პრესის განვითარების ეპოქას.

1453 წელს ოსმალებმა დაიკავეს კონსტანტინოპოლი, ხოლო 1462 წელს ტრაპიზონის ძველი ქართული ოლქიც, თუ აქამდე საქართველოს სპარსეთი ემუქრებოდა, ამიერიდან ოსმალ დამპყრობთა იმპერიაც დიდ საფრთხედ გადაექცა. ახალი მტრისაგან უმალვე პირველი სასტიკი დარტყმები იწვნია მესხეთმა. მწარე და მიუტევებელი იყო შინაშლილობის შედეგი. მტერთა სიმრავლის გარდა ქართველთა მარცხს იწვევდა შინაური ლაღატი და მოსყიდვა. უკანასკნელი ძლიერი ათაბაგი — მანუჩარი მოწამლა მკვიდრმა ბიძამ ბექა მესამემ, რომელმაც მუსლი-

მანობა მიიღო და საღვარის სახელით ახალციხის ფაშად დაჯდა.

სამხრეთ საქართველოს დამპყრობასა და მოსახლეობის ძალდატანებით გამუსლიმანებას ძლიერ დაუმიმებია ქართველ მეფე-მთავართა და მოწინავე საზოგადოებრიობის მდგომარეობა.

ამ ძნელბედობის პერიოდში მწერალი პიეტრო დელა ვალე იყო პირველი, რომელიც კონსტანტინეპოლ-ბათუმის გზით საქართველოში ჩამოვიდა, შეისწავლა ის და 1627 წელს ვრცელი ეპისტოლე გაუგზავნა პაპს რომში.

ეს ეპისტოლე ფართოდ გავრცელებულა ევროპაში და ჩაურთავთ 1691 წელს პარიზში დაბეჭდილ შრომაშიც „სხვადასხვა სინტერესო მოგზაურობათა აღწერა“, რომლის ავტორია მეღქი-სედეკ თევონოტი. მრავალმხრივ სინტერესო აღმოჩნდა ეს საბუთი, რომელსაც შეუძრავს კათოლიკური ეკლესია. ავტორი პაპს აცნობს საქართველოს გეოგრაფიას, ხალხს, სამთავროებს, რელიგიას, ენას.

დელა ვალეს ეპისტოლე მოთხრობაა თეიმურაზ მეფის, მისი შვილების, ქეთევან წამებულისა და ლუარსაბ მეფის ხედრის, მესხეთის სამთავროს გაქრობის და საქართველოს მძიმე ვითარების შესახებ. ამ ხალხმა, ავტორის სიტყვით, რომელსაც არ ჰქონდა არაერთი არტილერია, მცირედ ხმარობდა თოფს, ან თითქმის არ ხმარობდა, დიეცვა ერი, რწმენა და თვითმმართველობა სპარსთა და თურქთა უზარმაზარ იმპერიებთან ხანგრძლივ ბრძოლაში, როცა „არსით-



გან, არავითარ შემწეობას არ ელოდნენ“.  
„მე მგონია, — სწერდა ის პაპს, — ისინი (ქართველები — ვ. ვ.) არამც თუ ღირსნი არიან ქებისა, არამედ მთელი ეკლესია რამდენადმე დავალიანებულია მათგან...“

დელა ვალე პაპისაგან მოითხოვდა მიეღო ზომები საქართველოს კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებისათვის და უთითებდა მოძღვარი მამების საქართველოში ჩამოსვლის გზებსაც.

„პირველი და უფრო მოკლე არის კონსტანტინეპოლის გზა, — სწერდა ის, — რომლითაც ჩაისვლება საქართველოში 8 თუ 5 დღეში“. მეორე გზად მას მიაჩნდა გზა სპარსეთზე გავლით. აქ, მისი აზრით, ქეთევან დედოფლის ახლო პირები, წარჩინებული ქართველები და ალავერდის მიტროპოლიტის ნათესავები აღმოუჩენდნენ დახმარებას საქართველოში მიმავალ პატრებს. ხოლო მესამე და უკიდურეს გზად მას მიაჩნდა გზა პოლონეთზე გავლით, რომელიც დნებართი შავ ზღვაში, ხოლო შემდეგ საქართველოში შემოიყვანდა მგზავრებს.

„სხვა საშუალებებს და გზებს თქვენი უწმინდესობა მოიფიქრებს“, — სწერდა დელა ვალე.

ამ ეპისტოლეში, რომელიც რომის პაპს ურბან მერვეს გაეგზავნა, დიდი როლი შეასრულა. ამის შემდეგ ფართოდება ურთიერთობა რომსა და საქართველოს შორის.

საქართველო იძულებული იყო რომის კათოლიკური ეკლესიისათვის ეთხოვა შეეღო. ამას მოჰყვა რამდენიმე სწავლული მოძღვრის ჩამოსვლა-დამკვიდრება თბილისში და ქართველთა სამფარველო საქმიანობის გაჩაღება. მათ შეისწავლეს ქართული ენა, ისტორია და მრავალი ნარკვევი და მოხსენება წარუდგინეს კათოლიკური ეკლესიის პაპს რომში. თანაც თხოვდნენ ყურადღება მიექცია საქართველოსათვის, როგორც საქრისტიანო ქვეყნისათვის.

საქართველოს მდგომარეობა ევროპის საქრისტიანო სახელმწიფოებს ეცნობა. ამასთან ურბან მერვის ხარჯით, 1629

წელს რომში ქართული სტამბაც გაიხსნა. პატრებმა მთელ საქრისტიანო ევროპას გააცნეს საქართველო. „მათ მიერ შედგენილი ცნობები ქართველთა და საქართველოს შესახებ, — ამბობს ზ. კიკინაძე, — ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებშიც“. (ზ. კიკინაძე, საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვარ მოგზაურთა ცნობები, მეორე გამოცემა, გვ. 7). პატრების მიერ დაწერილებით შედგენილ მოხსენებებსა და წერილებში, „რითაც გაუვისათ ვატიკანის ბიბლიოთეკა“, ბევრი იყო აღწერილი მნიშვნელოვანი ცნობები უნდა იყოს აჭარის შესახებ. მითუმეტეს, რომ რომისადმი მიმართვის, საქართველოში პატრების ჩამოსვლისა და პაპის წინაშე მათი შუამდგომლობის მთავარი მიზეზი ძირითადად მაინც ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს მიტაცება-გამუსლიმანება იყო. შესაძლოა, რომ ქართული სტამბის ბაზაზე რომში გამოდიოდა ქართული გაზეთიც, ამ ქართული სტამბის დაარსებიდან ხომ მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიქმნა ვენეციის მსოფლიოში პირველი, ხელნაწერი გაზეთი. სიტყვა „გაზეთიც“ იმ ვენეციური ვერცხლის მონეტისაგან წარმოიშვა, რასაც ფასობდა ამ გაზეთის თითოეული ნომერი.

საქართველოს ცოტა გვიანდელი პერიოდის შესახებ საზღვარგარეთულ პუბლიკაციის ხელი შეუწყო რომაელ მოძღვარ მამათა ნარკვევების გავრცელებამ. მეჩვიდმეტე საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა შარდენმა, რომელიც თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილებების ათრთმეულიდან პირველი ტომი საქართველოს მიუძღვნა და პარიზში დაბეჭდა 1723 წელს. ბევრ მკვლევარს და მოგზაურს აღუძრა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში გამგზავრებამ 1713 წელს. ამ მხრივ საკმაოდ ბევრი გააქეთა საფრანგეთის კონსტანტინეპოლელმა ელჩმა პეისონელმაც, რომლის ელჩობა ერეკლეს მეფობის დასაწყის პერიოდს ემთხვევა. მას მოსწონებია ერეკლეს მმართველობა, უმოთა-



რესად მისი მამაცობისა და ქრისტიანობის დაცვისათვის ბრძოლის გამო, და ბევრი ცნობაც დაუბეჭდავს პარიზის გაზეთებში. ვ. ვაბაშვილის ნაშრომში „ვახუშტი ბაგრატიონი“ პეისონელი მოხსენებულია, როგორც მოგზაური. იქნებ ვაბაშვილს ეს იმანაც აფიქრებინა, რომ პეისონელი მოგზაურობდა კიდეც საქართველოსა და მეზობელ მხარეებში, იკვლევდა მათ და ბეჭდვდა მასალებს პრესაში. 1795 წელს საფრანგეთში აღმოსავლეთის შემსწავლელი სპეციალური სკოლა არსდებდა, მე-19 საუკუნეში კი იგი ორიენტალისტთა ცენტრი ჰდებოდა. მისი წარმომადგენლები მარი ბროსე და სხვები სწავლობენ საქართველოს შორეულ წარსულს, იკვლევენ ქართულ დამწერლობას და ენას. ანკეტილ დიუბერონი აქვეყნებს შრომას — „გამოკვლევანი სპარსეთის ძველი ენების შესახებ“, რომელშიც მიმოიხილავს ზენდების ენას, ადარებს მას ქართულს და ამტკიცებს, რომ ქართულ ენას აქვს კავშირი ზენდების ენასთან. ამ მოსაზრებას ეთანხმება ლორენცო ერვასიცი (ს. თურნავა, „რენე ლაფონი და საქართველო“, გვ. 8). ფრანგმა მკვლევარებმა მესხთა შესწავლაშიც წილი დაიდეს. ვივიანე სენ-მარტენი 1847 წელს აქვეყნებს შრომას კავკასიის პირენაიდული მოსახლეობის შესახებ. იგი ასკვნის, რომ მესხები უძველესი ქართველი ხალხია.

დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც 1828 წელს ინახულა მესხეთი და ახალციხე, განაცხადა — ადგილობრივი მოსახლეობა, აქაური ძირითადი ტომი ქართველი ტომია. იგი კვლავ დაუბრუნდებოდა მამა-პაპის სარწმუნოებას, რომ არ შიშობდეს, ოსმალნი ოდესმე კვლავ დაიბრუნებენ მხარეს და ისევ ძველებურად მკაცრად მოეპყრობიან („ივერია“, 1877, № 11).

სხვათა შორის უნდა ვთქვათ, რომ სენ-მარტენს დაუწერია მიმოხილვები სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენაციის შრომებზე სომხეთის ისტორიისა და სომხეთის გეოგრაფიის შესახებ. იგი მიუთითებს, რომ ამ გეოგრაფიით სომხებს

კლარჯეთი გადაუქუთებიათ გენსენ-მარტენი ამბობს აგრეთვე, რომ ამავე გეოგრაფიით საქართველოს ეკუთვნოდა არტანუჯი, შავშეთი, ჭავჭავეთი, სამცხე, აჭარა და სხვანი, რომელნიც შეადგენენ ქორთხის მხარეს და არა სომხეთისას (დ. ჩუბინიშვილი, გაზ. „ივერია“, 1877, № 15).

მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის წარსულისა და მისი ენის წარმოშობის საკითხებს ფრანგებთან ერთად ინგლისელებიც ინტენსიურად სწავლობდნენ.

კონსტაბლები გარდა თავიანთი უშუალო ამოცანებისა, მკვლევარის მისიასაც ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, ინგლისის კონსულს ჯიფორდს გამოუკვლევია ტრაპიზონის ოლქის ეკონომიური მნიშვნელობა. ინგლისელები მაშინაც აქტიურობდნენ, როდესაც ქართველი ტომების უძველესი ბინადრობის შესახებ სრული ცნობების შესაგროვებლად და ურარტუელებისა და ხეთების ვინაობის დადგენისათვის აუცილებელი გახდა მდინარე ეფრატისა და ტიგროსის სათავეებში ნაირის, ვანისა და ურარტუს სამეფოთა ისტორიის შესწავლა. ვანის წარწერების წაკითხვაში, — წერს ივ. ჭავჭავიშვილი, — განსაკუთრებული ღვაწლი, გიარსა და ლენორმანს გარდა, ინგლისელ მეცნიერს ა. ჰ. სეისს მიუძღვის, მან ასურული წყაროებისა და ვანის წარწერების ცნობებით ამ ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია და სარწმუნოება გამოიკვლია, ეცადა აგრეთვე ამ ენის გრამატიკა და ლექსიკონი შეედგინათ.

მესხეთით დაინტერესებული ინგლისელები ძლიერ ეტანებოდნენ ნივთიერ საბუთებსაც, 1882 წლის აპრილის დამდეგს ოლთისში მყოფმა ინგლისელმა ბორენმა ვინამ ფოტოგრაფი ეოზეფ ტერ ზაქარინს 5.000 მანეთი მისცა იმ ძვირფას საისტორიო-სამეზღვემო ნივთებში, რომლებიც მას ქურთისაგან 20 მანეთად შეუძენია (ნაპოენი სოფელ იშხანს, X საუკუნეში აგებულ უდიდეს ტაძართან ახლოს, ნანგრევთა შორის). საყურადღებოა, რომ ქურთს ეოზეფისათვის მიუყიდნია ორი ტომარა ნივთები, ინგლი-



სელს კი ამოურჩევია შედარებით უფრო ძვირფასი ნახელავები.

ასევე ინტენსიურად იკვლევდნენ მესხეთს მე-18 საუკუნეშიც. მასინ საქართველოს და მის მხარეთა შორის აჭარის უცხოური პუბლიკაცია ხშირად დაკავშირებული იყო ერეკლე მეფის მოღვაწეობასთან. 1782 წელს ერეკლეს ერთ-ერთი პატრის ხელით რომის იმპერატორ იოსებ მეორისათვის გაუგზავნია პატრი ანტონის მიერ ფრანგულად შედგენილი შემდეგი შინაარსის წერილი.

„ოსმალებმა ნახევარი საქართველო დაიპყრეს და ქრისტიანები გაათათრეს, რასაც დაამტკიცებენ თვით თქვენი მოძღვარი მამები, რომელთაგან ერთ-ერთი თქვენი უმაღლესობის წინაშე წარსდგება. თუ დახმარებას მოგვეცემთ, ოსმალებზე გავიმარჯვებთ და მზად ვართ რომის ეკლესიასაც შევუერთდეთ“.

ზღვით ნამგზავრი პატრი სტამბოლში აედ განხდარა და გარდაცვილია. შეწუხებულ ერეკლეს იმავე წლის 18 დეკემბერს პატრი მავრი გაუგზავნია. მისი წერილების პასუხები კი რომიდან პოლიქარბო მანთოელს ჩამოუტანია, დაუკლია საქართველო, ოსმალთაგან დაპყრობილი ადგილები (ცხადია, აჭარაც, — შ. ვ.) და ხალხი და ეკლესიები აღუწერია, რაც რომში დაუბეჭდავთ. ერთ-ერთი პატრი ვასილიო მანთოელი, მესხეთის შესასწავლად რომ ჩამოსულა, ახალციხეში დასახლებულა და მოუვლია მთელი სამცხე-საათაბაგო. რომში გაუგზავნია ეკლესიების აღწერილობანი და ნარკვევი მესხთა გამუსლიმანებაზე. შემდეგ რომში გამგზავრებისას, თან წაუღია მრავალი ცნობა.

მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს დროსაც მესხეთში უმოგზაურია ვინმე გ. მ-დეს და 1743 წლით დათარიღებული შთაბეჭდილებანი დაუბეჭდავს პარიზის გაზეთებში. ავტორს ამ წერილების ერთი ეგზემპლარი მიუერთმევია ვიღაც ინგლისელი სათავის, რომელიც სპარსეთში ვაჭრობდა. ამ დაინტერესებულ ინგლისელსაც დაუწერია საქართველოსა და სპარსეთზე. გ. მ-დე წერს, რომ ერეკლე

მეფის ამბები ვაქეკვადიდე და პარიზის გაზეთებში დადებულდო.

აჭარის შესახებ ძალიან ბევრი მასალა გვხვდება მესხეთისა და გურიის წარსულის ამსახველ სიგელ-საბუთებშიც. ფრანგი ისტორიკოსი შ. ლემერსიე-კელკეი 1964 და 1966 წლებში მუშაობდა თურქეთის ბაშ-ვექალეთის (მთავარი სა-მინისტრო, თანამედროვე გაგებით მინისტრთა საბჭო, — შ. ვ.) არქივსაცავში და ფრანგული ყურნალის „კაიე დიუ მონდრიუსე ეტ სოვიეტიკის“ 1967 წლის მეორე ნომერში გამოაქვეყნა ინფორმაცია „გამოუქვეყნებელი წყარო მე-16 საუკუნის რუსეთის ისტორიისათვის“. ლემერსიე მოგვითხრობს, რომ ბაშ-ვექალეთის არქივსაცავში წააწყდა დიდალ მასალებს „მიუჰიმ დევთერლერის რეესტრილერის“ (მნიშვნელოვან საქმეთა აღწერის რეგულები — შ. ვ.) სახელწოდებით. „რეესტრები“ მოიცავენ 262 ტომს, რომელთაგან ლემერსიე-კელკეის 80 ტომი გადაუთვალაიერებია და ამბობს:

„მიუჰიმ დევთერლერის“ მასალები მოიცავს ინფორმაციებს ამიერკავკასიის, საქართველოს, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის სახელმწიფოთა და სამთავროთა შესახებ, მე-16 საუკუნეში ბრწყინვალე პორტას (კონსტანტინეპოლის — შ. ვ.) ჯარების შემოსევაზე ამიერკავკასიაში, თურქეთის სულთნების ბრძოლაზე მასინდელი ირანის უძლიერეს შაჰთა დინასტიებთან კავკასიის დაუფლებისათვის“ (ყურნალი „სოვეტსკი არხივი“, 1969, № 1, გვ. 74). ცხადია ამ ტომებშიც ბევრი ცნობაა აჭარაზე.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროსაც ბევრი მასალა იბეჭდებოდა აჭარის შესახებ საზღვარგარეთულ პრესაში. კიდევ უფრო მეტი ქვეყნდებოდა ორმოცდაათიანი წლებიდან. ამ პერიოდში ბათუმი იყო მნიშვნელოვანი საზღვაო სტრატეგიული ობიექტი, რის გამოც იგი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის ბათუმის სამხედრო სტრატეგიული



და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ მასალა, აგრეთვე, ზოგიერთი გეოგრაფიული ცნობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ვრცლად მიაწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატების მაშინდელმა პროკრესულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ნიუ-იორკ დეილი ტრიბიუნმა“, ინგლისურმა გაზეთებმა „ტიმსმა“ და „ზიუდ-ფრიენმა“. ეს უკანასკნელი ახლანდელ კეიპტაუნში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საზღვაო სანავსადგურო ქალაქი) ინგლისურ და პოლონურ ენებზე იბეჭდებოდა და ევროპაში ვრცელდებოდა. მათ ხმას უერთებდა ფრანგული — „კონსტანტინოპლ“ და სხვა ჟურნალ-გაზეთები. 1853-1854 წლებში ამ გაზეთებისა და ჟურნალების ნომრებში არაერთი მეტად საყურადღებო მასალა გამოქვეყნდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წერილები, რომელთა ავტორები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მათ მიერ დაბეჭდილი სტატიებისა და ნარკვევების დიდი ნაწილი რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას, 1853-1856 წლების ომის მსვლელობას და კავკასიის ფრონტზე ომის ბედის გადაწყვეტაში ბათუმის სტრატეგიულ მნიშვნელობას შეეხებოდა. ეს წერილები და მიმოხილვები შემდეგ ითარგმნა რუსულ ენაზე და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა ტომებში შევიდა სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის სხვა გამოკვლევებთან ერთად.

ინგლისური გაზეთის „ზიუდ-ფრიენის“ რედაქციის ყურადღება მიიქცია რუსეთ-თურქეთის ომისადმი მიძღვნილმა კ. მარქსის წერილებმა, რომლებშიც აგრეთვე ვხვდებით საყურადღებო ცნობებს ბათუმზე. ნათესავის ი. კ. იუტას მეშვეობით კ. მარქსს, 1853 წლის დეკემბერში რედაქციამ გაზეთისათვის წერილები შეუტყვეთა და ორი ვრცელი ნარკვევი გამოუქვეყნა.

1853-1856 წლების ომი და მასში ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობა მთავარი თემა იყო „ნიუ-იორკ დეილი ტრიბიუნისა“. მეტად საინტერესოა ამ

გაზეთის 1853-1854 წლების ნომრებში დაბეჭდილი მარქსის სტატიები „თურქეთის საკითხი“, „სალვო ომი“, „აღმოსავლეთის ომი“ და ა. შ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი გულმოდგინედ ებედნენ და სტატიებს ამდებდნენ სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი ფაქტებითა და მაგალითებით. ამიტომაც ამ წერილებს დიდი ინტერესით კითხულობდა საზოგადოება. ფ. ენგელსს „ნიუ-იორკ დეილი ტრიბიუნის“ 1853 წლის 15 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „სალვო ომი“ მოტანილი აქვს ფრანგულ ჟურნალ „კონსტანტინოპლში“ გამოქვეყნებული ცნობები. წერილებსა და ნარკვევებში, რომელთა უმეტესობა ზემოთ დასახელებული გაზეთებისა და ჟურნალების მეთაურ წერილებად დაიბეჭდა, სიტყვა აპარა ნახსენები არ არის. მაგრამ მათი ავტორები ბათუმში გულისხმობდნენ ქალაქ ბათუმს და მთელ მის ოლქს. მათში ბათუმი განხილულია, როგორც დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის სანავსადგურო ქალაქი. ბათუმთან დაკავშირებული იყო არა მარტო ამ ომში წარმატების ბედი, არამედ რუსეთის სასიციოცხლო ინტერესებიც მომავალში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბათუმს ამ ომში სტრატეგიული თვალსაზრისით უფრო პირველხარისხოვნად თვლიდნენ, ვიდრე ყარსს, რომელსაც 1853 წელს ინგლისელ ოფიცერთა მეთაურობით თურქთა სავანგებო და კარგად შეიარაღებული გარნიზონი ჰყოლია.

„ბათუმი, — წერდა ენგელსი „ნიუ-იორკ დეილი ტრიბიუნის“ ერთ-ერთ ნომერში, — წარმოადგენს საომარი მოქმედების ასპარეზის ვასალებს მთელი აზიური თურქეთისათვისაც კი, რადგან ბატონობს სანაპიროდან ქვეყნის შიგნით მიმავალ ერთ-ერთ გზაზე, იმ გზაზე, რომლითაც შეიძლება შემოვლა თურქეთის ყველა პოლიტიკის არსებობის წინ და ორი ფლოტიდან ის დარჩება ბათუმის მფლობელი, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს უკან განდევნის საკუთარ სად-



ფურში“ (კ. მარტის, ფ. ცნგელსი, რი. თხზ. ტ. 9).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ბერლინის კონგრესს უნდა შეემუშაებინა საზღვაო პირობები და გადაეწყვიტა აჭარის ბედიც. ბერლინის ტრაქტატით აჭარა რუსეთს შეუერთდა. ამრიგად, აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა.

ნარცალი სახელმწიფოს ინტერესები ეჭახებოდა ერთმანეთს ბათუმში, რამაც აჭარა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მწვევე პრობლემათა სფეროში მოაქცია.

ამ პრობლემით დანიტერესებული იყვნენ მეფის რუსეთი, თურქეთი, სპარსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრო-უნგრეთი, იტალია, ბულგარეთი, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები.

როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარის ამბებმა ჯერ კიდევ ომის დასაწყისშივე უცხოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ფართო ყურადღება მიიქცია, ხოლო 1878 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე ბათუმისა და მისი ოლქის საკითხი საზღვარგარეთული პრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად იქცა.

ევროპული ქვეყნების გაზეთებსა და ჟურნალებში ბათუმის ოლქისა და ბერლინის კონგრესის შესახებ წერდნენ საინტერესო მითხრობილები, ისტორიკოსები, გეოგრაფები, ეთნოგრაფ-ორიენტალისტები, ეკონომისტები, დიპლომატიური მოხელეები. განსაკუთრებით ბევრი მასალა ქვეყნდებოდა ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, ბელგიის და გერმანიის გაზეთებში.

1878 წლის აპრილში ავსტრიის გაზეთმა „პოლიტიშე კორესპონდენცმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც მან ბათუმიდან მიიღო. „ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალების ხელშია, — მოუთხორობდა მკითხველს გაზეთი, — გენერალ ოკლობიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ყაზბეგს რამდენჯერმე ჰქონდა მოლაპარაკება დეკრიშ-ფაშასთან ამ ქალაქის (ბათუმის — შ. ვ.) დათმობაზე, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ და უნაყოფოდ. დეკრიშ-ფა-

შა სულ ერთსა და იმავეს ეუბნება: დეკრიშ-ფაშა და სიამოვნებით გაიყვან ციხისძირიდან და ბათუმიდან ჩემს ჯარს და დაერთობთ ამ ადგილებს, მაგრამ ძნელი ის არის, რომ სტამბოლიდან არავითარი ბრძახება არ მიძილია და მუდამდღე მოველი. რუსები დარწმუნებული არიან, — განაგრძობდა გაზეთი, — რომ ეს სულ დეკრიშ-ფაშის ოინია. თურქები 40 მილიონ მანეთს თხოვდნენ რუსეთს (ბათუმის ოლქის დათმობასი — შ. ვ.). რუსები ამბობენ: თუ ნებით არა, ძალით დაიჭერთ ციხისძირსა და ბათუმს“ (გაზ. „დროება“, 1878, 3 მაისი).

1878 წლის აპრილში ბევრ საყურადღებო წერილს აქვეყნებდა ბათუმის შესახებ ბელგიის გაზეთი „ინდერ ბელგე“. რედაქცია მასალებს იღებდა სან-სტეფანო-დან. ეს იყო პერიოდი, როცა სან-სტეფანოს საზღვაო ხელშეკრულება ფაქტიურად გაფორმებული იყო, მაგრამ არ სრულდებოდა. ინგლისი ცდილობდა შეენარჩუნებინა დაძაბულობა და ავსტრო-უნგრეთთან ერთად ესწრაფოდა კონგრესის მოწვევას საზავო პირობების გადასასინჯავად.

სტამბოლელი კორესპონდენტი სწერდა „ინდერ ბელგეს“: — ოსმან ფაშის ხელქვეით ამჟამად არიბ 110 ათასი კაცისაგან შემდგარი ჩინებულად შეიარაღებული კარგად გაწვრთნილი ჯარი ყველაფერში ეტყობა, რომ ოსმალეთი საომრად ემზადება. ამბობენ კი, გენერალ ტოტლებენს სულაც არა აქვს განზრახვა, რომ სტამბოლი რუსმა ჯარმა დაიკავოს. გაზეთი მკითხველს ატყობინებდა, რომ გენერალ ტოტლებენის შეთაურობით დაიწყო მარმარილოს ზღვის გამაგრება როდოსტოლამ (როსტოვიდან — შ. ვ.) დაწყებული სან-სტეფანო-დის. — საზოგადოდ იმ გარემოებას, რომ აქური რუსის არმიის მთავარსარდლად გენერალი ტოტლებენი დაინიშნა, იმით ხსნიან, რომ ალბათ ომი აუცილებელიაო. ბრიუსელის გაზეთი შემდეგ კვლავ დანიტერესებულა ბათუმის პრობლემით და 26 ივნისის (ქვ. სტი-

ლით) ნომერში ბერლინის კონგრესის ერთი მომენტი გაუშუქებია. გაზეთი მიუთითებდა, რომ კონგრესს ბათუმის ცხებების დანგრევის თაობაზე კამათი არ ჰქონია და გადაუწყვეტია, რომ ამ საკითხზე ინგლისი და რუსეთი ცალკე მოლაპარაკებით უნდა მორიგდნენ.

ავსტრიის გაზეთს, კერძოდ, ვენის „ბრესეს“ იმავე წლის აპრილში სტამბოლიდან სწერდნენ იმის შესახებ, რომ ინგლისის სტამბოლელ ელჩთან ინგლისის ჯარში ყოველდღე ეწერებოდნენ მოხალისენი რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად. — ათასზე მეტია ახლა ჩაწერილი ინგლისის ჯარში, — ნათქვამი იყო წერილში, — ლეიარდი ყველას ღებულობს და წინასწარვე 20 მანეთსა და იარაღს აძლევს.

აჭარის ცხოვრებით დაინტერესდა საფრანგეთის პრესაც. ის 1882 წლის იანვარ-თებერვალში აშუქებდა ოსმალეთში აჭარლების გადასახლების ამბებს. იმავე წლის ზაფხულში ჟურნალი „სტამბული“ თავის ფურცლებზე ათავსებდა მასალებს ქ. ბათუმში ცუდი საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების, ქუჩების მოუვლელობის შესახებ.

ფრანგულ გაზეთებში იწერებოდა ოსმალეთში გადასახლებულთა მძიმე ხვედრზე. ეთნოგრაფსა და ორიენტალისტს ჟან შურეის დიდმა ინტერესმა შთააღონა ხანგრძლივად ემოგზაურა აჭარაში (1879-1885 წ. წ.) და დიდი შრომაც გაეწია ბათუმის ოლქის მოსახლეობის ეთნო-ისტორიული გამოკვლევისათვის. მისი ნაშრომი „ჟოროხი და მისი აუზი“ დაიბეჭდა პარიზის ჟურნალ „გეოგრაფიულ მიმოხილველში“ 1886 წელს, ხოლო 1887 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პარიზში.

✓ ფრანგული გაზეთები არა მარტო ქალაქ ბათუმის ყოფა-ცხოვრებითა და ოლქის ეთნოგრაფიით ინტერესდებოდნენ, არამედ ოლქის პოლიტიკური ბედითაც. მარსელის გაზეთმა „ლა გაზეტა დუ მიდი“ (სამხრეთის გაზეთი) 1881 წლის დეკემბერში დაბეჭდა სტატია სა-

თაურით „ბათუმის ნავსადგური და მისი მნიშვნელობა საფრანგეთთან კავშირის დამყარებისათვის“. ბათუმის გეოგრაფიასთან ერთად მკითხველს ავტორი მოუთხოვრებდა მარსელის მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმით ვაჭრობის იმ პერსპექტივებზე, რომელსაც გზა გაუხსნა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ.

თი რას ჰპირდებოდა პორტო-ფრანკო მარსელს:

„1. სორბლის გამოტანა ყარსის მხრიდან, რომელიც ერთობ ნაყოფიერი ქვეყანაა და სადაც ამ ნაწარმობის ფასი უმცირესია ოდესისაზე.

2. ექსპლოატაცია ქვა-გუნდისა (მარგანცისა), რომელიც დიდი ხანი არ არის აღმოჩნდა ჟოროხის მახლობლად. მდინარე ჟოროხი ერთვის ბათუმის მახლობლად შვე ზღვას და საკმაო იქნება უბრალო გზატკეცილის გაკეთება მადნეულის მღებარე ადგილების ჟოროხთან შეერთებისათვის.

3. სხვა ნაწარმოებები იმავე ქვეყნებისა, სახელდობრ: მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ნივთის ხე და სხვა.

4. ნავთი, რომლის ფრიად უხვი წყაროები აღმოჩენილია ბაქოს და მის მახლობლად და რომლის ფასი ისე მცირეა, რომ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ამერიკის ნავთს ხმელთაშუა ზღვის მახლობელ ქვეყნებში მიანიც.

5. ტრანზიტის სპარსეთში შეტანილის და იქითგან გამოტანილის ნაწარმოებებისა კასპიის ზღვით და რკინის გზით ბაქოდან ბათუმამდე და ბათუმოდან ზღვის გემებით მარსელამდინ“ (გაზ. „დროება“, 1881. № 273).

გაზეთი ამავე დროს პირობას აძლევდა მარსელის სავაჭრო კომპანიებს, რომ ბათუმის ნავსადგური მარსელისათვის იქნებოდა არა მარტო საიმპორტო, არამედ სავაჭრო ბაზაც.

ასეც მოხდა. ბათუმი გაივსო უცხოური ნაწარმით... რა მოუტანა ისედაც ვაჭირებულ ადგილობრივ მოსახლეობას ბათუმის პორტო-ფრანკომ? მხოლოდ



სილატაკე, გაპირება და გაჩანავება.

ბათუმის პორტო-ფრანკო იყო აჭარის გლეხობის აყრისა და ოსმალეთს გადასახლებების ერთ-ერთი მიზეზი.

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთები აქტიურობდნენ ბერლინის კონგრესის გაშუქებაში. მათი ბევრი მასალა შეეხებოდა უშუალოდ ბათუმის საკითხს. აქტიურობდნენ გერმანული გაზეთები „ნაციონალ ცაიტუნგ“, „კელნიშე ცაიტუნგ“, ვენის „პოლიტიშე კორესპონდენც“, „პრესე“, პარიზის „მონიტორ უნივერსელ“, „კონსტიტუციონალ“, „ტემპს“, „ჟურნალ დეს დებატს“, რომის „დირიტო“ და სხვები. ჟურნალ-გაზეთები აშუქებდნენ კონგრესის სხდომათა მიმდინარეობას, ცალკეული ქვეყნების რწმუნებულთა გამოსვლებს, აქვთებდნენ დასკვნებს, პროგნოზებს. მაგრამ კონგრესის დეტალებს სხვადასხვა ქვეყნების პრესა სხვადასხვა პოზიციებიდან აშუქებდა.

ინგლისის ცენტრალური გაზეთი „ტაიმსი“ კონგრესის გადაწყვეტილებებს ასახავდა ინგლისის ბურჟუაზიის პოზიციებიდან, იმის მიხედვით, თუ პრობლემის გადაწყვეტა რამდენად ემთხვეოდა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს.

ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები ადრევე ხედავდნენ, რომ ბათუმის საქმეებში ჩარევისა და უცხოეთის ინტერვენციის საბაბს ბათუმის ოლქის აწეწილ-დაწეწილი პოლიტიკური ვითარება ქმნიდა. ხოლო მისი შესვლა მეფის რუსეთის მფარველობაში დაასტაბილურებდა ოლქის პოლიტიკურ ვითარებას, ნაწილობრივ შეცვლიდა სოციალურ პირობებსაც, აღკვეთდა ოლქის საქმეებში უცხოელთა ჩარევას. ამიტომ მათი მიმართულება ნაკარნახევი იყო კოლონიური პოლიტიკით. ინგლისის პრესა ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში ღრმად შეიჭრა კავკასიის ფრონტის ხაზზე, სადაც კორესპონდენტებად სამხედრო სპეციალისტებს გზავნიდნენ. გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ ჯარების ტაქტიკურ მოქმედებას, აფასებდნენ მათს ბრძო-

ლისუნარიანობას. ამ მხრივ საკმაოდ აქტიური როლი შესრულა გაზეთ „დეიო ტელეგრაფის“ რედაქციამ, აგრეთვე „ტაიმსის“ საკუთარმა კორესპონდენტმა, ოფიცერმა — ჟურნალისტმა ს. ბ. ნორმანმა. ინგლისის გაზეთები არანაკლებ აქტიურობდნენ ბერლინის კონგრესის გაშუქებაშიც. „ტაიმსი“ ერთხანს აღიარებდა, რომ ბერლინის კონგრესმა ვერ მიადგინა იმ მიზანს, რისთვისაც შეიკრიბა. შემდეგ კი გულმოდგინედ ცდილობდა დაერწმუნებია მკითხველი, რომ ბერლინის ტრაქტატის პირობების მოქმედებაში მოყვანა მიმდინარეობს სრულიად მშვიდობიანად და აღმოსავლეთში მომხდარი ამბები (მხედველობაში ჰქონდა რუსეთ-თურქეთს შორის სადავო ტერიტორიული საკითხი — შ. ვ.) არ ამართლებს **პესიმისტა** წინასწარ გამოთქმებულ (ხაზგასმა ჩემია — შ. ვ.).

კონგრესის მუშაობის არარეალური მიმოხილვისა და ცვალებადი პოზიციების გამო „ტაიმსის“ გამოსვლები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსულმა გაზეთმა „გოლოსმა“.

„ინგლისის მთავრობა, — ნათქვამი იყო „გოლოსის“ 1878 წლის 254-ე ნომერში, — ცნობს თავის წარუმატებლობას და სერიოზულად შემოფოთებულია მისი შედეგებით. სხვათა შორის, ამით აიხსნება უხეში, მტრული გამობდომები რუსეთის წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ ჩვეულებრივი სიუხვით ჩნდება ამჟამად ლონდონის სამინისტროთა გაზეთებში...“

„გოლოსი“ სამართლიანად შენიშნავდა, რომ ინგლისის გაზეთების ამგვარი გამოსვლების მიზეზი იყო ინგლისის წარუმატებლობა და ბიკონფიდლის მარცხი, რომელიც კონგრესზე ბეჯითად ესწრაფოდა ბათუმი შეენარჩუნებინა თურქეთისათვის ან ინგლისელებს ჩაეგდოთ ხელში.

ვენის გაზეთმა „პრესემ“ 26 ივნისს დაბეჭდა კონსტანტინეპოლიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: ამ დღეებში ვარნას გაიგზავნება საიმპე-

როი კრედო (საიმპერიო რწმუნება — შ. ვ.), რომლითაც იქ მცხოვრებ ბულგარეთის მეფისნაცვალს ახმედ კაისერლი-ფაშას ეცნობება ამ ვილაეთის საბოლოო გაუქმების შესახებ. რაც შეეხება ბათუმის საკითხს, ნათქვამი იყო მასში, აქ ამბობენ, რომ ის კვლავ დარჩება თურქეთის ხელში. რუსები გზავნიან თავიანთ „მინოვოზცებს“ ეგეოსის ზღვაში, როსტოვში და სივრში.

რამდენიმე ხნით აღრე საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტო ლონდონიდან იტყობინებოდა „ტაიმსის“ 22 ივნისის ნომერში მისი ბერლინელი კორესპონდენტის ბლოვიცის გერმანიის კანცლერ ბისმარკთან საუბრის შესახებ.

„— მე მსურს მშვიდობა, — ამბობდა ბისმარკი, — და რამდენადაც შესაძლო იყო, ვითანამშრომლე მისი შენარჩუნებისათვის. ინგლისმა მიაღწია დიდ წარმატებებს ბულგარეთის საზღვრების შეცირებაში (საქმე იმაში იყო რომ სან-სტეფანოს წინასწარი საზავო ხელშეკრულებით უკმაყოფილო იყვნენ ავსტრო-უნგრეთი, ინგლისი და არაანკარად გერმანია. ბერლინის კონგრესის მოწვევაც ძირითადად ამით იყო განპირობებული, კონგრესის გადაწყვეტილებით მაკედონია, რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით ბულგარეთის შემადგენლობაში შედიოდა, თურქეთს დაუბრუნდა. ბულგარეთის ტერიტორია, რომელსაც ავტონომიის უფლება ჰქონდა მინიჭებული, სანახევროდ შემცირდა. ბალკანეთიდან სამხრეთამდე განლაგებული ოლქებიდან, რომლებიც ბულგარელებით იყო დასახლებული, შეიქმნა აღმოსავლეთი რუმელია. იგი ავტონომიის უფლებით სულთნის მმართველობაში დარჩა. ავსტრო-უნგრეთს მიეცა ოკუპაციის უფლება ბოსნიისა და ჰერცეგოვინისა, სადაც სლავური მოსახლეობაა. ჩერნიგორიის ტერიტორია კი სან-სტეფანოს საზავო პირობებთან შედარებით შემცირდა ორი მესამედით — შ. ვ.) მას შემდეგ, რაც ბულგარეთის საკითხი გადაწყდა. — განაგრძობდა ბისმარკი, — რწმი-

დობა უზრუნველყოფილია. ენციკლოპედია მცა შეუღლებელია რუსეთისაგან მოვიტხოვოთ ახალი დათმობა, რამდენადაც მის მშვიდობისმოყვარეობას შეიძლება ჰქონდეს საზღვარი. გერმანიამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო... საკითხი ბათუმის შესახებ წარმოადგენს სერიოზულ სიძნელეს...“ („გოლოსი“. 1875. № 13, 24 ივნისი).

რუსი ჟურნალისტებიც აღიარებდნენ იმას რომ კონგრესზე ბათუმი ყველაზე ძნელი პრობლემა იყო და მის თაობაზე ხანგრძლივი და ფიცხელი დავა გრძელდებოდა.

„— კონგრესი ბათუმის საკითხის გამო გუშინ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, — წერდა ბერლინიდან 23 ივნისის (ახ. სტილით 5 ივლისს) „ნოვოე ვრემიას“ საკუთარი კორესპონდენტი, — შეიმჩნევა, რომ კონგრესი დათანმდება რუსეთის სურვილებს. გერმანიამ პირველად გადაჭრით გამოთქვა თავისი მოსაზრება რუსეთის სასარგებლოდ. ბისმარკმა რწმუნებულთა ყურადღება მიექცია იმას, რომ რუსეთმა საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო და არ შეიძლება მას თავს მოეახვიოთ ახალი დათმობები“. საყურადღებოა კიდევ ერთი ვარაუთება: ბისმარკი ხედავდა, რომ ბიკონსფილდი უკან არ იხვედა და დაეინებოთ მოითხოვდა ბათუმის საკითხი ინგლისის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ამიტომ მან მანევრს მიმართა და ბლოვიცთან ინტერვიუში პირდაპირ თქვა, რომ „ინგლისს საშინელი ომის გადატანა მოუხდება თუ ბიკონსფილდი თავს არ დაანებებს პრეტენზიებს ბათუმზე“.

ცხადია, ბისმარკი სარგებლობდა ავტორიტეტით და იმითაც, რომ კონგრესი ბერლინში მიმდინარეობდა და მიაღწია დათმობებს თურქეთისაგან ავსტრო-უნგრეთის სასარგებლოდ. მაგრამ დაუთმო რუსეთს, რომ არ დაეშვა ინგლისის დამკვიდრება ბათუმის ოლქში.

თავის მხრივ ფხიზლად იდგა ბიკონსფილდიც. იგი იძულებული გახდა დროებით უკან დაეხია ამ საკითხში. ეს აი-



სახა გაზეთ „ტაიმსში“. გაზეთი არ უწინაღმდეგება ამ ნაბიჯს, მაგრამ შენიშნავს, რომ რუსეთმა იგი არასოდეს არ უნდა გადააქციოს ციხე-სიმაგრედ. ბათუმის საკითხის ამ პირობით გადაწყვეტას „ტაიმსი“ შემდგომშიც იცავდა.

საინტერესოა აგრეთვე გაზეთების „დეილი ნიუსის“ და „სტანდარდის“ საკუთარ კორესპონდენტთა საქმიანობა აქ, ჩვენთან, როცა პრაქტიკულად წყდებოდა საქართველოსთან აჭარის შეერთების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ 1878 წლის იენის-ივლისში „სტანდარდი“ და „დეილი ნიუსი“ აჭარაში წარმატებას ვერ აღწევდნენ, იმედს მაინც არ კარგავდნენ. მათი სპეციალური კორესპონდენტები შუეერი და დონოვანი ბათუმში ეწეოდნენ აქტიურ აგიტაციას და ცდილობდნენ შეეგროვებინათ ინგლისისადმი აჭარა-ლაზისტანის დაქვემდებარების მსურველთა ხელწერები. ამ მიზნით ისინი უახლოვდებოდნენ გავლენიან ბეგებსა და სხვა პირებს ქვემო და ზემო აჭარაში, ახალციხეში, რომ შეედგინათ აჭარის მოსახლეობის „მოთხოვნა“ ინგლისის „მფარველობაში“ შესვლის თაობაზე და გაეგზავნათ დედოფალ ვიქტორიასათვის. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ალი-ფაშა თავდგირიძის ძმას — ოსმან-ფაშას, რომელიც იმ დროს თურქეთის რეგულარული ჯარების მეთაური იყო ბათუმის მხარეში.

დონოვანი, რომელმაც რამდენიმე წერილი გაგზავნა ბათუმიდან, უკანასკნელად ბათუმში იყო ივლისის ბოლო

რიცხვებში და მისი უკანასკნელი სტატიები დაიბეჭდა „დეილი ნიუსში“. მასში გაშუქებული იყო ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა, მისი მდგომარეობა. ამასთან დასძენდა რომ ბათუმი ღირს მისი დაუფლებისათვის საბრძოლველად და მე არ მიკვირს, რომ რუსეთი ძლიერ აფასებს თავის შენაძენს (ბათუმს — შ. ვ.)

აქ მოტანილი მასალები ნათელყოფენ იმას, თუ როგორ აქტიურად იბრძოდნენ ინგლისის გაზეთები ბათუმის ოლქის ინგლისის მფარველობაში შესვლისათვის. მაგრამ ინგლისი ვერ ეწია საწაღელს.

ამრიგად, უცხოელები შორეულ წარსულშივე დაინტერესებული იყვნენ ბათუმით. აჭარის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ ისინი მრავალმხრივ სწავლობდნენ და იკვლევდნენ ამ მხარეს. მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში კი აჭარა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სფეროში ექცევა. იგი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში უცხოეთის ბურჟუაზიული პრესის აქტიუალური თემაა. ისინი აჭარის ხან თურქეთის ბატონობაში დატოვების, ხან კი ინგლისის „მფარველობაში“ შესვლის პოზიციებს იცავდნენ, ამასთან ფართო პროპაგანდას უწევდნენ ბათუმის პორტო-ფრანკოს, ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მოსახლეობაზე, ჩაეფუშათ აჭარის საქართველოსთან შეერთების საქმე. მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო. აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს.



# ნიგნეპის მიმოხილვა

## კატრიოტიზმით შთაბრუნებული

„რადგან პირველად, სულ პირველად,  
 თვალს რომ ვახეღდი,  
 მზეს აქ გავეცან და სამყაროს ეუთხარ სალამი,  
 გულს ჩამეხვია სამშობლოსი ხმა და სახელი  
 და მასზე ახლო არ ყოფილა ჩემთან არავინ.  
 ისაა მხოლოდ საყვარელი და მარად სანდო,  
 ჩემი სინათლე,  
 ჩემი გზა და მყუდრო კარავი,  
 სხვა სიახლოვე, მეგობარო,  
 რაც უნდა ვხატო,  
 მამულზე ახლოს  
 არ ყოფილა ჩემთან არავინ.“

ეს სტრიქონები თავისუფლად შეიძლება ეპიგრაფად წარვუმძღვა-  
 როთ ფრ. ხალვაშის ლექსათა კრებულს „ნუგეში“, რომელიც შარშან გა-  
 მოიცა. ამ წიგნის ლირიკული გმირი სამშობლოს საყვარულით გულაღტ-  
 ყინებული ქართველია, დარაჯად რომ უდგას თავის მიწა-წყალს.

შენით ცოცხალი შენად მიგულე.  
 შენთვის სიკვდილი?  
 ნუმც დამპირდება.  
 მხოლოდ სიცოცხლემ მზით მოგუგუნემ  
 აყვავილოს შენი დიდება.  
 („შენით ცოცხალი“)

ასე მიმართავს პოეტი მშობლიურ ქვეყნას და დიდების შარავანდე-  
 დით მოსავს მის აწმყოსა და მომავალს. თავისი ქვეყნის შო-  
 რეულ წარსულშიც ეძებს პოეტი მშობლიური კუთხის სიდიადეს. ეკლე-  
 სია-გალავნების ფრესკები, ამაყად მდგარი ციხეები, ჟამთა სიავით „გა-  
 მოკვარტლული“ სხალთის ტაძარი, რეასი წლის დან-  
 დალოს ხიდი, თამარის მიერ აშენებული, ნათელპყოფენ ქართველი ხალ-  
 ხის გმირულ სულისკვეთებას.

ფრანკონ ხალვაში, „ნუგეში“, გამომცემ ლობა „საბჭოთა აჭარა“, 1969 წ.

თვითელ ქვაზე წვეთი სისხლია,  
თვითელ ხეში — სული წინაპრის,  
ყვაილები კი სხივებს ისვრიან  
მათი თვალების ჩამქრალ სინათლით.

(„ენახავ“)

არ ასვენებდა ქართველ ხალხს მტერთა განუწყვეტელი შემოსევები. სპარსელები, არაბები, მონღოლები ცეცხლითა და მახვილით დევნიდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, მუსრს ავლებდნენ ქართულ კულტურას. განსაკუთრებით გამანადგურებელი რბევა-აწიოკება განიცადა ქართული კულტურის აკვანმა, აჭარამ. თურქი ასიმილატორები სამასი წლის განმავლობაში ჰკლავდნენ ამ მხარეში ქართულ ენას, მაგრამ საქართველოს ამ მარად მზიურმა კუთხემ გმირულად გადაიტანა ყოველგვარი განსაცდელი. შეინარჩუნა ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, ენა. და ეს პირველ ყოვლისა აჭარელი დედის ღირსება-დამსახურებაა.

მადლობა, დედა, რომ მაშულს  
გმირი უზარდვ ამდენი,  
ჰოროხი შენი ცრემლია,  
თვალთავან გამმონადენი,  
როგორც წაცარში დადარი,  
ინახე ენა მშობლური,  
გადაგვირჩინე სიმღერა,  
თვალი მოვისხით ორბული,  
გვიცავდა შენი ღიმილი,  
გვივლიდა შენი ალერსი.  
გულში თუ გედო ტკივილი,  
იმედი გენთო თვალებში.

(„აჭარელ დედას“)

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ არნახული ბედნიერება მოუტანა ქართველ ხალხს. ასრულდა დიდი ხნის ნანატრი, საუკუნეობრივი ოცნება. გაქრა წყვედიანი და „ცხრათვალა მზე“ დაქათქათებს დღეს თავისუფალ აჭარას, რომელიც ბორკილაცრილი აშენებს ახალ ცხოვრებას და მიიწვევს წინ კომუნისმის მწვერვალებისაკენ.

ქართული სხივით, ოქტომბრის ნებით,  
აჭარავ, აღსდექ, აჭარავ თბები.  
მზეში ცურავენ ნარინჯის მთები,  
შრომობენ ძმები, შრომობენ დები,  
შენ იბადები, შენ აღარ კვდები.  
შენს ნაჭრილობევ მკერდზე მალამოდ  
დაიდებ ახლა ლენინის ორდენს.  
შენს გაუტეხელ ხიხანს სალამი,  
ქაქუთის ბალებს, გოდერძის კორდებს.

(„...დღევანდელი დღის მზიურ სახელით“)

პოეტს სურს ია-ვარდით მოიფინოს ბედნიერებისაკენ სავალი გზა. ჰუმანიზმით განიმსჭვალოს ყოველი ადამიანი, მას აღარ ღრღნიდეს როტების ჭია, უფრო განმტკიცდეს ძმებს შორის მეგობრობა და სიყვარული, ვარსკვლავებით მოსარკულ ცის ლურჯ გუმბათზე გაქრეს ღრუბლის მეწამული ფთილები. იგი მდგრად ებრძვის ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, რომელიც აძნელებს მიზნისაკენ სავალ გზას.

და არა მარტო სიტყვა იფეთქებს  
ბოლმით ნათმენი და ნაავდრალი,  
მექრთამეების უკმეხ სიფათებს  
დაეძგერება მუშტი მართალი.

(„...და არა მარტო“)

ლირიკული გმირი ზოგჯერ ფიქრმოსილია, სევდით იმსკვალება, მსჯელობს, კამათობს:

რა არის ფული,  
საესე ჯიბე თუ სული საესე?  
რა არის ფული,  
სიმახინჯე თუ სილამაზე?

(„რა არის ფული?“)

კითხულობს პოეტი და იქვე პასუხობს: ფული ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ძალაა ცხოვრებაში, ზოგჯერ ის იმორჩილებს ადამიანის ნებისყოფას და თავისი სურვილით ათამაშებს. პოეტი ზიზღს ვერ ფარავს ასეთი ადამიანების მიმართ და ბოლმით მიმართავს:

ახლა იმდენად გავიზარდეთ,  
ისე მოვმაგრდით,  
უნდა გრცხვენოდეს  
კიდევ ფულის სუნი რომ აგდის.

(„რა არის ფული?“)

აქაც მოწოდების სიმალეზე დგას პოეტი. იგი ჰკიცხავს მექრთამეებს, „ფულის მოყვარულებს“, სატირის მახვილით ამათრახებს მათ ისე, რომ ზრდის ადამიანში სიძულვილს მახინჯი მოვლენების მიმართ და თანაც ქვეცნობიერად მიუთითებს, ასეთი განწყობილებანი არ არის დამახასიათებელი დღევანდელი საქართველოსათვის და რაც უფრო მალე მოცილებს კაცი ამ უმსგავს თვისებებს, მით უფრო სწრაფად მივაღწევთ ნიზანს.

პოეტის იდეალი სწორედ ასეთი სიმახინჯისაგან განკურნებული ადამიანის აღზრდაა. ამიტომაც, რომ კრებულში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, სიმართლის სულითაა შთაგონებული.

ვიცი რა ძნელი ასატანია  
მარტო სიმართლე, როგორც ასეთი,  
მაგრამ მართალი სიტყვის გარეშე  
რით შევიყვართ ჩვენ ერთმანეთი?

წერს პოეტი ლექსში „საუბარი მეგობართან“ და მკითხველს სწამს,  
რომ ძნელია ნუგეშის პოვნა, მაგრამ მაინც:

თუ ცოცხლობ, კიდევ უნდა გიყვარდეს,  
რას სხვაგვარად წუთისოფელი,  
თვით სიყვარული სიყვარულს გარდა  
ყველგან ყოველთვის ნუგეშს მოელის.

(„ნუგეში“).

კრებულში მოთავსებულია ლექსების ციკლი „ჩვენებურები თურქეთის გზებზე“, „მეგობართა გულები“, „ვიეტნამური დღიური“. როდესაც ამ ლექსებს ვკითხულობთ, უნებურად მივიღვართ დასკვნამდე, რომ წიგნის ლირიკული გმირის ფიქრი თავის სამშობლოს დასტრიალებს თავს, ქართველი ხალხის აწმყო და მომავალია მისი საზრუნავი.

„ნუგეში“ იკითხება დიდი ინტერესით. ყველა სტრიქონი ნათელი და გასაგებია, ემოციური, და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. კრებულში აქა-იქ შევხვდებით პროზაულ თუ პრიმიტიულ სტროფებს.

ვერ გამოსულა ყანაში თოხით,  
ნაყოფის ტკბილი გემო იხილოს,  
ბრინჯი და ფხალი, მზე და ჰაერი  
შინ მიუტანოს საკუთარ შვილებს.

(„ეროვნული ფრონტი“)

საბედნიეროდ მსგავსი სტრიქონები იშვიათად გვხვდება. სასიამოვნოა, რომ სარეცენზიო წიგნით ფრიდონ ხალვაში მოველინა მკითხველს როგორც დავაყვაცებული, საკუთარი ხმის მქონე, ფაქიზი გემოვნების პოეტი, რომელსაც შესწევს უნარი მიმზიდველი სახეებით ჩამოქნილ სტრიქონებში ორიგინალურად ამეტყველოს ხალხის ფიქრი, ოცნება და იდეალები.

**პ. ნაცვლიშვილი,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი.



## ყვავილები და ლექსები

ამ წიგნის გარეკანმა უმალ გაგვახსენა არც თუ ისე შორეული წარსული, როცა ჩვენში ზოგიერთი მშობელი ბავშვებს „გრეტხენას“, „ჰამლეტიეს“, „ფაუსტიესა“ და სხვა ამგვარ სახელებს არქმევდა.

მაინც რად დაარქვა პოეტმა „ორი ქრიზანთემა“ კრებულს. რომელიც ყურადღებას იქცევს თემატური მრავალფეროვნებით, სამოქალაქო პათოსით და პატრიოტიზმით? იქნებ იმიტომ, რომ ეს ყვავილი ჩვენი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს და მისი ფერი თუ სურნელი საერთო კოლორიტში იგრძნობა. არა.

ყველა ხალხს და მათ შორის ქართველ ხალხს ყავს თავისი უსაყვარლესი გმირი, აქვს უსაყვარლესი წიგნი... და წარმოდგინეთ, ყველაზე უფრო გამორჩეული ყვავილიც. ია — ეს სიტყვა ქართველებს აკვანშივე გვესმის, როდესაც დედა ივენანას გვიმღერის. პირველი სიტყვაც, დედანაში რომ ვკითხულობთ, იაა. ვის არ შეუკრავს ამ სათუთი ყვავილის თაიგული და სათუთი გრძნობით არ მიუერთმევია დედისა თუ მასწავლებლისათვის.

ახლა სხვა ხალხების ტრფიალიც ვიკითხოთ. ბევრ მათგანს შორეული წარსულიდან მოსდგამს ამა თუ იმ ყვავილის უპირატესი სიყვარული და მასთან აკავშირებს არაერთ კარგ ეროვნულ ტრადიციას. ასე, მაგალითად, ინგლისში ძალიან უყვართ კესანე—პოპულარული სახალხო დღესასწაულის „მაისის დედოფლის“ აუცილებელი ატრიბუტი. ეს დღესასწაული სათავეს იღებს მზისთაყვანისმცემლობის დროიდან, როცა ადამიანები ზემით ეგებებოდნენ გაზაფხულის მოსვლას. ამ ზემზე წესად აქვთ კესანეთი მორთონ სახლები, განსაკუთრებით კი ეზოსა და შენობის კარები, მაისის მცენარეები დარგონ იმ სახლის წინ, სადაც ულამაზესი ქალიშვილი ცხოვრობს. ამით ეს ასული ცხადდება გაზაფხულის მბრძანებლად. „მაისის დედოფლად“.

ჯემალ ქათამაძე, „ორი ქრიზანთემა“, გამომცემლობა „საბჭოთა აპარა“, 1970

ამ დღესასწაულს ზეიმობენ ინგლისის სკოლებშიც და „დედოფალს“ პირველ რიგში არჩევენ აკადემიური წარმატების მიხედვით. ფრანგები შრომანზე ლევენ სულს, იტალიელები მიხაკს სიყვარულის თილისმად თვლიან, ხოლო იაპონელებს თითქმის კულტად აქვთ გამოცხადებული... ქრიზანთემა. იგი ამომავალი მზის ქვეყნის სახელმწიფო გერბს წარმოადგენს.

კუდად არავინ გაგვიგოს: ქართულ პოეზიაში ქრიზანთემას ვეტო კი არა აქვს დადებული. გაიხსენეთ ალექსანდრე საჯაიას „წყვილი ქრიზანთემები“, ან სარეცენზიო კრებულში მოთავსებული „ბალადა წყვილ ქრიზანთემაზე“. ყვავილს რას ვერჩით, ოღონდ ჩვენს დროში წიგნისათვის მისი დარქმევა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, იქნებ პრიმიტიულიც. ახლა თვით ეს ბალადა ვნახოთ, თუ იმსახურებს ჯემალ ქათამაძის ლექსების ალამდარობას. მისი სიუჟეტი ასეთია: ყმაწვილკაცს მოეწონა წყვილი ქრიზანთემა და „მოისურვა მოწყვეტა“, მაგრამ ერთმა ამოიძახა: „ნუ მოხვალო შენ ახლო!“ ყმაწვილს სატრფოსათვის უნდა ყვავილი და ეაჯება — „შემიცოდეთ მიჯნური, მოსაწყვეტად მომიხმეთ!“ ამის პასუხად „მოეხვიენენ ერთმანეთს ჩუმად ქრიზანთემები, თითქოს ერთურთს აკოცეს და მოხვიეს ხელები. ჯერ იყუჩეს, მერე კი ერთად ამოიგმინეს: — ჩვენც მიჯნური გახლავართ და ხალისით ვზიზინებთ. ჩვენც მიჯნური გახლავართ, ჩვენც გეწყურია სიცოცხლე, ხელს შეგვახებ, დაგწყევლით, ვერ იხარებ იცოდე!“ ათრთოლებული ყმაწვილი ხელს იღებს თავის განზრახვაზე და ყვავილებს მიმართავს: „დაე, თქვენაც იხარეთ, დაე, თქვენაც ისუნთქეთ, ავისრულებთ ყველაფერს, თუ კი რამეს ისურვებთ...“

ასე უბრალოდ, მარტივად იმარჯვებს სიყვარული.

რა არის ამ ლექსში ახალი? ვფიქრობთ, არაფერი. მართალია, თემა — სიყვარულის ძალა, უკვდავება — მარად ძველიცაა და მარად ახალიც, მაგრამ ახალია მაშინ, როცა მას ახლებურად, დროის შესაფერისად წყვეტენ, ახალ შინაარსს აძლევენ, ახალ ემოციურ ჩარჩოს უქმნიან. „ბალადა წყვილ ქრიზანთემაზე“ უკვე ცნობილის, განმეორებულის შთაბეჭდილებას ტოვებს და საკმაოდ კარგი ლექსების კრებულის ალამდარობას ვერ იქმს.

ეს ლექსი იმიტომაც ამოვიღეთ ნიშანში, რომ ჯემალ ქათამაძე ახლა შემოქმედებით აღმავლობას განიცდის და შეღავათს არ საჭიროებს, მის პოეზიას შეიძლება უფრო მაღალი კრიტერიუმი მივუყენოთ, მეტი მოვ-

თხოვით. ამას თვითონაც კარგად გრძნობს და გამოხატავს განსაკუთრებით იმ ლექსებში, რომლებიც სამშობლოსადმი მიძღვნილი.

მამულს სჯირდება ნიჭი რამხელა,  
დიდი ბედელი, მწიფე რთველობა,  
ჩვენ საქართველო გვევია სახელად.  
ვინ გვაპატიებს ცუდ ქართველობას.

(„ვინ გვაპატიებს“)

არავის, პოეტი იქნება ის თუ ხუროთმოძღვარი, მხვინელ-მთესველი თუ მეფოლადე, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, არავის ეპატიება ცუდქართველობა, ყველას მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს — რა არგოს მამულს, რითი ასახელოს, რა მიიტანოს სამშობლოს წმიდათა წმიდა საკუთრებეველზე. ასე, მხოლოდ ასე ფიქრობდნენ ჩვენი გმირი წინაპრები, როცა უთვალავი მტრის შემოსევებს იგერიებდნენ და ეროვნულ თვითმყოფობას ინარჩუნებდნენ.

როგორ გგონია, ეს პეტრას ციხე  
მარტო ციხეა, ბრძოლების ლელო?  
ის მომხდურებმა ვერ წააქციეს  
და მიტომ ფეხზე დგას საქართველო.

ჯემალ ქათამაძის ეს მგზნებარე, ცეცხლოვანი სტრიქონები ქრიზანთემების ფოთლებზე კი არ არის ნარწყვი, ჩვენი სამშობლოს ავბედითი ისტორიის, ჩვენი ცხოვრების დარჯაქვია გამოვლილი და ამიტომ არის ფხიანი, აღმაფრენის მომნიჭებელი.

პოეზია სიტყვის ხელოვნებაა, ენის ხელოვნება და მისი არსებობის უმაღლესი ფორმა. ამიტომ სიტყვის მაგიას რომელი პოეტი არ ჰმონებს. მაგრამ ჯემალ ქათამაძე არ ეძებს უჩვეულო სიტყვებს, არ ეძალება უცნაურ მეტაფორებს და შედარებებს, ჩვეულებრივ, რიგით სიტყვებს ისეთ სიტუაციას, ვითარებას უქმნის, რომ პოეტურ ძალმოსილებას ანიჭებს. ასეთია, მაგალითად, ზემოთ მოტანილ სტროფში მოქმედების გამომხატველი სიტყვები „ვერ წააქციეს“ და „ფეხზე დგას“. ან კიდევ:

სულ ერთი ფეხის გადადგმა ხინო,  
მზეზე რომ იზრობს ყოველთვის ხელებს,  
თუ ვინდა დატკბე და მოიღხინო,  
აქედან უნდა გახედო ხმელეთს.

(„ელიას ციხე“)

რა უბრალოდ რამხელა აზრია გამოთქმული: სამშობლო და თვით სამყარო იწყება იმ არემარედან, სადაც ფეხი აიდგი, სწორედ აქედან დანახული ქვეყანა ყველაზე უფრო მომხიბლავი.

სხვა ლექსებშიც — „ლენინი ჩემს სოფელში“, „ნუ მეტყვი“, „პეტრას ციხიდან წამოვა ქარი“, „ციხისძირი“, „დილა“, „მწვანე კონცხი თუ მწვანე ედემი“ — ყველგან იგრძნობა სამშობლოს კონკრეტული გააზრე-



ბა, თანამედროვეობის ცხოველმყოფელი ძალა, მისი შუქი, ფერი და სურათი რწმუნებული.

ჯანსაღი პატრიოტიზმი ყოველთვის გულისხმობს სხვა ხალხების სიყვარულსა და პატივისცემას. დიდია ხალხთა მეგობრობის ძალა და პოეტის ამ ძალას შეჰხარის: „შენს დიდ ქუჩებში ისე დავდივარ, როგორც მოსკოვში, როგორც თბილისში და მაღალ კოშკზე ღელვით ავრბივარ და ვხედავ თბილისს შენს თბილ ღიმილში“. ამ სიტყვებით მიმართავს ერთგან იგი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს, ხოლო მეორეგან ხელგაშლილი და გულგაშლილი ეპატიყება უნგრელ ამხანაგს: „ჩამოდი, ნახე მზე ანთებულ და მთვარე ღამით ხეზე გასული... ჩამოდი, ნახე ბაღი ყოველი, მზით ანთებული მთები მარადის, ნახე გელათი, სვეტიცხოველი და გატეხილი ხიდი მარადიდს...“

კრებულში შესულ ყველა ლექსს, ეს იქნება სამოქალაქო თუ სამამულო ომის გმირებზე, ახალი საზოგადოების მშენებლებზე, კოსმოსის პირველ დამპყრობზე, გამოჩენილ პოეტებზე თუ სიყრმის მეგობრებზე, ყველას აზის კაცთმოყვარეობის, ადამიანისადმი რწმენის ბეჭედი. არსად არ იგრძნობა ის ცინიზმი და მიყვარებობა, რასაც ზოგიერთი ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებაში ვაწყდებით დღეს.

წირველ ადამიანურ გრძნობებს კითხულობს პოეტი ბუნების დიდ წიგნშიც. ლურჯი ზეცა, ელიას მთა თუ ხალიჩასავით მოხატული აჭარის სანაპირო, ქარი და წვიმა, ზღვის ტალღები, ყველაფერი სიცოცხლის, სიყვარულის ზღაპარს ჰყვება.

ზღვა ზოგჯერ ურჩობს, დიდგულობს,  
 შლეგი ქარივით ნაცემი.  
 ზვირთზე სიყვარულს ვკითხულობ,  
 თოლის ფრთებით დაწერილს.

(„ზღვასთან“).

ზღვა პოეტის უპირველესი ტრფიალია, „ზღვასთან ზღვა გულით მოდის“ და თავის ხვაშიადს მას ანდობს, ყველა ტკივილს უმხელს. აქ იგი მეტი უშუალობით აღიქვამს ბუნების ფერებს.

და ზღვაში ჩასულ მზის წითელ ნათელს  
 ბინდი ყანგივით ეკიდებოდა.

ნამდვილად რომ დიდებული სურათია ზღვაზე შემოღამებისა. აქ პოეტი სიტყვას ფერწერულ განხრასა და ძალას აძლევს. ზოგჯერ იგი ზღვას თითქოს ზომის ერთეულადაც იყენებს და ამით განგვაცდევინებს პიროვნებისა თუ მოვლენის სიდიადეს. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი ასე მთავრდება:

შენ ზღვაშიც ვერ ჩაეტვი, გალაკტიონ!

ერთობ უბრალო, მარტივი განზომილებაა, მაგრამ ზღვრულ წარმოდგენას გვაძლევს დიდ მასშტაბზე, გალაკტიონის პოეტურ გენიაზე.



უფრო შორს ანათებს, უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა გულზე და გონებაზე ის სიტყვა, რომელსაც ორგანულად, მტკიცედ უღვევს ხალხური საფუძველი, ჯემალ ქათამაძეც აქეთეენ ისწრაფვის, რასაც ერთხელ კიდევ მოწმობს მამია ვარშანიძისადმი მიძღვნილი ლექსი. მასში მეგობარი პოეტის მეკვლედ და შემფასებლად გამოყვანილია ქართული პოეზიის ქურუმი გიორგი ლეონიძე, ვის შემოქმედებასაც „ღრმად უღვას ფესვები მშობელ მიწაში“ და ამ მიწის წვენით იკვებება, ვისთვისაც „სამშობლო მისი გულის ფეთქვაა“, „სამშობლო მისი ლექსის სახელია“.

„შენ გოგლამ გითხრა“ — ამ სიტყვებით იწყება ჯემალ ქათამაძის ეს ლექსი. გოგლას კი უთქვამს: თუ პოეტი ხარ ლექსად უნდა იწვოდეო, მუდამ იცოდე შენი სათქმელი და მხოლოდ ის თქვიო, ახალს უგალობე, მაგრამ ძველი ვარამიც არ დაივიწყოო, შენი ვაზის ყვავილი გიყვარდესო, შენი „აჭარის საგალობლები“ კონად შეჰკარი და ქართული პოეზიის დიდ ტაძარში აავუგუხნეო...

ჯემალ ქათამაძეც ისმენს ამ შეგონებას და მოკრძალებით ამბობს მშობელი მიწის საგალობელს.

კ. შანიძე.



ფან 40 სსს.

813/146



**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118**